

ლეილა ღუდუშაური

კრედიტი და
თანამედროვე
საბანკო მექანიზმი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2007

ნაშრომში გაშუქებულია საბანკო მომსახურების თანამედროვე მექანიზმი განვითარებული ქვეყნებისა და საქართველოს საბანკო პრაქტიკის გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაეხმარება მკითხველს საბანკო მომსახურების ახალი ფორმებისა და მეთოდების ათვისებაში. მასში გადმოცემულია საბანკო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: საბანკო მენეჯმენტი და მარკეტინგი; კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასების მექანიზმი; მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდიკა; დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების თანამედროვე მექანიზმი; ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობანი; კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები; სალიზინგო ოპერაციები; კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით; სავალუტო ბაზარი და კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები; ბანკის საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდები; ბანკის ბალანსის ანალიზი და საბანკო აუდიტის საფუძვლები და სხვა.

გადმოცემული მასალის უკეთ ათვისების მიზნით გამოყენებულია ორიგინალური მეთოდი - საკითხების სქემატური ასახვა. ასეთი თვალსაჩინოება გაუადვილებს საბანკო საქმიანობით დაინტერესებულ მკითხველს საკმაოდ რთული საკითხების შესწავლა-დანერგვას.

ნაშრომი გათვალისწინებულია საბანკო საქმის სპეციალისტების სტუდენტთათვის, ბანკირებისა და საბანკო საქმიანობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რეკომენდებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულებისა და ჟურნალ "ეკონომიკის" სარედაქციო კოლეგიის მიერ.

მეოთხე გამოცემა, ცვლილებებითა და დამატებებით.

რედაქტორი აკად. თ. ჩიკვაიძე
რეცენზენტები: პროფ. გ. გამსახურდია
პროფ. მ. გოგოხია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007

0605010204

ლ
608(06)-97

შინაარსი

რედაქტორისაგან შესავალი	7 8
I თავი კრედიტის ეკონომიკური არსი, ფუნქციები, ფორმები და სახეობები. დაკრედიტების პრინციპები	9
კრედიტის ეკონომიკური არსი — 9. კრედიტის ფუნქციები — 9. დაკრედიტების პრინციპები — 9. კრედიტის ფორმები და სახეობები — 10-14. სარგებელი — 15. სარგებლის ნორმა — 15. სარგებლის ნორმის განმსაზღვრელი ფაქტორები — 15. სარგებლის ფუნქციები — 15.	
II თავი საკრედიტო მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში	16
ცენტრალური ბანკი, მისი ფუნქციები -- 16. კომერციული ბანკები, მათი ოპერაციები — 17. სპეციალური საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები — 17. საქართველოს საკრედიტო ინსტიტუტები — 18-19. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი ეკონომიკური მეთოდები და ინსტრუმენტები — 19.	
III თავი საბანკო მოგება და მისი წყაროები	20
ბანკის საერთო შემოსავალი (საოპერაციო შემოსავლების ერთობლიობა) — 20. საბანკო ხარჯები — 20. ბანკის წმინდა შემოსავალი — 20. საბანკო მოგება — 20. საბანკო მოგების ნორმა — 20.	
IV თავი კომერციული ბანკის სტრუქტურა	21
V თავი საბანკო მენეჯმენტი	22
საბანკო მენეჯმენტის არსი — 22. საბანკო მენეჯმენტის პრინციპები — 22. საბანკო მენეჯმენტის მიზნები — 23. საბანკო მენეჯმენტის მაჩვენებლები — 24. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებანი — 25-26.	
VI თავი საბანკო მარკეტინგი	27
საბანკო მარკეტინგის არსი — 27. საბანკო მარკეტინგის ძირითადი ხერხები — 27. საბანკო მარკეტინგის შემადგენელი ნაწილები — 28-29. კომერციული ბანკის სტრატეგია — 30.	
VII თავი კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობის შეფასების მექანიზმი	31
ბანკის ლიკვიდობის ცნება — 31. ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები — 31. ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები — 32. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის კოეფიციენტები — 33. ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი — 34. ერთ მსესხებელზე მაქსიმალური რისკის განსაზღვრა — 34. კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობის დაუბალანსებლობისა და გადახდისუნარიანობის რისკის ზრდის ფაქტორები — 35. კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობის დაუბალანსებლობისა და გადახდისუნარიანობის რისკის მართვის ღონისძიებები — 35. კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის კრიტერიუმები — 36-37.	
VIII თავი უნაღლო ანგარიშსწორების მექანიზმი	38
უნაღლო ანგარიშსწორების პრინციპები -- 38. უნაღლო ანგარიშსწორების ორგანიზაციის ძირითადი მოთხოვნები — 38. უნაღლო ანგარიშსწორების ძირითადი ფორმები. ანგარიშსწორება საგადახლო მოთხოვნა-დავალებებით — 39. ანგარიშსწორება საგადახლო დავალებებით — 40. ანგარიშსწორების სააკრედიტო ფორმა — 41. ჩეკებით ანგარიშსწორ-	

რება — 42. ანგარიშსწორება საინკასო დავალებით — 42. ანგარიშსწორება „კლასტიკური ფულის“, ანუ კლასტიკური ბარათების საშუალებით — 43. კლასტიკური ბარათების კლასიფიკაცია — 43-44. ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობანი — 45. ბანკთაშორის საკორესპონდენტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები — 45. საზღვარგარეთის ქვეყნების ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები — 46.

IX თავი

კომერციული ბანკის პასიური ოპერაციები

47

საკრედიტო რესურსების ბაზარი და მასში კომერციული ბანკების ადგილი — 47. კომერციული ბანკის პასიური ოპერაციები — 48. სადემოზიტო ოპერაციების განხორციელების ძირითადი პრინციპები — 49. ბანკის მოკლევადიანი რესურსების გრძელვადიანად ტრანსფორმაცია — 50. მოკლევადიანი რესურსების გრძელვადიანად ტრანსფორმაციის კოეფიციენტი — 50. დემოზიტების მულტიპლიკაცია — 51. მულტიპლიკაციის კოეფიციენტი — 51. კომერციული ბანკის ლიკვიდობის საერთო რეზერვი — 52.

X თავი

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი

53

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალზე მოქმედი ფაქტორები — 53. საკრედიტო პოტენციალის წყაროების სრლის ძირითადი ფორმები — 53. საკრედიტო პოტენციალის საშუალებათა სტრუქტურა — 54.

XI თავი

მსესხებლის კრედიტუნარიანობა და მისი განსაზღვრის მეთოდიკა

55

მსესხებლის კრედიტუნარიანობის ცნება — 55. მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მაჩვენებლები (ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ბანკების მეთოდიკა) — 55. მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდიკა (საფრანგეთის ბანკების მეთოდიკა) — 56. სახელმწიფო და სააქციო საწარმოების კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები — 57. ახლად შექმნილი მცირე საწარმოების კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები — 58. ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა (დარგობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით) — 59-60. მოქმედი მცირე საწარმოების კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები — 60. მსესხებლის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრის მეთოდი — 61. სახელმწიფო და მსხვილი სააქციო საწარმოების კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მოდელი — 61. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელთა ანალიზის ძირითადი მიმართულებანი — 62. კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების რეკომენდაციები — 63.

XII თავი

დაკრედიტების თანამედროვე მექანიზმი

64

დაკრედიტების თანამედროვე მექანიზმის ძირითადი საფუძვლები — 64. საქართველოს ეროვნული ბანკის ლიმიტები — 65. საქართველოს ეროვნული ბანკის ეკონომიკური ნორმატივები — 65. საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი განყოფილებები — 66. კრედიტის მისაღებად საჭირო დოკუმენტები — 67. საბანკო კრედიტის მოცულობის განსაზღვრის მეთოდიკა — 68. კონტოკორენტი — 69. ოვერდრაფტი — 69. კონტოკორენტიდან დაკრედიტების თანამედროვე მოდელი — 69. კონტოკორენტიდან დაკრედიტების პროცესში საბანკო კონტროლის მექანიზმი — 70. გრძელვადიანი დაკრედიტების ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები — 71. გრძელვადიანი კრედიტის მოცულობის განსაზღვრის მეთოდიკა — 72. საიპოთეკო კრედიტის ძირითადი პრინციპები — 72. კონსორციული კრედიტები — 73. საბანკო კონსორციუმის სახეობები — 73. კონსორციული კრედიტების გაცემის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები — 73. კონსორციული კრედიტების გაცემის ტექნიკა — 74.

XIII თავი

კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმები

75

კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ცნება — 75. კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმები — 75. გირაო და საგირაო უფლება — 76. გირაოს სახეობები — 76. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გირაოს ხარისხის კრიტერიუმები — 76.

საგარეო უფლების სტრუქტურა — 76. მოთხოვნების დათმობა (ცესია) და საკუთრების უფლების გადაცემა — 77. ცესიის სამართლებრივი სტრუქტურა — 77. საცესიო ხელშეკრულება — 77. ცესიის სახეობები — 78. საკუთრების უფლების გადაცემა — 79. კრედიტორისათვის საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივი სტრუქტურა — 79. გარანტიები და თავდებობა — 80. გარანტიების კლასიფიკაცია — 80. საგარანტიო ვალდებულებების სუბიექტები — 80. თავდებობა — 80. კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმების ეფექტიანობის შეფასების გერმანიის კომერციული ბანკების მეთოდთა — 80. საწარმოთა კლასიფიკაცია კრედიტის დაბრუნების რისკის ხარისხისა და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით (გერმანიის კომერციული ბანკების მეთოდთა) — 81. კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები, გამოყენებული კრედიტის დაბრუნების სხვადასხვა რისკის მქონე საწარმოების დაკრედიტებისას — 82. კრედიტის დაფარვის ფორმები — 83.

XIV თავი

კომერციული ბანკის სალიზინგო ოპერაციები

84

ლიზინგის ცნება — 84. საიჯარო ოპერაციის სახეობები — 84. სალიზინგო ოპერაციის ძირითადი ელემენტები — 85. სალიზინგო ოპერაციის სახეობები — 86. ლიზინგის ძირითადი ფორმები — 87. სალიზინგო ხელშეკრულების ძირითადი განყოფილებები — 88.

XV თავი

კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით

89

აქციების გამოშვება — 89. აქციის ეკონომიკური არსი — 90. აქციის სახეობები — 90. ჩვეულებრივი აქციის სახეობები — 90. პრივილეგიური, ანუ პრეფერენციული აქციები — 91. პრივილეგიური აქციის რეკვიზიტები — 91. პრივილეგიური აქციის ძირითადი სახეობები — 92. აქციის კურსი — 93. აქციების ერთობლივი შემოსავალი — 93. აქციების საკონტროლო პაკეტი — 93. მოგების განაწილება სააქციო საზოგადოების მიერ — 93. სადღივდნლო პოლიტიკის ძირითადი მეთოდები — 94. კომერციული ბანკის მიერ აქციების გამოშვების ორგანიზაცია — 95. აქციის ფასის განაღდებას ძირითადი ფორმები — 95. სავალო ვალდებულებათა გამოშვება და მათი დაფარვა — 96. ობლიგაცია — 96. ობლიგაციის ძირითადი რეკვიზიტები — 96. ობლიგაციის კლასიფიკაცია — 97-98. ობლიგაციის სახეობები — 99. კომერციული ბანკის მიერ სავალო ვალდებულებათა მიმოქცევაში გამოშვებისა და მათი დაფარვის ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები — 100. სადეპოზიტო სერთიფიკატი — 101. სადეპოზიტო სერთიფიკატის სახეობები — 101. ბანკის დაბანდებანი ფასიანი ქაღალდებში — 102. კომერციული ბანკის სამუშაოვლო ოპერაციები — 103. ფასიანი ქაღალდების პირველადი გავრცელება კომერციული ბანკის მიერ — 103. საემისიო ხელშეკრულება — 103. საგარეო ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით — 104. ფასიანი ქაღალდების დაგირავებით მოკლევადიანი სესხის გაცემის სპეციფიკა — 104.

XVI თავი

სავალუტო ბაზარი და კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები

105

სავალუტო ბაზრის ცნება — 105. სავალუტო ბაზრის ფუნქციები — 105. ვალუტის კურსი — 105. ვალუტის კოტირება — 106. ვალუტის კოტირების მეთოდები — 106. გამყიდველისა და მყიდველის კურსების განსაზღვრის მაგალითები ვალუტების პირდაპირი და ირიბი კოტირების დროს — 106. კროს კურსი — 106. კროს კურსის გაანგარიშების მეთოდები — 107-108. სავალუტო პოზიცია — 108. სავალუტო პოზიციის სახეობები — 108. სავალუტო რისკი — 108. სავალუტო რისკის თავიდან აცილების მეთოდები — 109. სავალუტო ოპერაციები — 110. ნაღდი სავალუტო ოპერაციები: გარიგება „ოუენრაითი“; გარიგება „სპოტი“ — 110. ვადიანი სავალუტო ოპერაციები: გარიგება „ფორვარდი“; გარიგება „ოპციონი“; გარიგება „სუოპი“; სავალუტო არბიტრაჟი; გარიგება „ფიუჩერსი“; გარიგება „აუტრაითი“; ვადასდის ვადის ცვლილება — 110-111. ვალუტის კურსი „აუტრაითი“ — 112-113. ვალუტის კურსის პროგნოზის მეთოდები — 114. სავალუტო რისკის დაზღვევის („ჰეჯირების“) მეთოდები — 115-118. სავალუტო „ჰეჯირების“ განხორციელების ძირითადი ეტაპები — 119.

XVII თავი

კომერციული ბანკის სატრანსტო, ფაქტორინგული და სხვა ოპერაციები

120

სასაქონლო-საკომისიო ოპერაციები — 120. ძვირფას ლითონებთან დაკავშირებული ოპერაციები — 120. ნუმისმატური ოპერაციები — 120. კომერციული ბანკის სასაწყობო ოპერაციები — 120. ფასულობათა დაცვისა და ტრანსპორტირების ოპერაციები — 120. მესამე პირის მაგიერად თავდებების, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებათა

გაცემა, რომელთა შესრულებაც გათვალისწინებულია ფულად ფორმაში — 120. ოპერაციები კლიენტის დავალებითა და მინდობილობით — 121. ბანკებისა და სხვა იურიდიულ პირთა ერთობლივი საქმიანობა (მათ შორის სადამფუძნებლო ოპერაციები) — 122. ოპერაციათა ვჯგუფი, რომელიც მიეკუთვნება „სხვა“ ოპერაციების კატეგორიას: საინფორმაციო-საცნობარო მომსახურება; კლიენტთა სერვისი; ბანკის საქველმოქმედო საქმიანობა — 122. კლიენტის საკასო მომსახურება — 123-124. კომერციული ბანკის ფაქტორინგული (საშუამავლო) ოპერაციები — 124. ფაქტორინგული ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები — 125-126. ფაქტორინგული ხელშეკრულების სახეობები — 127. ფაქტორინგული მომსახურების ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები — 128.

XVIII თავი

კომერციული ბანკის ეკონომიკური რისკის შეფასების მეთოდები

129

ეკონომიკური რისკის ცნება — 129. საბანკო რისკის კლასიფიკაცია — 129-130. საბანკო რისკის მართვის, ანუ რეგულირების ძირითადი მეთოდები — 131. საკრედიტო რისკის გაანგარიშების მეთოდები — 132. ლიკვიდობისა და მსესხებლის კრედიტუნარიანობის კოეფიციენტები — 132. საკრედიტო ოპერაციების განხორციელების ძირითადი ნორმატივები (გერმანიის მეთოდის) — 132. ბანკის საერთო რისკი — 132. ერთი მსესხებლის საკრედიტო რისკი — 132. რისკ-ფაქტორები და მათი გამოკვლევის ძირითადი მიმართულებანი — 133. მსხვილი კრედიტი — 133. ქვეყნის, ეკონომიკური რეგიონის საკრედიტო რისკი — 134. დანაკარგების სახეობანი — 135. ქვეყნის, რეგიონის საკრედიტო რისკის განსაზღვრის მეთოდისა — 135. დაზღვევა — საკრედიტო რისკის მართვის მეთოდი — 136. განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო ფონდების სტრუქტურა — 136. სადაზღვევო ფონდები — საკრედიტო რისკის მართვის წყარო — 136. კომერციული ბანკების ოპერაციების დაზღვევა — 136. კომერციული ბანკის ოპერაციების რისკი — 136-137. სადაზღვევო ხელშეკრულების (სადაზღვევო პოლისის ან სადაზღვევო მოწმობის) დასაღებად საჭირო საბუთები — 137. დეპოზიტების დაზღვევა — 138.

XIX თავი

კომერციული ბანკის ბალანსის ანალიზი და საბანკო აუდიტის საფუძვლები

139

კომერციული ბანკის ბალანსი — 139. კომერციული ბანკის ბალანსის ანგარიშები — 139-140. კომერციული ბანკის ბალანსის მუხლების დაჯგუფება — 140. კომერციული ბანკის ბალანსის ანალიზის სახეობები — 141. კომერციული ბანკის ბალანსის ანალიზის მეთოდები — 142. ბანკის ბალანსის ანალიზი კოეფიციენტების მეთოდით (აშშ-ის კომერციული ბანკების მეთოდის) — 143-145. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი მიმართულებანი — 145. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი ამოცანები — 145. ლიკვიდობის განმსაზღვრელი ძირითადი ხარისხობრივი ფაქტორები — 145. სადეპოზიტო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მათემატიკური გამოთვლები — 146. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი კოეფიციენტების მეთოდით — 146. დეპოზიტების ტრანსფორმაცია საშუალო და გრძელვადიან კრედიტებად — 147. კომერციული ბანკის მოგების ანალიზი — 147. ბანკის შემოსავალზე სარგებლის განაკვეთებისა და გააცემული კრედიტის ოდენობის ცვლილების გავლენის ანალიზი (აშშ-ს კომერციული ბანკების მეთოდის) — 148. ბანკის მინიმალური საშემოსავლო მარჟა — 148. საბანკო აუდიტის საფუძვლები — 149. საბანკო აუდიტის მეთოდები — 150.

რედაქტორისაგან

ქართველი მკითხველისათვის განკუთვნილი ლ. ღუდუშაურის ნაშრომი წარმოადგენს საბანკო მომსახურების მრავალფეროვანი ფორმების და მეთოდების სქემატური ასახვის პირველ ცდას ჩვენს სინამდვილეში. ავტორმა მიზნად დაისახა ურთულესი ამოცანა - საბანკო საქმიანობის სისტემური გადმოცემა ამ ეფექტიანი მეთოდის გამოყენებით და ძალზე მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვიტა იგი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წამყვან სასწავლო ცენტრებში და, საერთოდ, მეცნიერულ გამოკვლევებში საზღვარგარეთ ფართოდ არის გავრცელებული ამ მეთოდის გამოყენება, მაშინ ცხადი იქნება, თუ რაოდენ დიდ და ფასეულ შედეგთან გვაქვს საქმე.

თვითონ ის ფაქტი, რომ ასეთი ნაშრომი მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი, არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი საბანკო საქმის დისციპლინის განვითარების გზაზე. საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების სისტემური სქემატური გადმოცემა საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ თეორიული, მეთოდოლოგიური და ემპირიული პრობლემები, განვსაზღვროთ ამ პრობლემათიკის ურთიერთდაბალანსებულობის მიმართულებები, რაც ფრიად მნიშვნელოვანია პრაქტიკისათვის.

ამ მოსაზრებათა გამო, აუცილებლად მიგვაჩნია, წინამდებარე ნაშრომი გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს, სტუდენტებს, მეცნიერ ეკონომისტებს, საბანკო საქმის თეორეტიკოსებსა და პრაქტიკულ მუშაკებს, ბიზნესით დაინტერესებულ პირებს. იგი ჯეროვან სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია საბანკო საქმიანობით.

აკადემიკოსი თამაზ ჩიკვაიძე

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

შესავალი

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს საბანკო სფეროში, იგი იძენს კომერციულ ხასიათს, აფართოებს საბანკო ოპერაციების არეალს, ამყარებს კავშირს საზღვარგარეთის ქვეყნების ბანკებთან და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკის კანონები და კონკურენციის მკაცრი პირობები ბანკირებს უყენებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს: აუცილებელი ზღედა მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სტერეოტიპის შეცვლა, საბანკო საქმიანობის ახალი მრავალფეროვანი ფორმებისა და სახეობების ათვისება-დანერგვა, საბანკო მარკეტინგისა და მენეჯმენტის, ანუ საბანკო საქმიანობისა და მისი პერსონალის ორგანიზაციისა და მართვის ხელოვნების დაუფლება.

წინამდებარე ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაეხმარება მკითხველს საბანკო მომსახურების ახალი ფორმებისა და მეთოდების ათვისებაში. მასში გადმოცემულია საბანკო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: საბანკო მენეჯმენტი და მარკეტინგი; კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასების მექანიზმი; მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდიკა; დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების თანამედროვე მექანიზმი; ბანკთაშორის საკორესპონდენტო ურთიერთობანი; კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები; სალიზინგო ოპერაციები; კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით; სავალუტო ბაზარი და კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები; ბანკის საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდები; ბანკის ბალანსის ანალიზი და საბანკო აუდიტის საფუძვლები და სხვა.

აღნიშნული საკითხების გაშუქების საფუძველია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისა და საქართველოს თანამედროვე ბანკების გამოცდილება.

ნაშრომში გადმოცემული მასალის უკეთ ათვისების მიზნით გამოყენებულია ორიგინალური მეთოდი — საკითხების სქემატური ასახვა. ასეთი თვალსაჩინოება გაუადვილებს საბანკო საქმიანობით დაინტერესებულ მკითხველს საკმაოდ რთული საკითხების შესწავლა-დანერგვას.



ნაშრომი გათვალისწინებულია საბანკო საქმის სპეციალობის სტუდენტთათვის, ბანკირებისა და საბანკო საქმიანობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

I თავი

კრედიტის ეკონომიკური არსი, ფუნქციები, ფორმები და სახეობები. დაკრედიტების პრინციპები.

კრედიტი

[ლათ. *creditum* - ვალი, სესხი] — კრედიტორსა და მსესხებელს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ფულადი და სასაქონლო რესურსების სესხად გაცემა გარკვეული ვადით, მიზნით, უზრუნველყოფით, უკან დაბრუნებისა და სარგებლის გადახდის პირობებით.



კრედიტის ფორმები და სახეობები

საბანკო კრედიტი — საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული ფულადი სესხი

დაფარვის ვადის მიხედვით:

1. ონკოლური (მოთხოვნამდე, ე.ი. იფარება გამსესხებლის მოთხოვნისთანავე);
2. მოკლევადიანი (ერთ წლამდე ვადით);
3. საშუალოვადიანი (ერთიდან ხუთ წლამდე ვადით);
4. გრძელვადიანი (5 წელზე მეტი ხანგრძლივობით).

დაფარვის ხასიათის მიხედვით:

1. ვალის ერთბაშად დაფარვით;
2. სესხის დაფარვა განვადების წესით.

სარგებლის დარიცხვის მეთოდის მიხედვით:

1. სარგებლის დარიცხვა სესხის გაცემის მომენტში;
2. სარგებლის დარიცხვა კრედიტის დაფარვის მომენტში;
3. სესხით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში თანაბარზომიერი შენატანებით.
4. მცოცავი საპროცენტო განაკვეთი — საპროცენტო განაკვეთი საშუალოვადიან და გრძელვადიან კრედიტებზე, რომლის სიდიდე არ ფიქსირდება კრედიტის მთელი პერიოდისათვის (როგორც ეს მიღებულია ტრადიციულ პრაქტიკაში), არამედ წარმოებს მათი გადახდვა კრედიტორსა და მსესხებელს შორის შემთანხმებული დროის შუალედში შესაბამის საკრედიტო ბაზარზე სიტუაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

უზრუნველყოფის მიხედვით:

1. სესხები უზრუნველყოფის გარეშე (საბანკო);
2. სესხები უზრუნველყოფით: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით, ფასიანი ქაღალდებით, უძრავი ქონებითა და სხვა ფასეულობებით, თამასუქით, ოქროთი, სასაქონლო დოკუმენტებით უზრუნველყოფილი კრედიტები.

სახელმწიფო კრედიტი — სახელმწიფოს მიერ ობლიგაციებისა და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული სესხი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო არის დებიტორი, ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირები — კრედიტორები.

სარენტო სესხი — სახელმწიფო კრედიტის სახეობა, როდესაც სახელმწიფო არ აღგენს სესხის დაფარვის ვადას და თავის თავზე არ იღებს ვალდებულებას დააბრუნოს შეპირებულ დროში ვალის კაპიტალური თანხა, მაგრამ ობლიგაციების მფლობელებს აძლევს რენტად წოდებული რეგულარული მტკიცე შემოსავლის მიღების გარანტიას. სესხის დაფარვა ხორციელდება ტირაჟის გზით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მათ მფლობელებს უხდის ობლიგაციაში აღნიშნულ თანხას ან ობლიგაციებს შეისყიდის ბირჟაზე საკურსო ფასით.

არაფუნდირებული სესხები — მოკლევადიანი სახელმწიფო სესხები, რომლებიც გამოშვებულია რამდენიმე კვირიდან ერთ წლამდე ვადით საფინანსო რესურსების მობილიზაციის მიზნით. არაფუნდირებული სესხების ძირითადი მყიდველები არიან ცენტრალური და კომერციული ბანკები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები.

ანუიტეტტი — სახელმწიფო გრძელვადიანი სესხის სახეობა, რომლის მიხედვითაც კრედიტორი ყოველწლიურად იღებს განსაზღვრულ შემოსავალს (რენტას). იგი ღვინდება იმ გაანგარიშებით, რომ თანდათანობით დაიფაროს ვალის კაპიტალური თანხა მის სარგებელთან ერთად. შემოსავლის სიდიდე დამოკიდებულია ან წელთა რიცხვზე, ან მფლობელის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე; მისი გარდაცვალების შემთხვევაში სესხი ითვლება გასტუმრებულად. როდესაც ანუიტეტტი განსაზღვრულია წელთა რაოდენობით - 30, 60, 90 წლით, მაშინ კაპიტალის განაკვეთი, რომელსაც ყოველწლიურად უხდიან კრედიტორს სარგებლით, წესდება გამაანგარიშებით. აქ კრედიტორი ან მისი კანონიერი მემკვიდრე თანდათან უკარვე ღებულობს თავის თანხას.

სახელმწიფო მოკლევადიანი სესხი — სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო თამასუქების გაკრეცილებით ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული სესხი.

მთავრობათათმორისი სესხი — სესხი, რომელსაც შეთანხმების საფუძველზე ერთი ქვეყნის მთავრობა აძლევს მეორე ქვეყნის მთავრობას.

პროცენტიანი სახელმწიფო კრედიტი — სესხი, რომლის მიხედვითაც კრედიტორი სარგებელს ღებულობს დაწესებული პროცენტის მიხედვით.

ტონტინი — სახელმწიფოს მიერ კრედიტორთა ჯგუფისაგან მიღებული გრძელვადიანი სესხი. გამსესხებლებს ყოველწლიურად მიეცემათ სარგებელი, რომელიც ნაწილდება კრედიტორთა ჯგუფის წევრებს შორის. რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სარგებლის ოდენობა არ იცვლება და, მაშასადამე, თითოეულს უფრო მეტი თანხა ხვდება. ჯგუფის უკანასკნელი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში წყდება სასესხო ვალდებულება.

მომგებიანი (უპროცენტო) სახელმწიფო კრედიტი — სესხი, რომლის მიხედვითაც კრედიტორი სარგებელს ღებულობს მოგების მიხედვით.

კომერციული კრედიტი — გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის განვადებით შესყიდვის სახით გაცემული სესხი.

კომერციული კრედიტის იარაღია თამასუქი, ხოლო ობიექტი — სასაქონლო კაპიტალი. თამასუქი (გერმ. Wechsel - ვექსილი) — ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს მისი გამცემის ვალდებულებას გადაუხადოს თამასუქის მფლობელს (წარმდგენს) თამასუქში აღნიშნული სახისა დათქმულ ვადაში.

თამასუქის სახეობებია:

- მარტივი თამასუქი — მსესხებლის მიერ გაცემული სავალო ვალდებულება, რომელზედაც აღნიშნულია გადასახდელი თანხა, სარგებლის ოდენობა, თამასუქის გაცემის ადგილი და დრო, გადახდის ვადა, თამასუქის მფლობელის გვარი, თამასუქის გამცემის ხელმოწერა.

- გადაპირებული თამასუქი, ანუ ტრატა — კრედიტორის (ტრასანტის) წერილობითი ბრძანება მსესხებლის (ტრასანტის) სახელზე, გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ან წარმდგენს (თუ თამასუქი წარმომდგენზე) თამასუქში აღნიშნული თანხა დათქმულ ვადაში.

- კერძო თამასუქი — ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გაცემული თამასუქი.

- კომერციული თამასუქი — კერძო თამასუქის სახესხვაობა, დაკავშირებული საქონლის ნისიად გაყიდვასთან.

- სოლო თამასუქი — თამასუქი, რომელზედაც არის მხოლოდ ერთი პირის ხელმოწერა (კომერციულ თამასუქებს, ჩვეულებრივ, აქვთ ორი ან მეტი ხელმოწერა).

- საფინანსო თამასუქი — კერძო თამასუქის სახესხვაობა, დაკავშირებული ფინანსურ ოპერაციებთან.

- ე. წ. „ბრინჯაოს“ თამასუქი — საფინანსო თამასუქის სახესხვაობა. კრედიტუნარი პირის მიერ გაცემული, ანუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით არაუზრუნველყოფილი თამასუქი.

- მგობრული თამასუქი — თამასუქის სახეობა, რომლის ემიტენტი გადასცემს ვალდებულებას სხვა პირს, ანუ გარანტს. თუ აქცეპტანტი ვერ გააძაღლებს თამასუქს, მაშინ იგი უნდა გაანაღლოს თამასუქის გამცემის გარანტია.

- სახაზინო თამასუქები (ბონები) — სახელმწიფოს მიერ გამოშვებული თამასუქები, საკმაოდ მაღალი სარგებლით.

ეს თამასუქები საფინანსო თამასუქის სახესხვაობას წარმოადგენს.


- დომიციალური თამასუქი - თამასუქი, რომელზედაც თამასუქის გამცემი უიითებს, რომ იგი განაღდება მესამე პირის (დომიციალიანტის) მიერ გადამხდელის საცხოვრებელ ადგილას ან სხვა ტერიტორიაზე. თუ მითითებული არ არის დომიციალიანტი, მაშინ ის შეიძლება დასახელებულ იქნეს გადამხდელის მიერ თამასუქის აქცეპტის დროს.

საფირმო კრედიტი — საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში კომერციული კრედიტის სახესხვაობა, რომელსაც ერთი ქვეყნის ფირმა აძლევს მეორე ქვეყნის ფირმას საქონლის სახით. მისი ვადები განსხვავებულია და განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურითა და საქონლის სახეობებით. იგი გაიცემა 2-7 წლის ვადით. საფირმო კრედიტი ფორმდება თამასუქით ან ლია ანგარიშით.

სათამასუქო კრედიტი — ექსპორტიორი, დადებს რა შეთანხმებას საქონლის გაყიდვაზე, აძლევს გადაპირებულ თამასუქს (ტრატას) იმპორტიორს, რომელიც სასაქონლო დოკუმენტების მიღების შემდეგ აქცეპტს უკეთებს ტრატას, ანუ თანხმობას აცხადებს თამასუქის განაღდებაზე.

კრედიტი ღია ანგარიშით — გაიცემა ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის შეთანხმების საფუძველზე, რომლის თანახმადაც დაეალიანება ჩაირიცხება ღია ანგარიშზე და დაიფარება პერიოდულად თვის შუა ან ბოლო რიცხვებში. იგი ფართოდ გამოიყენება საქონლის რეგულარული მიწოდების დროს.

აენასი მყიდველს — იმპორტიორი უცხოელ ექსპორტიორს კონტრაქტის საფუძველზე აძლევს აენასს დაკვეთილი მოწყობილობის, მანქანების ღირებულების, აგრეთვე სესხის 10-15, ზოგიერთ შემთხვევაში — 33 %. აღნიშნული კრედიტი საფირმო კრედიტის სახესხვაობას წარმოადგენს.



კრედიტის ფორმები და სახეობები. სქემის გაგრძელება

საერთაშორისო კრედიტი — საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სავალუტო და სასაქონლო რესურსების გაცემა გარკვეული ვადით, მიზნით, უზრუნველყოფით, უკან დაბრუნებისა და სარგებლის გადახდის პირობით.

წყაროების მიხედვით.

დანიშნულების მიხედვით:
1. კომერციული კრედიტი — სესხი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული საგარეო ვაჭრობასთან და მომსახურებასთან;
2. ფინანსური კრედიტი — სესხი, რომელიც გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების შესაძენად, დავალიანებათა დასაფარავად, ინვესტიციების განსახორციელებლად, სავალუტო ინტერვენციისთვის და ა.შ.
3. შუალედური კრედიტი — სესხი, რომელიც გათვალისწინებულია როგორც საგარეო სავაჭრო მომსახურებასთან, ასევე საფინანსო ოპერაციების განხორციელებასთან.

სახეობების მიხედვით:
1. სასაქონლო კრედიტი, რომელსაც ძირითადად ექსპორტიორები აძლევენ თავიანთ მყიდველებს საქონლის ფორმით;
2. სავალუტო კრედიტი, რომელსაც გაცემენ ბანკები ფულადი ფორმით.

სესხის ვალუტის მიხედვით:
1. სესხი მოვალის ქვეყნის ვალუტით;
2. სესხი კრედიტორის ქვეყნის ვალუტით;
3. მესამე ქვეყნის ვალუტით;
4. სესხი საერთაშორისო საანგარიშსწორებო ერთეულით, რომელიც ემყარება სავალუტო „კალათას“ (SDR, ECU და სხვ.).


ვადების მიხედვით:
1. მოკლევადიანი — ერთ წლამდე ვადით (ზემოკლევადიანი — სამ თვემდე ვადით, ერთდღიანი, ერთკვირიანი);
2. საშუალოვადიანი — ერთიდან ხუთ წლამდე ვადით;
3. გრძელვადიანი — ხუთ წელზე მეტი ხანგრძლივობით.

უზრუნველყოფის მიხედვით:
1. უზრუნველყოფილი კრედიტები:
ა) სასაქონლო უზრუნველყოფით;
ბ) ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით;
გ) სათამასუკო უზრუნველყოფით;
დ) უძრავი ქონებითა და სხვა ფასეულობით უზრუნველყოფილი კრედიტები;
ე) ოქროს უზრუნველყოფით;
ვ) სასაქონლო დოკუმენტების უზრუნველყოფით.
2. საბლანკო კრედიტები — კრედიტები, რომელიც გაიცემა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ან ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის გარეშე. ასეთი სესხით ძირითადად სარგებლობენ ის კლიენტები, რომელთაც ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აქვთ ბანკთან და გააჩნიათ მაღალი გადახდისუნარიანობა. საბლანკო კრედიტი გაიცემა მოვალის ვალდებულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება სოლო თამასუკით (მესხებლის ერთი ხელმოწერით).
საბლანკო კრედიტის სახეობებია:
ა) კონტოკორენტი — ერთიანი ანგარიში, რომელზეც აღინიშნება ბანკის ყველა ოპერაცია კლიენტებთან. კონტოკორენტი ეხსნება ყველაზე მსხვილ ფირმებს მიმდინარე საწარმოო საქმიანობის დასაკრედიტებლად დაკრედიტების ლიმიტი (ე.წ. საკრედიტო ხაზი) განისაზღვრება კლიენტის საკუთარი კაპიტალის მოცულობის, მისი საქმიანობის მასშტაბისა და ბანკთან ურთიერთობათა სტაბილურობის მიხედვით (უფრო ვრცლად კონტოკორენტის შესახებ იხ. თემა „დაკრედიტების თანამედროვე მუქანიზმი“).
ბ) ოვერდრაფტი — კონტოკორენტის განსაკუთრებული ფორმა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკი კლიენტს ნებას რთავს ჰქონდეს სადებიტო სალდო ანგარიშსწორების ანგარიშზე მცირე ხნის განმავლობაში. ოვერდრაფტის დროს დავალიანების დასაფარავად მიმართულია კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული მთელი თანხა, ამიტომ კრედიტის მოცულობა იცვლება ანგარიშზე საშუალებების შემოსვლასთან ერთად. რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი სესხისაგან.

სესხის გაცემის ტექნიკის მიხედვით:
1. ნაღდი კრედიტები — მოვალის ანგარიშზე ჩარიცხული სესხები;
2. აქცეპტური კრედიტი;
3. სადამოწილო სერთიფიკატი — საკრედიტო დაწესებულების წერილობითი მოწმობა ფულადი საშუალებების დეპონირებაზე, რომელიც ადასტურებს მენაბრის უფლებას დეპოზიტისა და სარგებლის მიღებაზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. არსებობს ვადიანი და მოთხოვნამდე სერთიფიკატები (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. თემა „კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით“).
4. ობლიგაციური სესხი — ობლიგაციების გავრცელების გზით მიღებული კრედიტი (ობლიგაციების შესახებ იხ. თემა „კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით“).
5. კონსორციული კრედიტი — სესხი, რომელიც გაიცემა კონსორციუმის ბანკი-წევრების რესურსების გაერთიანების ხარჯზე, რითაც იზღუდება დანაკარგების რისკი თითოეული ბანკისათვის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში (იხ. თემა „დაკრედიტების თანამედროვე მუქანიზმი“).


კრედიტორის მიხედვით:
1. კერძო კრედიტები, რომელსაც გაცემენ ფირმები, ბანკები, ხანდახან ბროკერები;
2. მთავრობის კრედიტები;
3. შერეული კრედიტები — მათ გაცემაში მონაწილეობენ როგორც კერძო საწარმოები, ასევე სახელმწიფოც;
4. საერთაშორისო და რეგიონული სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციების კრედიტები, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ბუფერული“ კრედიტები — გაიცემა სანდლულო საქონლის „ბუფერული“ მარაგების შესაქმნელად და მიზნად ისახავს მათი ფასების სტაბილიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნული მარაგები იქმნება საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმების საფუძველზე.

კრედიტის ფორმები და სახეობები. სქემის გავრძელება



სარგებელი — საზღაური კრედიტით სარგებლობისათვის.

$$\text{სარგებლის ნორმა} = \frac{\text{სასესხო კაპიტალზე მიღებული წლიური შემოსავალი}}{\text{გაცემული კრედიტის თანხა}} \times 100\%$$



1. ციკლი შედგება ოთხი ფაზისაგან, რომლებიც თანმიმდევრულად მოსდევს ერთმანეთს: კრიზისი, დეპრესია, გაცხოველება და აღმავლობა.

2. „ცხელი ფული“ — ფულადი კაპიტალი, რომელიც სტიქიურად გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორეში ღირებულების შენარჩუნების ან სპეკულაციური ზემოგების მიღების მიზნით. „ცხელი ფულის“ წყაროა ტრანსნაციონალური კორპორაციების, კომერციული და ცენტრალური ბანკების, ექსპორტიორებისა და იმპორტიორების დროებით თავისუფალი და მუდმივი ფულადი დაგროვებები და სხვ. საშიშაა მისი უეცარი გადანაცვლება, რომელიც განპირობებულია ვალუტის კურსისა და სარგებლის განაკვეთების არა მარტო მკვეთრი ცვლილებით, არამედ პოლიტიკური მიზეზებითაც.

II თავი

საკრედიტო მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ცენტრალური ბანკი

ცენტრალური ბანკის ფუნქციები

საკრედიტო ფულის ემისია

სხვა საკრედიტო დაწესებულებათა საკასო რეზერვების აკუმულაცია და შენახვა


ოფიციალური ოქროსავალუტო რეზერვების შენახვა

კომერციული ბანკების დაკრედიტება

მთავრობისათვის სესხის გაცემა და მისთვის საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელება.

საანგარიშსწორებო და გზავნილებითი ოპერაციების შესრულება, მათ შორის უნაღლო ანგარიშსწორება, დაფუძნებული ურთიერთმოთხოვნათა და ვალდებულებათა ჩათვლაზე, ანუ კლირინგი. იგი გამოიყენება საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში. არსებობს ორმხრივი, მრავალმხრივი, საბანკო და სავალუტო კლირინგები.

ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება. რეგულირების ზოგადი სქემა:




რეგულირების მეთოდები:

I. საერთო მეთოდები: 1.საადრიცხო (სადისკონტო) პოლიტიკა; 2.ოპერაციები ღია ბაზარზე — ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საბანკო აქცეპტების და სხვა საკრედიტო ვალდებულებათა დაფარვა საბაზრო ან წინასწარ დაფიქსირებული კურსით; 3.აუცილებელი რეზერვების ნორმების ცვლილება.

II. სელექციური მეთოდები: 1.საბანკო კრედიტების ოდენობის შეზღუდვა; 2.კონტროლი კრედიტის ცალკეულ სახეობაზე.

III. ტარგეტირება (ინგლ. target - მიზანი) - „მიზნობრივი ორიენტირების“ — სხვადასხვა ფულადი აგრეგატების მინიმალური და მაქსიმალური საზღვრების დაწესება გარკვეული პერიოდისათვის (კვარტალის, წელიწადის და ა.შ. პერიოდისათვის) ანტიინფლაციური ღონისძიებების ჩატარების მიზნით.



საქართველოს საკრედიტო სისტემა

ეროვნული ბანკი

ძირითადი ამოცანები
ეროვნული ფულის ერთეულის მყიდველობითი უნარისა და ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება ადგილობრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებით და განხორციელებით. აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა და საბაზრო ურთიერთობაზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ძირითადი ფუნქციები

საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება, მიღება და განხორციელება. ფულის ემისიისა და მიმოქცევის ორგანიზება.

საქართველოს სავალუტო პოლიტიკის შემუშავება, მიღება და განხორციელება

საბანკო საქმიანობისა და ბანკებთან არსებული ვალუტის გამცვლელი პუნქტების ლიცენზირება და ზედამხედველობა

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფლობა, შენახვა და განკარგვა

საქართველოს ბანკირის, მრჩევისა და ფისკალური აგენტის მოვალეობის შესრულება

საანგარიშსწორებო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

საიმედო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა შენახვით ინტერესების დაცვის მიზნით

კომერციული ბანკები

მათი ოპერაციები

პროცენტუანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა.

სესხების გაცემა სამომხმარებლო, საბიზნესო, საბლანკო და სხვა კრედიტების ჩათვლით; ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე; კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, ფორფეტირების ჩათვლით.

ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქების და სადეპოზიტო სერთიფიკატების), ფასიანი ქაღალდების, ფიურერსების, ოპციონების და სხვა სავალო საბუთების ყიდვა-გაყიდვა ბანკის ან კლიენტთა ზარჯზე (მათ შორის როგორც გარანტისა)

უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა საკუთარი ან კლიენტთა სახსრებით

ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება

გადახდის საშუალებების (სავადახლო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრასტების) გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება

საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე

კლიენტების დავალებით ნდობითი (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება

ფასეულობათა (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) შენახვა და აღრიცხვა

საკრედიტო-საცნობარო მომსახურება

საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება

არასაბანკო სადეპოზიტო ორგანიზაციები

საინვესტიციო კომპანიები

საფინანსო კომპანიები


საკვლემოქმედო ფონდები

სასესხო-საშემნახველო ასოციაციები


სადაზღვევო კომპანიები

საპენსიო ფონდები

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ოპერაციები



საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი ეკონომიკური მეთოდები და ინსტრუმენტები





1. დისკონტი

— საბანკო პრაქტიკაში სააღრიცხვო პროცენტი, რომელსაც ახდენებენ ბანკები თამასუქის აღრიცხვის დროს. წარმოადგენს პროცენტებში გამოხატულ სხვაობას თამასუქის თანხასა და იმ თანხას შორის, რომელსაც იხდის ბანკი გადახდის ვადის დადგომამდე თამასუქის ყიდვის დროს. დისკონტური — თამასუქის გადამხურდაკლებული.

III თავი

საბანკო მოგება და მისი წყაროები. საბანკო მოგების ნორმა



$$\text{საბანკო მოგების ნორმა} = \frac{\text{ბანკის წმინდა მოგება}}{\text{ბანკის საკუთარი კაპიტალი}} \times 100\%$$

კომერციული კრედიტი — გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის განვადებით შესყიდვის სახით გაცემული სესხი.

კომერციული კრედიტის იარაღია თამასუქი, ხოლო ობიექტი — სასაქონლო კაპიტალი. თამასუქი (გერმ. Wechsel - ვექსლი) — ფასიანი ქალაქი, რომელიც მოწმობს მისი გამცემის ვალდებულებას გადაუხადოს თამასუქის მფლობელს (წარმდგენს) თამასუქში აღნიშნული თანხა დათქმულ ვადაში.

თამასუქის სახეობებია:

- მარტივი თამასუქი — მსესხებლის მიერ გაცემული სავალ ვალდებულება, რომელზედაც აღნიშნულია გადასანდელი თანხა, სარგებლის ოდენობა, თამასუქის გაცემის ადგილი და დრო, გადახდის ვადა, თამასუქის მფლობელის გვარი, თამასუქის გამცემის ხელმოწერა.

- კერძო თამასუქი — ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გაცემული თამასუქი.
- კომერციული თამასუქი — კერძო თამასუქის სახესხვაობა, დაკავშირებული საქონლის ნისიად გაყიდვასთან.
- სოლო თამასუქი — თამასუქი, რომელზედაც არის მხოლოდ ერთი პირის ხელმოწერა (კომერციულ თამასუქებს, ჩვეულებრივ, აქვთ ორი ან მეტი ხელმოწერა).

- საფინანსო თამასუქი — კერძო თამასუქის სახესხვაობა, დაკავშირებული ფინანსურ ოპერაციებთან.
- ე. წ. „ბრინჯაოს“ თამასუქი — საფინანსო თამასუქის სახესხვაობა. კრედიტუნარო პირის მიერ გაცემული, ანუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით არაუზრუნველყოფილი თამასუქი.

- მეგობრული თამასუქი — თამასუქის სახეობა, რომლის ემიტენტი გადასცემს ვალდებულებას სხვა პირს, ანუ გარანტს. თუ აქცეპტანტი ვერ გაანაღდებს თამასუქს, მაშინ იგი უნდა გაანაღდოს თამასუქის გამცემის გარანტის.
- საზაზნო თამასუქები (ბონები) — სახელმწიფოს მიერ გამოშვებული თამასუქები, საკმაოდ მაღალი სარგებლით. ეს თამასუქები საფინანსო თამასუქის სახესხვაობას წარმოადგენს.


- დომიციალური თამასუქი - თამასუქი, რომელზედაც თამასუქის გამცემი უთითებს, რომ იგი განაღდება მესამე პირის (დომიციალიანტის) მიერ გადახდელის საცხურებელ ადგილას ან სხვა ტერიტორიაზე. თუ მითითებული არ არის დომიციალიანტი, მაშინ ის შეიძლება დასახელდეს იქნეს გადახდელის მიერ თამასუქის აქცეპტის დროს.

საფირმო კრედიტი — საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში კომერციული კრედიტის სახესხვაობა, რომელსაც ერთი ქვეყნის ფირმა აძლევს მეორე ქვეყნის ფირმას საქონლის სახით. მისი ვადები განსხვავებულია და განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურითა და საქონლის სახეობებით. იგი ვაიცემა 2-7 წლის ვადით. საფირმო კრედიტი ფორმდება თამასუქით ან ლია ანგარიშით.

სათამასუქო კრედიტი — ექსპორტიორი, დადებს რა შეთანხმებას საქონლის გაყიდვაზე, აძლევს გადაპირებულ თამასუქს (ტრატას) იმპორტიორს, რომელიც სასაქონლო დოკუმენტების მიღების შემდეგ აქცეპტს უკეთებს ტრატას, ანუ თანხმობას აცხადებს თამასუქის განაღდებაზე.

კრედიტი ლია ანგარიშით — ვაიცემა ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის შეთანხმების საფუძველზე, რომლის თანახმადაც დავალიანება ჩაირიცხება ლია ანგარიშზე და დაიფარება პერიოდულად თვის შუა ან ბოლო რიცხვებში. იგი ფართოდ გამოიყენება საქონლის რეგულარული მიწოდების დროს.

აენსი მყიდველს — იმპორტიორი უცხოელ ექსპორტიორს კონტრაქტის საფუძველზე აძლევს აენსის დაკვეთილი მოწყობილობის, მანქანების ღირებულების, აგრეთვე სესხის 10-15, ზოგიერთ შემთხვევაში — 33 %. აღნიშნული კრედიტი საფირმო კრედიტის სახესხვაობას წარმოადგენს.



სამომხმარებლო კრედიტი — განვადებითი სესხი სამომხმარებლო საქონლის შესაძენად ან მომსახურების ასანაზღაურებლად. ჩვეულებრივ, მისი ობიექტია ხანგრძლივი მოხმარების საქონელი (ავტო, ავტომანქანა, მაცივარი, ტელევიზორი და ა.შ.) და სხვადასხვა მომსახურება. უცხოეთის ქვეყნებში სამომხმარებლო კრედიტის მაქსიმალური ვადაა 3 წელი. მისთვის დამახასიათებელია საკმაოდ მაღალი სარგებელი (მაგ., აშშ-ში — 18% და მეტიც წლიურად, საფრანგეთში საკომისიო გასამრჯელოსთან ერთად — 30%-მდე). სესხის დასაფარავად თანხების დაგვიანებით შეტანის შემთხვევაში საჭირველი ჩამოერთმევა მოვალეს, გაიცილება საჯარო ეაქრობით და მასზე შეტანილი თანხა მხოლოდ ნაწილობრივ უბრუნდება მყიდველს.

საიპოთეკო კრედიტი (გერმ. *hypothek* - გირაო, წინდი) — უძრავი ქონების (მიწის, შენობის) დაგირავებით გაცემული სესხი.

აქცეპტური კრედიტი — საბანკო კრედიტი, რომელსაც მსესხებელი იღებს ბანკისათვის თავისი თამასუქების გადაცემის გზით.

აქცეპტურ-ავალური კრედიტი
აქცეპტი (ლათ. *acceptus* - მიღებული) — თანხმობა ფულადი და სასაქონლო დოკუმენტების განაღდებაზე; ბანკის მიერ გაკეთებული წარწერა თამასუქზე ან ჩეკზე, რომ იგი კისრულობს გაანაღდოს ისინი გარკვეულ ვადაში.
ავალი — გადახდის გარანტია, ფორმდება თამასუქზე საგარანტიო წარწერით ან საპეციალური დოკუმენტის გაცემით.
 აქცეპტებული თამასუქით ბანკი გადახდას აწარმოებს კლიენტის ხარჯზე, რომელიც წინასწარ გადაურიცხავს მას საჭირო თანხებს; ხოლო ავალური ოპერაციის დროს ბანკი გადახდას აწარმოებს მხოლოდ მოვალის გაკოტრების შემთხვევაში. აქცეპტურ-ავალური ოპერაცია ერთდროულად და თანაბარ თანხებში აისახება ბანკის ბალანსის აქტივში (მოთხოვნა კლიენტისადმი, რომლის დავალებითაც ხორციელდება ეს ოპერაცია) და პასივში (ბანკის ვალდებულებანი აქცეპტებული საბუთების მიხედვით).

სალომბარდო კრედიტი — ფასიანი ქაღალდების ან საქონლის დაგირავებით გაცემული სესხი. ტერმინი წარმოდგება იტალიური სიტყვიდან „ლომბარდი“, ასე იწოდებოდნენ მევახშეები, რომლებიც ლომბარდიაში ცხოვრობდნენ.

ოპციური კრედიტი — სესხი, რომლის დაფარვის პირობებს ადგენს კრედიტორი.

დილერის კრედიტი — ერთდღიანი სესხი გაცემული ფასიანი ქაღალდების დაგირავებით.

სუბორდინაციული (პარტისიპაციული) კრედიტი — სესხი, რომლის მიხედვით რესურსები მოიზიდება სასესხო კაპიტალის ბაზრიდან. გამოიყენება საწარმოებისა და ბანკების მიერ საკუთარი საშუალებების შესავსებად კრედიტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ნღობითი კრედიტი — სესხი, რომელიც აკმაყოფილებს კლიენტის მიმდინარე მოკლევადიან (2-3 თვემდე) მოთხოვნებს. გაიცემა კლიენტის წერილობითი შუამდგომლობის, საკრედიტო განაცხადის და ვადიანი ვალდებულების საფუძველზე. კლიენტის ნღობის შემთხვევაში კომერციულმა ბანკმა შეიძლება შეცვალოს ამა თუ იმ დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა.


რეველვერული კრედიტი — გაიცემა დადგენილი ლიმიტისა და დაფარვის ვადის ფარგლებში და ავტომატურად განახლდება დავალის დაფარვისთანავე, კრედიტორისა და მსესხებელს შორის დამატებითი შეთანხმების გარეშე. სესხის გაფორმება ხორციელდება საკრედიტო ხაზის ანალოგიურად.

კრედიტის ფორმები და სახეობები. სქემის გაგრძელება

საერთაშორისო კრედიტი — საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სავალუტო და სასაქონლო რესურსების გაცემა გარკვეული ვადით, მიზნით, უზრუნველყოფით, უკან დაბრუნებისა და სარგებლის გადახდის პირობით.


<p>წყაროების მიხედვით.</p>	<p>უზრუნველყოფის მიხედვით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უზრუნველყოფილი კრედიტები: <ol style="list-style-type: none"> ა) სასაქონლო უზრუნველყოფით; ბ) ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით; გ) სათამასუქო უზრუნველყოფით; დ) უძრავი ქონებითა და სხვა ფასეულობით უზრუნველყოფილი კრედიტები; ე) ოქროს უზრუნველყოფით; ვ) სასაქონლო დოკუმენტების უზრუნველყოფით. 2. საბლანკო კრედიტები — კრედიტები, რომელიც გაიცემა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ან ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის გარეშე. ასეთი სესხით ძირითადად სარგებლობენ ის კლიენტები, რომელთაც ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აქვთ ბანკთან და გააჩნიათ მაღალი გადახდისუნარიანობა. საბლანკო კრედიტი გაიცემა მოვალის ვალდებულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება სოლო თამასუქით (მსესხებლის ერთი ხელმოწერით). 	<p>სესხის გაცემის ტექნიკის მიხედვით:</p>
<p>დანიშნულების მიხედვით:</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. კომერციული კრედიტი — სესხი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული საგარეო ვაჭრობასთან და მომსახურებასთან; 2. ფინანსური კრედიტი — სესხი, რომელიც გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების შესაძენად, დავალიანებათა დასაფარავად, ინვესტიციების განსახორციელებლად, სავალუტო ინტერვენციისთვის და ა.შ. 3. შუალედური კრედიტი — სესხი, რომელიც გათვალისწინებულია როგორც საგარეო სავაჭრო მომსახურებასთან, ასევე საერთაშორისო ოპერაციების განხორციელებასთან. 	<ol style="list-style-type: none"> 1. ნაღდი კრედიტები — მოვალის ანგარიშზე ჩარიცხული სესხები; 2. აქცეპტური კრედიტი; 3. სადებოზიტო სერთიფიკატი — საკრედიტო დაწესებულების წერილობითი მოწმობა ფულადი საშუალებების დეპონირებაზე, რომელიც ადასტურებს მეანბარის უფლებას დეპოზიტისა და სარგებლის მიღებაზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. არსებობს ვადიანი და მოთხოვნამდე სერთიფიკატები (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. თემა „კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით“). 4. ობლიგაციური სესხი — ობლიგაციების გავრცელების გზით მიღებული კრედიტი (ობლიგაციების შესახებ იხ. თემა „კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით“).
<p>სახეობების მიხედვით:</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სასაქონლო კრედიტი, რომელსაც ძირითადად ექსპორტიორები აძლევენ თავიანთ მყიდველებს საქონლის ფორმით; 2. სავალუტო კრედიტი, რომელსაც გასცემენ ბანკები ფულადი ფორმით. 	<ol style="list-style-type: none"> 5. კონსორციული კრედიტი — სესხი, რომელიც გაიცემა კონსორციუმის ბანკ-წევრების რესურსების გაერთიანების ხარჯზე, რითაც იზრდება დანაკარგების რისკითიყოფილი ბანკისათვის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში (იხ. თემა „დაკრედიტების თანამედროვე ტექნიკები“).
<p>სესხის ვალუტის მიხედვით:</p>	<ol style="list-style-type: none"> ა) კონტოკორენტი — ერთიანი ანგარიში, რომელზეც აღინიშნება ბანკის ყველა ოპერაცია კლიენტებთან. კონტოკორენტი ეხსნება ყველაზე მსხვილ ფირმებს ემპირიულ საწარმოო საქმიანობის დასაკრედიტებლად. დაკრედიტების ლიმიტი (ე.წ. საკრედიტო ხაზი) განისაზღვრება კლიენტის საკუთარი კაპიტალის მოცულობის, მისი საქმიანობის მასშტაბისა და ბანკთან ურთიერთობათა სტაბილურობის მიხედვით (უფრო ვრცლად კონტოკორენტის შესახებ იხ. თემა „დაკრედიტების თანამედროვე ტექნიკები“). ბ) ოვერდრაფტი — კონტოკორენტის განსაკუთრებული ფორმა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკი კლიენტს ნებას რთავს პეონდეს სადებეტო სალოდ ანგარიშსწორების ანგარიშზე მცირე ხნის განმავლობაში. ოვერდრაფტის დროს დავალიანების დასაფარავად მიმართულია კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული მთელი თანხა, ამიტომ კრედიტის მოცულობა იცვლება ანგარიშზე საშუალებების შემოსვლასთან ერთად. რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი სესხისაგან. 	<p>კრედიტორის მიხედვით:</p>
<p>ვადების მიხედვით:</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მოკლევადიანი — ერთ წლამდე ვადით (ზემოკლევადიანი — სამ თვემდე ვადით, ერთდღიანი, ერთკვირიანი); 2. საშუალოვადიანი — ერთიდან ხუთ წლამდე ვადით; 3. გრძელვადიანი — ხუთ წელზე მეტი ხანგრძლივობით. 	<ol style="list-style-type: none"> 1. კერძო კრედიტები, რომელსაც გასცემენ ფირმები, ბანკები, ხანდახან ბროკერები; 2. მთავრობის კრედიტები; 3. შერეული კრედიტები — მათგანშია მონაწილეობენ როგორც კერძო საწარმოები, ასევე სახელმწიფოც; 4. საერთაშორისო და რეგიონული სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციების კრედიტები, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ბუფერული“ კრედიტები — გაიცემა სანდლელეულო საქონლის „ბუფერული“ მარაგების შესაქმნელად და მიზნად ისახავს მათი ფასების სტაბილიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნული მარაგები იქმნება საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმების საფუძველზე.

კრედიტის ფორმები და სახეობები. სქემის გაგრძელება



სარგებელი — საზღაური კრედიტით სარგებლობისათვის.

$$\text{სარგებლის ნორმა} = \frac{\text{სასესხო კაპიტალზე მიღებული წლოური შემოსავალი}}{\text{გაცემული კრედიტის თანხა}} \times 100\%$$



1. ციკლი შედგება ოთხი ფაზისაგან. რომლებიც თანმიმდევრულად მოსდევს ერთმანეთს: კრიზისი, დეპრესია, გაცხოველება და აღმავლობა.

2. „ცხელი ფული“ — ფულადი კაპიტალი, რომელიც სტიქიურად გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორეში ღირებულების შენარჩუნების ან სპეკულაციური შემოგების მიღების მიზნით. „ცხელი ფულის“ წყაროა ტრანსნაციონალური კორპორაციების, კომერციული და ცენტრალური ბანკების, ექსპორტიორებისა და იმპორტიორების დროებით თავისუფალი და მუდმივი ფულადი დაგროვებები და სხვ. საშინაო მისი უეტარი გადაინაცვლება, რომელიც განპირობებულია ვალუტის კურსისა და სარგებლის განაკვეთების არა მარტო მკვეთრი ცვლილებით, არამედ პოლიტიკური მიზეზებითაც.

II თავი

საკრედიტო მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ცენტრალური ბანკი

ცენტრალური ბანკის ფუნქციები

საკრედიტო ფულის ემისია

სხვა საკრედიტო დაწესებულებათა საკასო რეზერვების აკუმულაცია და შენახვა


ოფიციალური ოქროსავალუტო რეზერვების შენახვა

კომერციული ბანკების დაკრედიტება

მთავრობისათვის სესხის გაცემა და მისთვის საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელება.

საანგარიშსწორებო და გზავნილებითი ოპერაციების შესრულება, მათ შორის უნაღლო ანგარიშსწორება, დაფუძნებული ურთიერთმოთხოვნათა და ვალდებულებათა ჩათვლაზე, ანუ კლირინგი. იგი გამოიყენება საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში. არსებობს ორმხრივი, მრავალმხრივი, საბანკო და სავალუტო კლირინგები.

ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება. რეგულირების ზოგადი სქემა:




რეგულირების მეთოდები:

I. საერთო მეთოდები: 1. საადრიცხო (სადისკონტო) პოლიტიკა; 2. ოპერაციები ღია ბაზარზე — ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საბანკო აქცეპტების და სხვა საკრედიტო ვალდებულებათა დაფარვა საბაზრო ან წინასწარ დაფიქსირებული კურსით; 3. აუცილებელი რეზერვების ნორმების ცვლილება.


დაფარვის კოეფიციენტი (დკ)	I, II და III კლასის ლიკვიდური აქტივები. III კლასი — ნედლეულის და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოების, საკუთარი ძირითადი ფონდების ღირებულება; იჯარით აღებული შენობის საწყის და ახალ ღირებულებას შორის სხვაობა, თუ მისი გადახდა გათვალისწინებულია საიჯარო ხელშეკრულებით.	მცირე საწარმოს ყველა სავალო ვალდებულების მოცულობა
საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი	საკუთარი სახსრები: საპაიო შენატანები; სპეციალური ფონდების ნაშთები; გაუნაწილებელი მოგება.	საკუთარ საბრუნავ საშუალებათა საერთო თანხა.
ნედლეულის მიწოდების უზრუნველყოფა ხელშეკრულებებით	ნედლეულისა და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ღირებულება, რომელთა მიწოდებაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით საგემო წელს.	წლის განმავლობაში ზარჯთაღრიცხვის მიხედვით ნედლეულისა და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანახარჯები.
პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფა ხელშეკრულებებით	პროდუქციის ღირებულება, რომლის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით ერთი წლის განმავლობაში.	დაგეგმილი ამონაგები რეალიზაციიდან (შემოსავალი) ერთი წლის განმავლობაში.
შემოსავლის განაწილების თანაბარზომიერების მაჩვენებელი	საშუალო კვადრატული გადახრა შემოსავლიდან ერთი კვარტლის განმავლობაში (σx).	საშუალო შემოსავალი კვარტალში.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრის მეთოდი

კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრის საფუძველია მათი საქმიანობის ფაქტობრივი მაჩვენებლების დონე და რეიტინგი. საშუალო დონის კოეფიციენტებისა და მაჩვენებლების შემთხვევაში მსესხებელს მიეკუთვნება II კლასი, საშუალოზე მაღალი დონის პირობებში — I, ხოლო საშუალოზე დაბალი დონისას — III კლასი.

სახელმწიფო და მსხვილი სააქციო საწარმოების კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მოდელი


დარგის დასახელება	ლიკვიდობის კოეფიციენტი			დაფარვის კოეფიციენტი			უზრუნველყოფის მაჩვენებელი		
	I კლასი	II კლასი	III კლასი	I კლასი	II კლასი	III კლასი	I კლასი	II კლასი	III კლასი
I ჯგუფის დარგის საწარმოები	0.6 - ზე მეტი	0.6-0.4	0.4 - ზე ნაკლები	1.5-ზე მეტი	1.5-1.3	1.3-1.0	50%-ზე მეტი	50-30%	30% - ზე ნაკლები
II ჯგუფის დარგის საწარმოები	0.4 - ზე მეტი	0.4-0.25	0.25-ზე ნაკლები	2.0-ზე მეტი	2.0-1.5	1.5-1.0	35%-ზე მეტი	35-25%	25% - ზე ნაკლები
III ჯგუფის დარგის საწარმოები	0.45-ზე მეტი	0.45-0.3	0.3 - ზე ნაკლები	1.8-ზე მეტი	1.8-1.3	1.3-1.0	60%-ზე მეტი	60-45%	45% - ზე ნაკლები

მსესხებლის კრედიტუნარიანობა ფასდება ქულებით. ქულა წარმოადგენს თითოეული მაჩვენებლის რეიტინგის შესაბამისი კლასის კრედიტუნარიანობაზე ნამრავლების ჯამს. I კლასი მიენიჭება 100-150, II — 151-250, ხოლო III — 251-300 ქულის შემთხვევაში.

ქულების საერთო ჯამის განსაზღვრის მაგალითი:

მაჩვენებლები	მაჩვენებელთა რეიტინგი, %-ში	I ვარიანტი		II ვარიანტი		III ვარიანტი		IV ვარიანტი		V ვარიანტი		VI ვარიანტი		
		კლასი	ქულები	კლასი	ქულები	კლასი	ქულები	კლასი	ქულები	კლასი	ქულები	მაჩვენებელთა რეიტინგი, %-ში	კლასი	ქულები
ლიკვიდობის კოეფიციენტი	40	I	40	II	80	III	120	III	120	I	40	20	III	60
დაფარვის კოეფიციენტი	30	I	30	II	60	III	90	III	90	II	60	10	III	30
უზრუნველყოფის კოეფიციენტი	30	I	30	II	60	III	90	III	60	III	90	70	II	140
სულ	X	I	100	II	200	III	300	III	270	II	190	X	II	230

კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელთა ანალიზის ძირითადი მიმართულებანი



რეკომენდებული არ არის ამალდეს კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასი ან შეიცვალოს დაკრედიტების პირობები მოცემული კლასის მიხედვით, თუ:

1. გაუმჯობესდა ლიკვიდობის კოეფიციენტი მხოლოდ და მხოლოდ დებიტორული დაგვლიანების ან მზა პროდუქციის ნაშთების ზრდის ხარჯზე;

2. გაიზარდა დაფარვის კოეფიციენტი მზა პროდუქციის ნაშთების მატების ხარჯზე (თუ მატება გამოწვეულია გასაღების ხელშეკრულებით არაუზრუნველყოფილი პროდუქციის ან ძნელად რეალიზებადი ნედლეულის ნაშთებითა და დაუმთავრებელი წარმოების ზრდით);

3. გაუმჯობესდა ლიკვიდური სახსრების სტრუქტურა;


4. შემცირდა საბრუნავ საშუალებათა მოცულობა მათზე მუდმივი მინიმალური მოთხოვნილების დადგენილ დონესთან შედარებით;

5. მცირე სამრეწველო სტრუქტურების საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი იზრდება საწარმოს სარისკო საქმიანობასთან დაკავშირებული ფონდების ხარჯზე;

6. საწარმოო საქმიანობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი გაუმჯობესდა არაკრედიტუნარიან მყიდველებთან და მიმწოდებლებთან ხელშეკრულების დადების ხარჯზე;

7. შემცირდა საგალო ვალდებულებები დასაკრედიტებელი ნედლეულის მიუწოდებლობის გამო.

XII თავი დაკრედიტების თანამედროვე მექანიზმი



საქართველოს ეროვნული ბანკის ლიმიტები

საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა (მათ შორის ფულადი ფორმით).

ბანკის აქტივების (რისკის გათვალისწინებით შეწონასწორებული აქტივების და ბალანსგარეშე პოზიციების ჩათვლით) და ბანკის სხვა სისტემის კაპიტალის და რეზერვების ზღვრული ურთიერთთანაფარდობა.

ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა ბანკის კაპიტალთან.

ბანკის მიერ ერთი მსესხებლისათვის (ინსაიდერისათვის და აუტსაიდერისათვის) გაცემული კრედიტების და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის კაპიტალთან.

ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის (ბანკთან, ასევე ერთმანეთთან დაკავშირებული პირებისათვის) გაცემული კრედიტების და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის კაპიტალთან.

ყველა კრედიტის მაქსიმალურად დასაშვები მოცულობა, რაც გამოიხატება პროცენტულად ბანკის ყველა იმ გაცემულ კრედიტთან მიმართებაში, რომელიც შეიძლება გასცეს ბანკმა ყველაზე მსხვილ მსესხებელზე (მათ შორის ინსაიდერებსა და ურთიერთდაკავშირებულ პირებზე).

საქართველოს ეროვნული ბანკის ეკონომიკური ნორმატივები

ლიკვიდური თანხების მინიმალური ერთობლივი თანხის ან ასეთი სახსრების კონკრეტულ სახეობათა თანაფარდობა აქტივების (მიღებული გარანტიებისა და გირაოს ჩათვლით) ღირებულებასთან ან მათი ღირებულების ცვლილებასთან. ასეთი თანაფარდობა შეიძლება დაწესდეს აქტივების სახეობასთან ან პასივებთან ზოგადად ან მათ კონკრეტულ სახეობასთან, ამასთან ყველა შემთხვევაში ბანკები ინარჩუნებენ ლიკვიდურობის დაცვის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულ ბანკში შესაბამისი სახსრების განთავსების უფლებას.

კრედიტებისა და ინვესტიციების ან მათი განსაკუთრებული სახეობების მაქსიმალური ერთობლივი თანხა.

აქტივების კლასიფიკაციის ღირებულების შეფასების და მათ საფუძველზე საეჭვო და უიმედო სესხების მიხედვით რეზერვების გაანგარიშების, ასევე იმ ვადების შესახებ, რომელთა გასვლის შემდეგაც უიმედო სესხების მიხედვით მისაღები თანხები აღარ აღირიცხება შემოსავალში, გარდა ნაღდად მიღებულისა.


აკრძალვების, შეზღუდვების ან პირობების შესახებ, რომლებიც შეეხება:

გაცემული კრედიტების და განხორციელებული ინვესტიციების სახეობებსა და ფორმებს.

აქტივებისა და პასივების (ბალანსგარეშე და სხვა) მიხედვით დაბრუნების ვადებისა და სარგებლის განაკვეთების შესაბამისობას.

დადგენილი ლიმიტების გადაშეტებით წარმოქმნილ ღია პოზიციებს უცხოურ ეალუტაზე. ძვირფას ლითონებსა და ძვირფას ქვებზე.

საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი განყოფილებები



შენიშვნა: 1. ბანკი საკრედიტო ხელშეკრულებას დებს მხოლოდ მსესხებლის კრედიტუნარიანობის ლიკვიდურობის, ფინანსური სტაბილურობის, შესაბამისი უზრუნველყოფისა და კრედიტის დროულა დაუბრუნებლობის მინიმალური რისკის პირობებში. 2. საკრედიტო ხელშეკრულება ითვალისწინებს კრედიტორის მიერ საჭიროების შემთხვევაში მსესხებლის სამეურნეო საქმიანობის, ფინანსურ მდგომარეობის, დასაკრედიტებელი ღონისძიების ეკონომიკური ეფექტიანობის დამატებით შესწავლას. ხელშეკრულებას თან ერთვის კრედიტის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა. 4. საკრედიტო ხელშეკრულება დგება 2 ეგზემპლარად, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ.

კრედიტის მისაღებად საჭირო დოკუმენტები

- ბანკის მიერ დადგენილი საკრედიტო განაცხადი. ორგანიზაციის ბალანსები დანართებით (ფორმა №2, მოგების დეკლარაცია და სხვ.) ბოლო 2 წლის და მიმდინარე პერიოდების მდგომარეობით.
- დასაკრედიტებელი ღონისძიების ბიზნეს-გეგმა ან ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება, რომელიც შეიცავს ყველა იმ დანახარჯთა ნუსხას, რომელიც გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან და კრედიტის დაფარვის გადასახდელების გათვლას.
- ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი: ხელშეკრულებათა პაკეტი (ხელშეკრულებები ძირითად კლიენტებთან, მომწოდებლებთან, რომლებიც ადასტურებენ დასაკრედიტებელი ღონისძიების განსახორციელებლად აუცილებელ წინაპირობათა არსებობასა და მის შედეგად მიღებული პროდუქციის რელიზაციის რეალურ პერსპექტივებს).
- იურიდიული პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ინფორმაცია - წერილი იმის შესახებ, სარგებლობს თუ არა მიმდინარე ეტაპზე ორგანიზაცია სხვა ბანკის კრედიტით და ასეთის არსებობის შემთხვევაში დეტალური ინფორმაცია აღებული კრედიტის პირობათა შესახებ.
- სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა და ლიცენზია საქმიანობის წარმოებაზე, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო რეგისტრაციას არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე.
- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან მსესხებლის მიერ ბანკებში გახსნილი ანგარიშებისა და დავალიანებების შესახებ.
- იმ იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს ბანკთან კრედიტის მიღების თაობაზე.
- აუდიტორული დასკვნა (უახლესი).
- სადაზღვევო პოლისები.
- კრედიტის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- იურიდიული პირის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (თუ იურიდიული პირის სტატუსია სააქციო საზოგადოება) ან პარტნიორთა კრების ოქმი (თუ მსესხებლის იურიდიული სტატუსია შეზღუდული ან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება), რომელშიც ფიქსირდება კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბანკო კრედიტის მიღებისა და ორგანიზაციის ქონების ოდენობის შესახებ, აგრეთვე ამონაწერები მსესხებლის საბანკო ანგარიშებიდან უკანასკნელი წლის ყოველთვიური ბრუნვების შესახებ.

საბანკო კრედიტის მოცულობის განსაზღვრის მეთოდიკა

კრედიტის მოცულობა განისაზღვრება საგადასახდელი ბრუნვაში ფაქტობრივი გარღვევის თანხის შესაბამისად. მზიშვნა: ეს იმ შემთხვევაში, როცა გადასახდელი ჭარბობს საწარმოს თავისუფალ ფულად საშუალებებს.

კრედიტის ოდენობა განისაზღვრება საწარმოდ გადასახდელის თანხის შესაბამისად. ამ შემთხვევაში სესხი გაიყვანა ფაქტობრივი გარღვევის თანხის 100%-ის ოდენობით (როგორც ნების გამოვლინება მაღალრეიტინგიანი საწარმოსადმი დროებითი ფინანსური სიმწიფეების დასახვევად).

კრედიტის მოცულობა ტოლია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა გადახდილი ნაშთებისა (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა რეალური მარაგების დაკრედიტების დროს).

საწარმოო დასახარჯების დაკრედიტების დროს კრედიტის მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: წარმოების დანახარჯებს აკლდება ანაზღაურების თანხა სავაჭრო პერიოდში.

სეზონური მოთხოვნილებების დაკრედიტების კრედიტის მოცულობა ტოლია შემოსავლებზე გასაველების სეზონური გარდაამტების.

გადატვირთულ საქონელზე სესხის გაცემისას კრედიტის მოცულობა ტოლია გადატვირთული საქონლის საბალანსო ღირებულებისა. ამ შემთხვევაში დაკრედიტება ხორციელდება, როგორც წესი, ფასდაკლებით, ე.ი. არადასაკრედიტებელი ელემენტების ღირებულების გამოკლებით.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში კრედიტის მოცულობის განსაზღვრის უნივერსალური მეთოდი სესხის გაცემა არა სრული თანხით, არამედ მისი გარკვეული ნაწილის გამოკლებით (ჩვეულებრივ, ეს არის მოთხოვნილი კრედიტის გარკვეული პროცენტი), რომელსაც ბანკი არ აკრედიტებს. აღნიშნული ნაწილი ბანკის მიერ დამოუკიდებლად განისაზღვრება: მხედველობაში მიიღება ბანკის აღრიცხვის გამოცდილება, კლიენტის კრედიტუნარიანობა, ეკონომიკური რისკი და ა.შ.

1. დასაკრედიტებელი ელემენტები: პროდუქციის გვერდითი თვითღირებულება, სატრანსპორტო ხარჯები, დანახარჯები შეფუთვასა და ტარაზე, არადასაკრედიტებელი ელემენტები: მოგება და დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი.

კონტოკორენტი

კონტოკორენტი

[იტალ. conto corrente - მიმდინარე ანგარიში] — ერთიანი ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ბანკის ყველა ოპერაცია კლიენტებთან. კონტოკორენტზე აღნიშნულია, ერთი მხრივ, ბანკების სესხები და კლიენტის დავლებით ანგარიშიდან ყველა გადასახდელი, მეორე მხრივ, — საშუალებები, რომლებიც შემოდის ბანკში კლიენტებიდან ანაბრების, სესხის დაბრუნების და სხვა სახით¹.

განვითარებულ ქვეყნებში კონტოკორენტი ეხსნება, როგორც წესი, ყველაზე მსხვილ ფორმებს მიმდინარე საწარმოო საქმიანობის დასაკრედიტებლად. ინვესტიციების დაფინანსება ამ ანგარიშიდან არ ხდება. დაკრედიტების ლიმიტი (ე.წ. საკრედიტო ზაზი) განისაზღვრება მსესხებლის საკუთარი კაპიტალის მოცულობის, მისი საქმიანობის მასშტაბებისა და ბანკთან ურთიერთობათა სტაბილურობის მიხედვით. კონტოკორენტიდან დაკრედიტების წესი დიფერენცირებულია მსესხებლის ფინანსური სიმყარის შესაბამისად. მაგ., მსხვილი ფირმები სესხს იყენებენ უზრუნველყოფის გარეშე, ხოლო მცირე საწარმოები — ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით. პირველი კლასის მსესხებელს ბანკმა შეიძლება გაუზარდოს დაკრედიტების ლიმიტი დამატებითი ხელშეკრულების დადების გარეშე, თუმცა ასეთი სახის სესხისათვის ბანკი იღებს საკომისიო გასამრჯელოს. პროცენტები დაირიცხება საღლოს გამოყვანისას. კრედიტზე საზღაური აისახება კონტოკორენტის დებეტში, ე.ი. ზრდის კლიენტის ეკოს ბანკისადმი.

განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის, ბანკები გაცემენ სესხს ოვერდრაფტის ფორმით, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც კონტოკორენტის განსაკუთრებული ფორმა. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკი კლიენტს ნებას რთავს ჰქონდეს სადებეტო საღლო ანგარიშსწორების ანგარიშზე მცირე ხნის განმავლობაში. კონტოკორენტისაგან განსხვავებით, დავლიანება ოვერდრაფტის მიხედვით შეიძლება არ გაფორმდეს ხელშეკრულებით. ამიტომ ბანკს ყოველთვის შეუძლია უარი თქვას ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ჭარბი თანხებიდან გადახდაზე.


კონტოკორენტიდან დაკრედიტების თანამედროვე მოდელი

კრედიტის გვერდითი მოცულობის განსაზღვრა	კრედიტის გვერდითი ოდენობის გამოყენების რეჟიმი
<p>კრედიტის გვერდითი ოდენობა განისაზღვრება დაკრედიტების ერთობლივი (გამსხვილებული) ობიექტის საფუძველზე და წარმოადგენს სხვაობას საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნილებასა და მათ არსებულ წყაროებს შორის. მოთხოვნილება ყალიბდება ნორმირებული აქტივების ნაშთების, გადატვირთული საქონლის (რომლის გადახდის ვადაც ჯერ არ დამდგარა) და დებიტორული დავლიანებისაგან. აღნიშნული სხვაობის გაანგარიშებას თვით კლიენტი ახორციელებს საბრუნავ საშუალებათა ბალანსის საფუძველზე ერთი წლისათვის (კვარტალური დაყოფით).</p>	<p>კრედიტის გვერდითი ოდენობის გამოყენების რეჟიმი შეიძლება შეიცვალოს კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზის შედეგებისა და კრედიტზე მოთხოვნილების შესწავლის შესაბამისად. პირველი ვარიანტი (კრედიტუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზის შედეგები) გამოიყენება, როცა ფაქტობრივად არაა შენიშვნები კრედიტუნარიანობის კოეფიციენტების მიხედვით. სხვა შემთხვევებში და აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობისას, როგორც სანქცია, გამოიყენება მეორე ვარიანტი (კრედიტზე მოთხოვნილების შესწავლა), რომლის დროსაც კრედიტის გვერდითი ოდენობის გადაჭარბება დასაშვებია მხოლოდ გარკვეულ პირობებში.</p>

1. იხ. ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი. რედაქტორი პროფ. რ. შითაიშვილი. — თბ., 1991, გვ. 60.

საქართველო

კონტოკორენტიდან დაკრედიტების პროცესში საბანკო კონტროლის მექანიზმი



კრედიტის ბრუნვის სისწრაფის გვერდი და ფაქტობრივი მარეგნებლების ყოველკვარტალური შედარება


კრედიტის ბრუნვის სისწრაფის შენელების შემთხვევაში დაწესებული საჯარიმო დანაშაულები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარეგულზე.

კრედიტის გვერდი ოდენობა შეიძლება განისაზღვროს საბრუნავ საშუალებათა გვერდი ბალანსიდან. დავალიანებათა დაფარვის გვერდი ბრუნვა შედგება კვარტალში რეალიზაციის გვერდი მოცულობის და სხვა გვერდი შემოსულობისაგან (მისი სტრუქტურა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული მსესხებლის მიხედვით). კვარტალის ბოლოს განისაზღვრება კრედიტის ფაქტობრივი ბრუნვა ოდენობა:

$$\frac{\text{კრედიტის ბრუნვის სისწრაფე (ფაქტობრივი)}}{\text{კრედიტის ბრუნვის სისწრაფე}} = \frac{\text{კონტოკორენტის მიხედვით კვარტალური ოდენობა} \times \text{კვარტალში საშუალო დღეთა რაოდენობა}}{\text{კონტოკორენტის მიხედვით ფაქტობრივი ბრუნვა}}$$

ფაქტობრივი ბრუნვა ოდენობის გაღასრა გვერდიდან განისაზღვრება როგორც აბსოლუტურ თანხებში, ასევე პროცენტებშიც. გაღასრა შეიძლება წარმოადგენდეს ან საჯარიმო სანქციას, ან შედეგითიან ფასდაკლებას ძირითად სარგებელზე.

გრძელვადიანი დაკრედიტების ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები




1. კრედიტის უზრუნველყოფის ფორმების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ მომდევნო თავში.
2. ჩვეულებრივ, კომერციული ბანკები ღიდი სიფრთხილით ეკიდებიან გრძელვადიანი სესხების გაცემას. მათ, ბუნებრივია, ურჩევნიათ მოკლევადიანი კრედიტის გაცემა. ამ შემთხვევაში ბანკის რისკი გაცილებით ნაკლებია.

გრძელვადიანი კრედიტის მოცულობის განსაზღვრის მეთოდის კვა

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში გრძელვადიანი კრედიტის მოცულობა განისაზღვრება საწარმოს მიერ თვითდაფინანსების შესაძლებლობიდან გამომდინარე. თვითდაფინანსების მანევრებლად ხშირად გამოდის ე.წ. "Cash Flow", რაც ნიშნავს ფულად ნაკადს. ამ მანევრებულს სხვადასხვა მეთოდით ანგარიშობენ. ჩვეულებრივ, იგი ახასიათებს წმინდა მოგების თანხას, რეზერვებში თანხების ჩარიცხვასა და ჩამოწერებს და მოიცავს იმ სახსრებს, რომელსაც საწარმო იყენებს ინვესტიციებისა და სესხების დასაფარავად. "Cash Flow" საკმაოდ კარგად ასახავს საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

თვითდაფინანსების მანევრებელი შეიძლება გამოითვალოს შემდეგი სქემის მიხედვით: საბალანსო მოგებას მინუს გადასახადები, პლუს ამორტიზაცია, პლუს (მინუს) ფონდებში ფულადი ანარიცხები და ფონდებიდან თანხების მიღება, მინუს საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ნორმატივის მატებაზე გაცემული სესხების მიხედვით დავალანების ნაშთი.

საბანკო პრაქტიკაში თვლიან, რომ გრძელვადიანი და საშუალოვადიანი კრედიტების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს თვითდაფინანსების შესაძლებლობას 3-4 წლის განმავლობაში:




სამომხმარებლო გრძელვადიანი სესხის გაცემისას რისკი მცირდება სესხის დაბრუნების სუაარანტიო სისტემის არსებობასთან დაკავშირებით.

გრძელვადიანი კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს წარმოადგენს გირაო. გირაოთი გაცემული გრძელვადიანი სესხის ძირითადი სახეობებია:

1. მოძრავი ქონების დაგირავებით გაცემული გრძელვადიანი სესხი;
2. უძრავი ქონების დაგირავებით გაცემული გრძელვადიანი სესხი.

გირაოთი გაცემული გრძელვადიანი სესხები პირველ რიგში დაკავშირებულია საიპოთეკო კრედიტთან და კომერციული ბანკის სალომბარლო ოპერაციებთან.





კონსორციული კრედიტები

კონსორციუმი [ლათ. *consortium*- თანამონაწილეობა] — რამდენიმე მსხვილი ბანკის ან სხვა სტრუქტურების (ფირმების, კომპანიების, კორპორაციების და ა.შ.) დროებითი ან მუდმივად მოქმედი გაერთიანება რაიმე მსხვილი ფინანსური ოპერაციის ერთობლივად ჩატარების მიზნით. მასში მონაწილენი ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას. ერთობლივად არჩეულ ხელმძღვანელობას ისინი ექვემდებარებიან მხოლოდ საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც მიმართულია კონსორციუმის მიზნების მისაღწევად.


საბანკო კონსორციუმი გაცემს კრედიტებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნებისათვის, თუ კრედიტის მოცულობა ან საკრედიტო რისკი უაღრესად დიდია ერთი ბანკისათვის.

კონსორციული კრედიტი გაიცემა ბანკი-წევრების რესურსების გაერთიანების ხარჯზე, რითაც იზღუდება დანაკარგების რისკი თითოეული ბანკისათვის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში.

კონსორციული კრედიტი არ წარმოადგენს კრედიტის დამოუკიდებელ ფორმას და ეყრდნობა იგივე პრინციპებს, რასაც სხვა სახეობის სესხები, იცვლება მხოლოდ საკრედიტო რესურსების აკუმულაციის მექანიზმი და კრედიტის გაცემის ტექნიკა.



1. ჩვეულებრივ, კონსორციული კრედიტის გაცემის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს კონსორციუმის ერთი ან რამდენიმე წამყვანი ბანკი. ერთობლივი ხელმძღვანელობისას მაინც გამოიყოფა წამყვანი ბანკი. სწორედ იგი ახორციელებს კლიენტთან მოლაპარაკებას, დეტალურად სწავლობს და აანალიზებს მის საქმიანობას, წინასწარ განსაზღვრავს დასაკრედიტებელი პროექტის პერსპექტიულობას და კლიენტის საიმედოობას, განსაზღვრავს კრედიტის გაცემის პირობებსა და დაფარვის ვადებს, ღებს მასთან საკრედიტო ხელშეკრულებას.



გაცემული კონსორციული კრედიტები ფორმდება ვადიანი ვალდებულებებით. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ბანკის საგარანტიო ვალდებულებათა ფუნქციას ასრულებს აგრეთვე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდიც, რომლის აღრიცხვაც შესაძლებელია.

კრედიტის დაფარვის ვადის დადგომისას მსესხებელი კრედიტორს უბრუნებს არა მარტო თავნება და სარგებელს, არამედ ანაზღაურებს ყველა იმ დანახარჯს, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო ოპერაციასთან და, როგორც წესი, გათვალისწინებულია საკრედიტო ხელშეკრულებით.

კონსორციუმის ბანკი-ხელმძღვანელი კონსორციუმის ხელმძღვანელობასა და ოპერაციის ორგანიზაციაზე ღებულობს სპეციალურ გასამრჯელოს. გარდა ამისა, იგი იღებს სარგებელსა და საკომისიოს, რაც მთლიანად ფარავს მის უშუალო დანახარჯებს.

კონსორციულ კრედიტს გარკვეულწილად წააგავს ე.წ. პარალელური კრედიტი, სადაც რამდენიმე ბანკი ღებს შეთანხმებას ერთი მსესხებლის დაკრედიტებაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში თითოეული ბანკი დამოუკიდებლად აწარმოებს მოლაპარაკებას მსესხებელთან, ღებს მასთან ხელშეკრულებას და აძლევს კრედიტის გარკვეულ ნაწილს, რაც სხვა ბანკებთანაა შეთანხმებული.


კონსორციული, ანუ პარალელური კრედიტის თავისებური ფორმაა კლიენტის ვალდებულებებზე ბანკის ან ბანკების გარანტიები და თავდებები.

თუ კლიენტი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს, მაშინ ბანკები თავის თავზე იღებენ მათ განაღდებას, რასაც აფორმებენ როგორც კრედიტს და შემდეგ ამოიღებენ მას მოთხოვნის სახეობის, კრედიტის ვადისა და თანხის შესაბამისად.

XIII თავი


კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმები

კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმის ცნებაში იგულისხმება ვალის დაფარვის კონკრეტული წყარო, კრედიტორის იურიდიულად გაფორმებული უფლება სესხის გამოყენებაზე, ბანკის კონტროლის ორგანიზაცია მოცემული წყაროს საკმარისობასა და აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად მისაღებია იგი.



გირაო და საგირაო უფლება

ფინანსურად მყარი (სტაბილური) საწარმოებისათვის, ანუ პირველი კლასის მსესხებელთათვის კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველსაყოფად საკმარისია იურიდიულად გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში დაფიქსირდეს, რომ სესხების დაფარვა განხორციელდება მიღებული ამონაგებიდან. ხოლო დაბალრეიტინგიანი და შედარებით არასტაბილური საწარმოებისათვის ბანკი იყენებს უზრუნველყოფის სპეციფიკურ ფორმებს — გირაოსა და საგირაო უფლებას.




მთხოვნების დათმობა და საკუთრების უფლების გადაცემა

ცივილიზებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველსაყოფად ხშირად გამოიყენება მთხოვნების დათმობა, ანუ ცესია და საკუთრების უფლების გადაცემა.


მთხოვნების დათმობა (ცესია) — მსესხებლის (ცედეტის) დოკუმენტი, რომელშიც ის უთმობს თავის მთხოვნებს (დებიტორულ დავალიანებას) კრედიტორს (ბანკს), როგორც კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის გარანტიას.

ცესიის სამართლებრივი სტრუქტურის სქემა



საცესიო ხელშეკრულება ავსებს საკრედიტო ხელშეკრულებას, კმნის რა ამით სესხების დაბრუნების სამართლებრივ საფუძველს.


საცესიო ხელშეკრულება ითვალისწინებს დათმობილი მთხოვნის მიხედვით ფულადი თანხების მიღების უფლების გადაცემას ბანკისადმი. დათმობილი მთხოვნის თანხა, ბუნებრივია, საკმარისი უნდა იყოს სასესხო დავალიანების დასაფარავად. თუ აღნიშნული თანხა ჭარბობს დავალიანებას, მაშინ სხვაობა უბრუნდება ცედეტს. ^{მსკს}



- შენიშვნა:**
1. მსესხებელი უპირატესობას ფარულ ცესიას ანიჭებენ, რადგან იგი არ ლახავს მათ ავტორიტეტს. მაგრამ ბანკისათვის ფარული ცესია გარკვეულ რისკთანა დაკავშირებული, კონაიდან: ჯერ-ერთი, დათმობილი მოთხოვნების თანხები იშვიათად ხვდება მსესხებლის ანგარიშზე, რომლებიც სხვადასხვა ბანკებშია გახსნილი; მეორეც, მსესხებელს უფლება აქვს მოთხოვნები დათმოს რამდენიმეჯერ; და ბოლოს, მსესხებელმა შეიძლება დათმოს უკვე აღარ არსებული ცესიის ენიჭება.
 2. პრაქტიკაში უპირატესობა გლობალურ ცესიას ენიჭება.
 3. საერთო და გლობალური ცესიის დროს კრედიტის მაქსიმალური თანხა შეადგენს დათმობილი მოთხოვნების ღირებულებას 20-40%.

საკუთრების უფლების გადაცემა. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მოძრავი ქონების გამოყენება მსესხებლის მიერ და ამავე დროს იგი წარმოადგინდეს კრედიტის დაბრუნების გარანტიას, გამოიყენება აღნიშნულ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა კრედიტორისათვის არსებული ვალის უზრუნველსაყოფად.

კრედიტორისათვის საკუთრების უფლების გადაცემის
სამართლებრივი სტრუქტურა



შენიშვნა: რისკის შემცირების მიზნით ბანკები საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან სესხის უზრუნველყოფის ოდენობის განსაზღვრას, რის გამოც კრედიტის მაქსიმალური თანხა მათი ღირებულების 20-50% შეადგენს.

გარანტიები და თავდებობა

გარანტიების კლასიფიკაცია

გარანტიები საგარანტიო ვალდებულებების სუბიექტების მიხედვით

გარანტიები გაფორმების წესის მიხედვით

გადახდის გარანტიისათვის გამოყენებული სახსრების წყაროების მიხედვით

საგარანტიო ვალდებულებების სუბიექტებია: ფინანსურად მყარი, მაღალრეიტინგიანი საწარმოები ან სპეციალური დაწესებულებანი, რომელთაც შესაბამისი სახსრები გააჩნიათ. საგარანტიო ვალდებულებათა სუბიექტებად ძირითადად გამოდიან ბანკები და შედარებით ნაკლებად — თვითონ საწარმო — მსესხებლები. აშშ-ში საგარანტიო ვალდებულებებს გასცემენ აგრეთვე მთაწარმის სპეციალური ორგანიზაციები, რომელთაც მიზნობრივი ფონდები გააჩნიათ. ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს მცირე საწარმოთა საქმიანობის ადმინისტრაცია, რომლის მიზანია აღნიშნულ საწარმოთა განვითარება. სარგებელი 1-1.5%-ით ნაკლებია იმ სესხის სარგებელზე, რომელიც გარანტიის გარეშე გაიცემა.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გამოყენებული საბანკო გარანტიები ფორმდება საგარანტიო წერილისა და თამასუქზე წარწერის (ავალის) საშუალებით.

გარანტიებისაგან განსხვავებით, თავდებობა იურიდიულ პირებთან ფორმდება წერილობითი ხელშეკრულებით ბანკსა და თავდებს შორის. მის თანახმად თავდები იღებს ვალდებულებას დაფაროს მსესხებლის დავალიანება კრედიტორისადმი გარკვეულ ვადაში. ხელშეკრულებაში შეიძლება მითითოს ის მაქსიმალური თანხა, რომლის დაფარვასაც კისრულობს თავდები. თავდებობა ფართოდ გამოიყენება მოსახლეობისათვის გრძელვადიანი სესხის გასაცემად. მსოფლიო პრაქტიკაში თავდები შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც, თუ მას აქვს მუდმივი სამუშაო, სტაბილური შემოსავალი ან გარკვეული ქონება (მიწის ნაკვეთი, ავარაკი, ავტომანქანა).

თავდებობა ფორმდება ნოტარიული წესით და ასახავს საწარმოს პასუხისმგებლობას სხვა პირზე მის მიერ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში.

საგარანტიო წერილებისა და თავდებობის მიღებისას, აგრეთვე ავალის გაფორმების შემთხვევაში ბანკები დეტალურად ამოწმებენ ხელმოწერათა უტყუარობასა და ხელმომწერ პირთა უფლებამოსილებას. ამ მიზნით ბანკთაშორის პრაქტიკაში არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, ე.წ. უფლებამოსილ პირთა წიგნი, სადაც დაფიქსირებულია იმ პირთა გვარები, რომელთაც უფლება აქვთ ხელი მოაწერონ საგადასახდელ დოკუმენტებს და აგრეთვე მოყვანილია მათი ხელმოწერათა ნიმუშები.

კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმების ეფექტიანობის შეფასების გერმანიის კომერციული ბანკების მეთოდის

გერმანიის კომერციული ბანკები კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმების შესაფასებლად იყენებენ სამქულაან სისტემას და ქულათა რაოდენობის საფუძველზე ადგენენ გასაცემი კრედიტის მაქსიმალურ თანხას.

№	კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის ფორმა	ქულათა რაოდენობა	კრედიტის მაქსიმალური თანხა (პროცენტებში) უზრუნველყოფის მიმართ
1	იპოთეკა	3	60-80%
2	ანაბრები, რომელთა უზრუნველყოფითაც გაიცა კრედიტი	3	100%
3	თავდებობა (გარანტიები)	2	თავდების (გარანტის) კრედიტუნარიანობიდან გამომდინარე — 100%-მდე.
4	ფასიანი ქაღალდები	2	ფასიანი ქაღალდები, რომელთაც მოაქვთ მტკიცე პროცენტი — 70-80%; აქციები — 50-60%
5	საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე მოთხოვნის დათმობა	1	20-40%
6	საკუთრების უფლების გადაცემა	1	20-50%

**საწარმოთა კლასიფიკაცია კრედიტის დაბრუნების
რისკის ხარისხისა და ფინანსური მდგომარეობის
მიხედვით (გერმანიის კომერციული ბანკების მეთოდით)**

კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფა	ფინანსური მდგომარეობა		
	მყარი ფინანსური მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა	არადააკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა
მყარი უზრუნველყოფა	I	I	I
საკმარისი უზრუნველყოფა არასა- ხარბიელო სტრუქტურით	I	II	III
ძნელად შესაფასებელი უზრუნველ- ყოფა	I	III	IV
არასაკმარისი უზრუნველყოფა	I	IV	V

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ძირითადად განისაზღვრება საბრუნავ აქტივებში საკუთარ საბრუნავ საშუალებათა წილისა და რენტაბელობის დონიდან გამომდინარე. ანსხვავებენ საწარმოებს შემდეგი ფინანსური მდგომარეობით:

- I — მყარი, ე.ი. საბრუნავ აქტივებში საკუთარი საბრუნავი საშუალებების წილისა და რენტაბელობის მაჩვენებლები მაღალია საშუალო დარგობრივ მაჩვენებლებზე;
- II — დამაკმაყოფილებელი, ე.ი. შესაბამისი მაჩვენებლები საშუალო დარგობრივის დონეზეა.
- III — არადააკმაყოფილებელი, ე.ი. აღნიშნული მაჩვენებლები საშუალო დარგობრივის დონეზე დაბალია.


კრედიტის უზრუნველყოფის მოცულობისა და ხარისხის მიხედვით საწარმოებს ყოფენ ოთხ ჯგუფად; მათ შორის პირველ სამს აქვს საკმარისი უზრუნველყოფა, მაგრამ განსხვავებული სტრუქტურით, ხოლო ერთ ჯგუფს — არასაკმარისი უზრუნველყოფა. პირველ სამ ჯგუფს მიეკუთვნება საწარმოები, რომელთაც აქვთ:

- I — მყარი უზრუნველყოფა, რომლის შემადგენლობაში ჭარბობს დეპოზიტები, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, გადატვირთული საქონელი (დებიტორული ანგარიშები), ვალუტა, მზა პროდუქცია, საქონელი;
- II — საკმარისი უზრუნველყოფა არასახარბიელო სტრუქტურით, ე.ი. მასში ჭარბობს მეორე და მესამე კლასის ლიკვიდური სახსრები;
- III — უზრუნველყოფა ძნელად შესაფასებელი სტრუქტურით, რაც ნიშნავს უზრუნველყოფის საერთო მოცულობაში წარმოების დანახარჯების (სოფლის მეურნეობაში), დაუსთავერებელი წარმოებისა და მომავალი პერიოდის ხარჯების (მრეწველობაში) მნიშვნელოვან წილს, ე.ი. მესამე კლასის ლიკვიდური სახსრების სტრუქტურის გაუარესებას.

**კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები, გამოყენებული
კრედიტის დაბრუნების სხვადასხვა რისკის მქონე
საწარმოების დაკრედიტებისას**

საწარმოს ტიპი, განსაზღვრული ფინანსური მდგომარეობისა და უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით	კრედიტუნარიანობის შეფასება	კრედიტის უზრუნველყოფის ფორმა
I ტიპი	მყარი ფინანსური მდგომარეობისა და უზრუნველყოფის საწარმოები, გამორჩევიან მაღალი კრედიტუნარიანობით	ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან.
II ტიპი	კრედიტუნარიანი საწარმოები	სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გირაო ხარისხის შეფასების გათვალისწინებით.
III ტიპი	კრედიტუნარიანი საწარმოები დაბალი რისკ-ფაქტორით	ფასეულობათა გირაო ან გარანტიები, ან ორივე ფორმა ერთდროულად.
IV ტიპი	საწარმოები კრედიტის დაბრუნების გადიდებული რისკით — მათი საკუთარი რესურსები არასაკმარისია სესხების დასაფარავად	ფინანსურად მყარი საწარმოების გარანტია ან სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც კრედიტის დაბრუნებლობის რისკს გამორიცხავს.
V ტიპი იგი იყოფა ორ ჯგუფად: 1) საწარმოები, რომელთაც წარმოებისა და მენეჯმენტის არსებითი რეორგანიზაციით, აგრეთვე ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შეუძლიათ გამოასწორონ მდგომარეობა; 2) უიმედო საწარმოები.	საწარმოები კრედიტის დაბრუნების მაღალი რისკით კრედიტუნარო	თავდებობა და გარანტიები. მათთან საკრედიტო ურთიერთობების დამყარება რეკომენდებული არ არის.

კრედიტის დაფარვის ფორმები



დავალიანების დაფარვის ფორმის შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენს კრედიტის მონაწილეობის დონე ფონდების წრებრუნვის სტადიაში და ბანკის რისკი, რომელიც დაკავშირებულია სესხების დროულ დაბრუნებასთან (დაკრედიტების სხვადასხვა ობიექტების შემთხვევაში) და მსესხებლის კრედიტუნარიანობასთან.

XIV თავი


კომერციული ბანკის სალიზინგო ოპერაციები

სიტყვა **ლიზინგი (lease)** ინგლისურია და ნიშნავს იჯარას, რაიმეს იჯარით გაცემას.


საიჯარო ურთიერთობათა წარმოშობა დაკავშირებულია შორეულ წარსულთან. სალიზინგო გარიგებები ხდებოდა ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღრიცხვამდე უძველეს შუმერთა სახელმწიფოში. არისტოტელე ამ საკითხს შეეხო ჩვ. წ. აღ-მდე 350წ. ტრაქტატში „სიმდიდრე მდგომარეობს მოხმარებაში და არა საკუთრების უფლებაში“. ვენეციაში XI საუკუნეში ახორციელებდნენ სალიზინგო ოპერაციების მსგავს გარიგებებს: ვენეციელები იჯარით აძლევდნენ ვაჭრებს იმ დროისათვის მეტად ძვირადღირებულ ნავეებს დროებითი სარგებლობისათვის. ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინ ლიზინგის გამოჩენა დაკავშირებულია სატელეფონო კომპანია „ბელ“-ის ოპერაციებთან, რომლის ხელმძღვანელობამაც 1877წ. გადაწყვიტა სატელეფონო აპარატები კი არ გაეყიდა, არამედ იჯარით გაცემა. ამასთან, პირველი საზოგადოება, რომლის ძირითად საქმიანობადაც იქცა იჯარით გაცემა, იყო კომპანია „იუნაიტედ სტიიტს ლიზინგ კორპორეიშნ“. იგი შეიქმნა სან-ფრანცისკოში 1952წ. და ამრიგად, აშშ გახდა ლიზინგის სამშობლო.

დასავლეთ ევროპაში სალიზინგო საზოგადოებები გაერცელდა 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში, ხოლო აზიის კონტინენტზე — 60-იანი წლებიდან.

ლიზინგის ცნებაში იგულისხმება მანქანებისა და მოწყობილობების გრძელვადიანი იჯარა ან საიჯარო ხელშეკრულება მანქანებსა და მოწყობილობაზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და საწარმოო დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობებზე, რომელიც ნაყიდა იჯარის გამცემის (მეიჯარის) მიერ მოიჯარისათვის მათი საწარმოო გამოყენების მიზნით, მათზე საკუთრების უფლების შენარჩუნებით საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.



სალიზინგო ოპერაციის ძირითადი ელემენტები



1. არსებობს ვაწროსპეციალიზებული და უნივერსალური სალიზინგო ფორმები. ვაწროსპეციალიზებული სასხი სასხი საკონკრეტო, ხოლო უნივერსალურს სხედასხეა სახის მანკარებთან და მოწყობილობებთან.

სალიზინგო ოპერაციის სახეობები

ოპერატიული ლიზინგი

ოპერატიული ლიზინგი — საიჯარო ურთიერთობა, რომლის დროსაც მეიჯაროს ხარჯები, დაკავშირებული ლიზინგის ობიექტის შექმნასა და შენახვასთან, არ იფარება საიჯარო გადასახდელებით ერთი სალიზინგო კონტრაქტის განმავლობაში.

ოპერატიული ლიზინგის თავისებურებანი:

1. მეიჯარე ვერ ინაზღაურებს დანახარჯებს ერთი მოიჯარისაგან;
2. სალიზინგო ხელშეკრულება იდება, როგორც წესი, 2-5 წლით, რაც გაცილებით ნაკლებია მოწყობილობის ფიზიკური ცვეთის ვადებზე და ამასთან, სალიზინგო ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს;
3. ობიექტის დაზიანების ან დაკარგვის რისკი ძირითადად მეიჯარეს აწევება (სალიზინგო ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოიჯარის გარკვეული პასუხისმგებლობა ობიექტის დაზიანებაზე, მაგრამ ეს თანხა გაცილებით ნაკლებია მის საწყის ფასზე);
4. სალიზინგო გადასახდელების განაკვეთი გაცილებით ჭარბობს საფინანსო ლიზინგის განაკვეთებს (ეს იმიტომ, რომ მეიჯარეს, რომელსაც არა აქვს გარანტია დანახარჯების სრული ანაზღაურებისა, იძულებულია გაითვალისწინოს სხვადასხვა კომერციული რისკი, რითაც იზრდება მისი მომსახურების ფასი).
5. ლიზინგის ობიექტებია უპირატესად ყველაზე პოპულარული მანქანა-მოწყობილობა.

ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს:

1. გაავრძელოს ხელშეკრულების ვადა შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობებით;
2. დაუბრუნოს მანქანა-მოწყობილობა მეიჯარეს;
3. იყიდოს მანქანა-მოწყობილობა მეიჯარისაგან საბაზრო ფასით შეთანხმების (ოპციონის) საფუძველზე.

ფინანსური ლიზინგი

ფინანსური ლიზინგი — ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს თავისი მოქმედების პერიოდში სალიზინგო გადასახდელების გადასდას, რაც მთლიანად დაფარავს მანქანა-მოწყობილობის ამორტიზაციის სრულ ღირებულებას ან მის ღირ ნაწილს, დამატებით ხარჯებს და მეიჯარეს მოგებითაც უზრუნველყოფს.


ფინანსური ლიზინგის თავისებურებანი:

1. მესამე მხარის (მწარმოებლის ან ობიექტის მიმწოდებლის) მონაწილეობა;
2. იჯარის ძირითადი ვადის (ე.ი. მეიჯარის ხარჯების დასაფარავად საჭირო ვადის) გასვლამდე ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობა. თუ ეს მოხდა, მაშინ პირობის დამრღვევი იხდის ჯარიმას — დამატებით თანხას.
3. სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდის შედარებითი ხანგრძლივობა (იგი, ჩვეულებრივ, უახლოვდება ობიექტის ექსპლუატაციის ვადას).
4. გარიგების ობიექტები გამოირჩევიან საკმაოდ მაღალი ღირებულებით.

ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს:

1. იყიდოს გარიგების ობიექტი, ოღონდ ნარჩენი ღირებულებით;
2. დადოს ახალი ხელშეკრულება უფრო მცირე ვადით და შეღავათიანი განაკვეთით;
3. დაუბრუნოს სალიზინგო კომპანიას გარიგების ობიექტი.

ლიზინგის ძირითადი ფორმები



სალიზინგო ხელშეკრულების ძირითადი განყოფილებები

ხელშეკრულების მხარეები.
 1. ლიზინგის გამკეტი, რომელიც საკონ-
 ულის მფლობელს წარმოადგენს;
 2. ლიზინგის მიმღები, რომელიც გარი-
 ვების ობიექტს იღებს სარგებლობის-
 თვის მიზნით. მიზნობრივად შეიძლება ისარ-
 ვებდეს ან ოთხ ლიზინგის მიმღებმა,
 ან სხვა ორდღობულ პირმა, თუ ობიექ-
 ტი გადასახდელის სუბსტანციის უფლებ-
 ადობა ან გადასახდელს არენდატორის
 "შვილობულ" საწარმოს. ასეთ შემთხვე-
 ვაში ხელშეკრულებაში მოთხოვნილია
 წარმო-მოსარგებლის დასახელება და
 დეტალური კონტრაქტით გათვალის-
 წინებული ყველა ვალდებულება.

ხელშეკრულების საგანი.
 სალიზინგო შეთანხმების საგანი
 განისაზღვრება ან ინდივიდუალუ-
 რი ნიშნებით (მანქანა-მოწყობი-
 ლობის ტიპი, მოდელი, მარკა,
 სანიმონო ნიშანი და ა.შ.), ან
 ტექნიკური დოკუმენტაციით. ეს
 მოხსენებები უნდა შეესაბამებოდეს
 ში, რომელიც კონტრაქტის
 აუცილებელ ნაწილს წარმოად-
 გენს. აქ მოითხოვება მიწოდებ-
 ლის დასახელება, გადა, რომლის
 განმავლობაშიც იგი ვალდებული
 გას იღებს მართლდონ გარეგნის
 ობიექტი ლიზინგის მიმღებს.

**სალიზინგო ხელშეკრუ-
 ლების მოქმედების ვადა.**
 სალიზინგო ხელშეკრულება მოქ-
 მედებაშე უნდა, როგორც წესი,
 გარიგების ობიექტის ექსპლუატა-
 ციაში შესვლის თარიღიდან და
 მაქსიმალურ დიდვინდობის გან-
 მავლობაში. ზნორად სალიზინგო
 გარიგებათა პრაქტიკაში დგინდება
 ე.წ. "გამოთხოვითი პერიოდი" —
 ვადა, რომლის განმავლობაშიც
 ხელშეკრულება გაუქმდება არ
 შექმნილია, თუ, რასაკვირვე-
 ლია, მხარეების მიერ შეთანხმების
 პირობები დარღვეული არ არის.

**სალიზინგო ხელშეკრულების მხარეების
 უფლება-მოვალეობა.**
 ხელშეკრულების ეს განყოფილება თვალისწინებს
 ლიზინგის გამკეტის ვალდებულებათა დაწინაურებით
 ჩამართვალს გარიგების მოსამზადებელ ქვავზე და
 მის უფლებებს ხელშეკრულების მოქმედების პერი-
 ოდში. კერძოდ, ლიზინგის გამკეტი მოსამზადებელ
 ელვაზე ვალდებულია:
 - დადოს ხელშეკრულება ყოველგვარად მიმწოდე-
 ზელთან ობიექტის ტექნიკური და კომერციული
 ხარისხის შეთანხმების საფუძველზე;
 - მიწოდების შესაბამისად ხელშეკრულება გარი-
 გების ობიექტის მიწოდებაზე წინასწარ შეთანხ-
 მებული პირობების გათვალისწინებით.
 ლიზინგის გამკეტი უფლება აქვს შეამოწმოს
 ვალდებულება ხელი მოაწეროს ობიექტის მიღების
 ოქმს. თუ ობიექტს აქვს ნაკლოვანება, რომელიც
 გამოწვევდა მისი მიღების დროს, მაშინ ლიზინგის
 გამკეტმა უნდა დაავალდოს მიმწოდებელს აღმოფ-
 ხვოს იგი გარკვეულ ვადაში. ლიზინგის გამკეტს
 უფლება აქვს, აგრეთვე სისტემატურად შეამოწმოს
 იჯარით ვაქცემული მოწყობილობის ტექნიკური
 მდგომარეობა და მისი ექსპლუატაციის პირობების
 შესრულება.
 სალიზინგო ოპერაციის ორგანიზებისას ლიზინ-
 გის მიმღები ვალდებულია შეძლებ ვალდებულებებს:
 - გარიგების ობიექტი მიიღოს უშუალოდ მისი
 ვალდების მიმღებში, უზრუნველყოს ობიექტის მიღე-
 ბის ყველა აუცილებელი ტექნიკური და სამარ-
 თლებითი პირობის შესრულება;
 - განაზოტოვოს ობიექტის მონტაჟი და ექსპლუ-
 ატაციაში შეყვანა, თუ ეს მიმწოდებლის მიერ
 ითვება არ შეიძლება;
 - დადასტუროს ობიექტის მიწოდების კომპლექტუ-
 რობა, მოწყობილობის მუშაობის ხარისხი და პირო-
 ბები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს მიმწოდე-
 ზელის მიერ მოწოდების შემთხვევაში მათი ჩამონათ-
 ვალი დააუქციოს ობიექტის მიღების ოქმში და
 აცხადოს ლიზინგის გამკეტს. ლიზინგის მიმღები
 ასევე ვალდებულია ლიზინგის გამკეტს წარუდგინოს
 აუცილებელი გარანტიები, რომელთა ჩამონათვალიც
 სალიზინგო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს.

სალიზინგო გადასახდელის პირობები.

1. სალიზინგო გადასახდელის საზოგადოებრივი, გთვალის-
 წინებული ხელშეკრულებით. ამ დროს
 აღიწერება გადასახდელის გრაფიკი;
2. საგანძირ გადასახდელი. მოგვარე იხდის
 აკანსა ობიექტის შესაყიდი ღირებულების
 15-20%, დანარჩენს — ჩვეულებრივად, ხელ-
 შეკრულების მთელი ვადის განმავლობაში;
3. განუსაზღვრელი სალიზინგო გადასახ-
 დელი. დგინდება არა ფიქსირებული გადასახ-
 დელი, არამედ პროცენტები პროდუქციის
 ერთეულებზე, ფასების ინდექსსა და სხვა
 პირობებზე.
- III. გადასახდელის ვადადლის მეთოდები:
 1. მთლიანი თანხით, ხელშეკრულების
 გაფორმების შემდეგ;
 2. პერიოდულად;
 ა) თანაბარი თანხებით ხელშეკრულების მთე-
 ლი ვადის განმავლობაში; ბ) ზრდადი თან-
 ხებით; გ) კლასები თანხებით; დ) გარკვეული
 თანხაპირველი მენაქვანით; ე) გადასახდელუ-
 ზი გადასახდის დაქვანებით.

სალიზინგო ობიექტის დაზღვევა.

დაზღვევას ასრულებს ან ლიზინგის გამკეტი (ოპერატორული
 ლიზინგის), ან ლიზინგის მიმღები (ფინანსური ლიზინგის).
 სალიზინგო ობიექტის დაზღვევის წესი.
 შეიძლება ვალაზე ადრე გაუქმდეს ხელშეკრულება, თუ:
 - ლიზინგის მიმღებმა არ უზრუნველყო ობიექტის მიღების
 აუცილებელი პირობები;
 - არ განაზოტოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში
 ობიექტის მონტაჟი და ექსპლუატაციაში შეყვანა;
 - ლიზინგის მიმღებმა არ იხდოს სალიზინგო გადასახდელი;
 - ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ხელშეკრულების სხვა პირობებს;
 - წარმოიშვა ფორს-მაჯორული (გაუთვალისწინებელი) სიტუაცია;
 - არსებობს ლიზინგის გამკეტის თანხობა მის გაუქმებაზე;
 - ლიზინგის მიმღებმა დალო ახალი კონტრაქტი ამ ან სხვა
 ობიექტზე იმავე პირობების გამკეტთან.
 ხელშეკრულების პირობების ანუ ლიზინგის შესაბამისად
 მთლიანდ ირთვე მზარის თანხმობით. ვალაზე ადრე სალიზინგო ხელ-
 შეკრულების გაუქმების ან დაარღვევის შემთხვევაში ლიზინგის
 მიმღები ვალდებულია დააბრუნოს ობიექტი და აუნაზღაუროს
 ზარალი ლიზინგის გამკეტს.

სალიზინგო ობიექტის დაზღვევა.

დაზღვევას ასრულებს ან ლიზინგის გამკეტი (ოპერატორული
 ლიზინგის), ან ლიზინგის მიმღები (ფინანსური ლიზინგის).
 სალიზინგო ობიექტის დაზღვევის წესი.
 შეიძლება ვალაზე ადრე გაუქმდეს ხელშეკრულება, თუ:
 - ლიზინგის მიმღებმა არ უზრუნველყო ობიექტის მიღების
 აუცილებელი პირობები;
 - არ განაზოტოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში
 ობიექტის მონტაჟი და ექსპლუატაციაში შეყვანა;
 - ლიზინგის მიმღებმა არ იხდოს სალიზინგო გადასახდელი;
 - ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ხელშეკრულების სხვა პირობებს;
 - წარმოიშვა ფორს-მაჯორული (გაუთვალისწინებელი) სიტუაცია;
 - არსებობს ლიზინგის გამკეტის თანხობა მის გაუქმებაზე;
 - ლიზინგის მიმღებმა დალო ახალი კონტრაქტი ამ ან სხვა
 ობიექტზე იმავე პირობების გამკეტთან.
 ხელშეკრულების პირობების ანუ ლიზინგის შესაბამისად
 მთლიანდ ირთვე მზარის თანხმობით. ვალაზე ადრე სალიზინგო ხელ-
 შეკრულების გაუქმების ან დაარღვევის შემთხვევაში ლიზინგის
 მიმღები ვალდებულია დააბრუნოს ობიექტი და აუნაზღაუროს
 ზარალი ლიზინგის გამკეტს.

XV თავი

კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით



აქციების გამოშვება

კომერციული ბანკი, რომელიც სააქციო საზოგადოების ფორმით არის შექმნილი, თავის საწესდებო ფონდს ქმნის აქციების გამოშვებისა და გავრცელების გზით.


აქცია [ლათ. *actio* - განკარგულება] — ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში და უფლებას აძლევს:

1. მიიღოს დივიდენდი (მოგების წილი);
2. მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში, ე. ი. მფლობელს ეძლევა ხმის უფლება;
3. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების დარჩენილი ქონების განაწილებაში.

აქციას აქვს ორი თვისება:



ჩვეულებრივი აქციის ძირითადი სახეობები



ჩვეულებრივი აქციის მფლობელს აქვს ხმის უფლება, ანუ სააქციო საზოგადოების (კომპანიის) სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობის უფლება. ხმის უფლების გადაცემა შეიძლება მინდობილობით. ეს უფლება აქციონერის მიერ რეალიზდება წელიწადში ერთხელ აქციონერთა კრებაზე. ჩვეულებრივ, ერთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ არის აქციები ხმის ნაწილით ან 5-6 ხმით.


პრივილეგიური, ანუ პრეფერენციული აქციები

პირველად პრეფერენციული აქციები (პრეფაქციები) გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა. კომპანიებს სჭირდებოდათ კაპიტალი, მაგრამ კონტროლის დათმობა, ბუნებრივია, არ სურდათ. კაპიტალის მოსაზიდად აუცილებელი იყო აქციების გამოშვება, კონტროლის შესანარჩუნებლად კი არ უნდა მიეცათ ზმები. სწორედ ამ მდგომარეობამ გამოიწვია პრეფაქციების შექმნა. ზმების სანაცვლოდ პრივილეგიური, ანუ პრეფერენციული აქციების მფლობელებმა მიიღეს ორი პრეფერენცია:

1. ფიქსირებული დივიდენდი;
2. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ პირველ რიგში ფულის მიღების უფლება (ამას ეწოდება პრეფერენცია აქტივების მიმართ).

ამ აქციებზე გაამართლა და გაუარესებული ბაზრის პირობებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა.

პრივილეგიური აქციის რეკვიზიტები




$$\text{აქციის კურსი} = \frac{\text{დივიდენდი}}{\text{სასესზო სარგებლის განაკვეთი}} \times 100\%$$

$$\text{აქციების ერთობ-ლივი შემოსავალი} = \text{დივიდენდების ჯამი} + \text{აქციების კურსის ცვალებადობა}$$

$$\text{აქციების კურსის ცვალებადობა} = \frac{\text{კურსი წლის ბოლოსათვის} - \text{კურსი წლის დასაწყისისათვის}}{\text{კურსი წლის დასაწყისისათვის}}$$

აქციების საკონტროლო პაკეტი — გამოშვებული აქციების საერთო თანხის ნაწილი, რომელიც მის მფლობელს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) სააქციო საზოგადოებაში ხმების გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებს. განვითარებულ ქვეყნებში საკონტროლო პაკეტი შეადგენს აქციათა საერთო თანხის 5-10%.

მოგების განაწილება სააქციო საზოგადოების მიერ



სადიფინდლო პოლიტიკის ძირითადი მეთოდები

აქციების დანაწევრება

დიფინდლი სააქციო კომპანიის სავაჭრო ბარათია, მისი ავტორიტეტი მსუფილი კომპანიების ზარალის შემთხვევაში იხდის დიფინდლებს. ჩვეულებრივ, კომპანიები ისწრაფვიან დიფინდლების ზრდისკენ აბსოლუტურ განზომილებაში, თუმცა შეიძლება შეფარდებით განზომილებაში შემცირებასაც ჰქონდეს ადგილი. თუ აქციების კურსი იზრდება, სააქციო საზოგადოება ცდილობს დასცეს იგი, რათა აქციები მოსახლეობის ფართო წრისთვის იყოს ხელმისაწვდომი. ამიტომ აქციებს უშეგებ მცირე, ხოლო ობლიგაციებს მაღალი ნომინალით. როდესაც აქციების კურსი ძალიან სწრაფად იზრდება, სააქციო საზოგადოება ახორციელებს აქციების დანაწევრებას (*split*). მაგ., თუ აქციების რაოდენობაა 10, ხოლო ერთი აქციის ღირებულებაა \$100, მათი კურსის \$200-მდე გაზრდის შემთხვევაში ახორციელებენ აქციების დანაწევრებას 1/2-თან.

ამ პროცესის ფორმულირება შემდეგ სახეს მიიღებს:

თავდაპირველად გვეყება — $(n \times 100)$, აქცის კურსის გაზრდისას — $(n \times 200)$, ხოლო დანაწევრების შემდეგ — $(2n \times 100)$.

აქციების დანაწევრების შედეგად, არც შეფარდებით და არც აბსოლუტური თანხით, აქციების მფლობელთა მდგომარეობა არ იცვლება. როგორც წესი, დანაწევრება ხორციელდება ერთი ორთან, უფრო იშვიათად 3-თან და მეტთან. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, აქციონერების თანხმობით კეთდება.

დიფინდლების გაცემა დამატებით გამოშვებული აქციების სახით

ამ შემთხვევაში მიიღწევა ორი მიზანი — გაიყვანოს მაღალი დიფინდლები და მთელი თანხა რჩება სააქციო საზოგადოებას. აღნიშნული აქციების კურსი ერთი შეხედვით გაიზრდება, იზრდება სააქციო საზოგადოების კაპიტალიც, მაგრამ იგი ნაწილდება აქციების უფრო მეტ რაოდენობაზე, რის გამოც თითოეულ აქციაზე ნაკლები თანხა მოდის. სისტემატურად დიფინდლების ასეთი განაწილების შემთხვევაში აქციების დანაწევრების ანალოგს მივიღებთ.



ჩვეულებრივ, ასეთ ღონისძიებებს ატარებენ სწრაფად მზარდი კომპანიები, რომელთა აქციების ზრდის ტემპი მაღალია. ზოგიერთ მიზეზზე აღნიშნული ოპერაცია ფორმდება როგორც აქციების დანაწევრება.

დიფინდლების რეინვესტირება

ამ შემთხვევაში იდება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მთელი დიფინდლები აქციების შესაძენად წარმართება. აღნიშნული ოპერაცია ნებაყოფლობით ხორციელდება. გაცემული აქციები შეიძლება შესყიდულ იქნეს საბაზრო ფასებით ბირჟაზე ან გაცემულ იქნეს საკუთარი არარეალიზებული მარაგიდან.

აქციების კონსოლიდაცია

აქციების დანაწევრების საპირისპიროა აქციების კონსოლიდაცია (*consolidation*), ანუ ბევრი მცირეფასიანი აქციის გაერთიანება და ამ საფუძველზე მცირე რაოდენობის, მაგრამ საშუალო ფასის აქციების გამოშვება.



შენიშვნა:

ნებისმიერი ფორმით აქტივების ფასის განაღების შემთხვევაში ბანკი ხელმძღვრის აძლევს გადახდის დამადასტურებელ ქეითარს, რომელსაც ბანკის რეგისტრაციის (როგორც სააქციო კომერციული ბანკის) შემდეგ უცვლელად დროებით მოწმობაზე აქტივების გაცემამდე. ამ დროებით დოკუმენტში აღინიშნება: ხელმძღვრის მიერ აქციის გარკვეული თანხის (აქციის ნომინალური ღირებულების 10 პროცენტის) გადახდა; დანარჩენი თანხის გადახდის ვალდებულება დადგენილ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა; პასუხისმგებლობა (სანქციები) შენატანების ვადების დარღვევის შემთხვევაში; შედეგადად გადასახდელის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში. აქტივებს შეიძლება თან ახლდეს კუპონების ფურცელი, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს მიიღოს დივიდენდები, თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში ხშირად უკუპონო აქტივები გამოიშვება.

- სააქციო კომერციული ბანკი იყენებს დივიდენდების გადახდის ორ ვარიანტს:
1. თუ აქციას აქვს კუპონები, მაშინ დივიდენდი გაიცემა ბანკში კუპონების წარდგენისას;
 2. თუ აქციას კუპონები არა აქვს, მაშინ კომერციული ბანკი ყველა აქციონერს თავის ბალანსზე უხსნის ანგარიშს და მასზე ჩარიცხავს დივიდენდებს. სხვაქალაქური აქციონერების თხოვნით დივიდენდები შეიძლება ჩარიცხოს მათ ანგარიშზე სხვა ბანკში. ეს ოპერაცია ხორციელდება აქციონერის ხარჯზე საკონტაქტო ანგარიშების სისტემის საშუალებით.

საეალო ვალდებულებათა მიმოქცევაში გამოშვება და მათი დაფარვა

ობლიგაცია [ლათ. *obligatio* — ვალდებულება] — ფასიანი ქალაღლი, რომელიც მოწმობს მისი გამომშვების (ემიტენტის) ვალდებულებას განსაზღვრულ ვაღაში გადაუხადოს მის მფლობელს ობლიგაციის ნომინალური ღირებულება და ფიქსირებული პროცენტი.

სხვა ფასიან ქალაღლებთან შეღარებით, ობლიგაციების უპირატესობაა:

1. ობლიგაციის ლიკვიღობა — შეიღლება მათი გაყიდვა და ფულის მიღება სესხის ვაღის გასვლაამდე, ანუ მათ დაფარვამდე;
 2. არის შესაღლებლობა შემოსავლის ხანგრძლივად მიღებისა, ვინაიღან ობლიგაციის საშუალო ვაღაა 5-10 წელი.
- ობლიგაციის უარყოფითი მხარეა ის, რომ შეიღლება დაეცეს მისი ფასი.

ობლიგაციის ძირითადი რეკვიზიტები

ემიტენტის (გამომშვების) დასახელება

გამომშვების ვალუტა — დოღარი, ფრო და ა.შ.

სესხის თანხა

კუპონი — გადასახდელი წლიური პროცენტი

გაღახღის სიხშირე — ერთ, სამ, ექვს ან თორმეტ თვეში ერთხელ

გამომშვების ფასი — რამდენად არის შეფასებული გამოშვება, ღიღერის ფასი, სხვაღასხვა გადასახაღები.

ღაფარვის ფასი — როგორც წესი, იფარება 100%-ით.

სინღიკატის მეთაურის დასახელება — ობლიგაციების გავრცელებაზე პასუხისმგებელი ბანკის დასახელება.

იმ ბირჟის დასახელება, საღაც რეგისტრირებულია ობლიგაცია.

ობლიგაციების კლასიფიკაცია

<p>ემიტენტის მიხედვით:</p>	<p>1. სახელმწიფო ობლიგაციები. ეს უშუალოდ სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ობლიგაციებია;</p> <p>2. საერთაშორისო ფინანსო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავაჭრო ბანკი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ბანკი) ორგანიზაციების მიერ გამოშვებული ობლიგაციები;</p> <p>3. ბანკების ობლიგაციები;</p> <p>4. კორპორაციების ობლიგაციები. ისინი, ჩვეულებრივ, გამოირჩევიან მაღალი კუპონით. სასურველია მათზე გარანტიის არსებობა.</p>
<p>კუპონის ტიპის მიხედვით:</p>	<p>ობლიგაციები</p> <p>1. ფიქსირებული განაკვეთი;</p> <p>2. „მცოცავი“ განაკვეთი;</p> <p>3. ნულთან განაკვეთით (Zero coupon). ასეთ შემთხვევაში არაფერს იხდენ. აღნიშნული პროცესი შემდგომად ხორციელდება: მაგ. უშვებ ობლიგაციებს 100 მილიონი \$ ნომინალი, ხოლო გამოშვების ფასია ნომინალის 15%. მიუღი განსხვავება პროცენტებია. ამასთან, მფლობელისათვის ეს ხელსაწყოა, ვინაიდან გადასახადით იბეგრება 15 მილიონი, ვადის გასვლის შემდეგ კი მიიღებს 100 მილიონს.</p>
<p>გადახდის სიზმირის მიხედვით:</p>	<p>ობლიგაციებზე</p> <p>1. ფიქსირებული განაკვეთით — წლიურად ერთ-ერთ გაცემას; ნულთან კუპონით — პროცენტით არ განაკვეთით — 1, 3, 5 თვეში ერთხელ გაცემა.</p>
<p>გამოშვების პირობების მიხედვით:</p>	<p>1. ჩვეულებრივი;</p> <p>2. ე.წ. „აქლი“ (cap) — ობლიგაცია „აქლი“ ნიშნავს პროცენტის ზრდის ზღვას; არის დაწესება, ანუ პროცენტის ზღვიდან შეზღუდვას. მაგ., არა უმატეს 9 პროცენტისა.</p> <p>3. ე.წ. „იატაკით“ (floor) — ობლიგაცია „იატაკით“ ნიშნავს შემოსავლის ფიქსირებულ ზღვას, ანუ პროცენტის ქვედა ზღვარს. მაგ., არანაკლებ 4%.</p> <p>4. ე.წ. „საყელით“ (collar) — ობლიგაცია „საყელით“ ნიშნავს შემოსავლის ფიქსირებას როგორც ზეზღვიდან, ასევე ქვემოთდან; ანუ პროცენტის ცვლილების ქვედა და ზედა საზღვრებს. მაგ., არანაკლებ 4%-ისა და არაუმატეს 9%-ისა.</p>
<p>გამოშვების დამატებითი პირობების მიხედვით:</p>	<p>1. ობლიგაცია დამატებითი პირობით Call - უფლებას აძლევს ემიტენტს სესხის ვადის გასწვრივ გამოისყიდოს სესხი. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ სესხი ძვირადღირებულია და არ არის საშუალება მისი თავიდან გამოშვებისა. როგორც წესი, მფლობელები იღებენ ახალ ქვალდებს, მათ კი ვისაც ეს არ სურს, უფრო ადვილად შეუძლიათ მფლობელებს 30-40 პროცენტით აღრე ატყობინებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში ობლიგაციის საბაზრო ფასი ნომინალურს უახლოვდება.</p> <p>2. ობლიგაცია დამატებითი პირობით Put - უფლებას აძლევს ობლიგაციის მფლობელს სესხის ვადის გასწვრივ მოთხოვოს სესხის დაფარვა და ემიტენტს გადაეხადოს ეს განახორციელოს. აღნიშნული ობლიგაცია უფრო სავსად პოპულარულია უცხოეთის ქვეყნებში.</p> <p>3. კონვერტირებადი ობლიგაცია. იგი შეიძლება გაიყოს ობლიგაციის აქტივზე გარკვეული მომენტისათვის ფიქსირებული ფასით. ასეთი ობლიგაციის პროცენტი, როგორც წესი, მეტად დაბალია.</p> <p>4. არაკონვერტირებადი ობლიგაცია. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია, თუ ვის მიერ არის გარანტირებული ფასიანი ქვალდი. თუ ეს მსხვედლი ბანკია, მაშინ ობლიგაცია სანდოა.</p>

ობლიგაციების კლასიფიკაცია. სტემის გავრცელება

ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით:

1. მაკულაციური. ასეთა მსხვილი სახელმწიფო ობლიგაციები. აღვილია მათი კონტრება, აქვთ მაღალი ფასი და მინიმალური რისკი.
2. ლიკვიდური — საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მაღალი კლასის ბანკების საშუალო სიღრმის სესხები;
3. არალიკვიდური — საშუალო და დაბალი რეიტინგის ბანკებისა და კორპორაციების სესხები.

უმეტესის გაკონტრების უმთხვევაში დაფარვის თანმიმდევრობის მიხედვით:

1. უმაღლესი ვალდებულების ობლიგაციები (*Senior debt*) — ისინი პირველ რიგში იფარება,
2. სუბორდინაციული ობლიგაციები (*subordinate*) — ფასიანი ქაღალდები „შეცავი“ განაკვეთით. ისინი შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ. ასეთი ობლიგაციების დაფარვა ხორციელდება უმაღლესი ვალდებულების ობლიგაციების დაფარვის შემდეგ.

დაფარვის ტიპის მიხედვით:

1. ჩვეულებრივი, დადგენილი წესის მიხედვით;
2. თანდათანობით დაფარვით (*ინგლ. სიტყვიდან sinking - დაღება*). ასეთი ტიპის ობლიგაციებს, ჩვეულებრივ, უმჯობეს 4 წლის ვალის და ფარავნ ყოველწლიურად 25 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული ობლიგაციები განსაკუთრებით პოპულარული ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცენტო განაკვეთი იზრდება.
3. სესხის დაფარვა ბირჟაზე ობლიგაციების შესყიდვით.

უზრუნველყოფის მიხედვით:

I. უზრუნველყოფილი ობლიგაციები: I. მატერიალური ქონებით უზრუნველყოფილი ობლიგაციები (*First mortgage bond*). ეს ხველაზე სიმძლავრით კორპორაციული ობლიგაციაა. მათ უზრუნველყოფას წარმოადგენს კომპანიის მთელი ქონება და სამომავლო შერატენი. არსებულ ქონებაზე გაიცემა ფიქსირებული თანხა, ხოლო სამომავლო შერატენზე — „მცოცავი“ თანხები. II. გეორეზერვისიანი, ანუ საერთო გირავნობის ობლიგაციები. მათ უზრუნველყოფას წარმოადგენს კომპანიის ქონების ის ნაწილი, რაც პირველი გირავნობის ობლიგაციების უზრუნველყოფის შემდეგ რჩება — ძირითადად კომპანიის ფილიალების ქონება და სხვა. ამრიგად, ეს ობლიგაციები უზრუნველყოფის მიხედვით არც ისე საიმედოა, რის გამოც პროცენტი პირველი გირავნობის ობლიგაციებზე მეტია. III. ობლიგაციები, რომელთა ნაწილი კორპორაციის ქონებით, ხოლო ნაწილი — ფასიანი ქაღალდებით არის უზრუნველყოფილი. IV. სხვა ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი ობლიგაციები. ამ შემთხვევაში კომპანიის ობლიგაციები უზრუნველყოფილია თვით ამ კომპანიისა და მისი ფილიალების აქციებით.

II. არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები: ასეთი ობლიგაციები ძირითადად უმჯობეს დიდი, პოპულარული კომპანიები, რომლებიც საყვედლოთა ნდობით სარგებლობენ. მათ შეუძლიათ გამოუმუშაონ ფასიანი ქაღალდები „პატიოსანი სიტყვის“ გარანტიით, ვინაიდან მათ უკან მიუღიო კომპანია დგას თავისი ავტორიტეტითა და სიძლიერით. გარდა ამისა, ასეთი ობლიგაციებს უმჯობეს ისეთი კომპანიებიც, რომელთაც არაფერი აქვთ დასავარაუდებელი. მაგ., თუ ფაქტობრივად კომპანია უმჯობეს ობლიგაციებს, ხოლო მთელ მის ქონებას კომპანიაში უმაღლესი და აქვეყნ შეადგენს.

ობლიგაციის სახეობები

<p>ჩვეულებრივი (კლასიკური) ობლიგაციები</p> <p>ემიტენტი განსაზღვრულ ვალში იხდის პროცენტს მოზიდულ საშუალებებზე, ხოლო ობლიგაციების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ გამოსიყიდის მას, გადაიხდის ის ძირითადი ვალის თანაზღაურება და კუთვნილ პროცენტებს.</p>	<p>გადაღებული ფონდის ობლიგაციები</p> <p>ვეულზე პოპულარული ობლიგაციაა. ვინაიდან რთული ემიტენტისათვის მთელი თანხის ერთდროულად დაფარვა, ამიტომ გაჩნდა გადაღებული ფონდის შექმნის იდეა. ყოველწლიურად კომპანია ერთს-კომპანია ურიცხვს ვალს გარკვეულ ნაწილს, რითაც იგი შეისყიდის ობლიგაციებს. გადაღებული ჰქვია იმიტომ, რომ კომპანია ყოველწლიურად გამოყოფს ფულს მათ დასაფარავად. ფული მოგებიდან იზრდება. მფლობელები ობლიგაციების ჩაბარების შემთხვევაში იღებენ დაფარვის თანხას, პროცენტებს, რომელიც მათ გკუთვნილი კიდევ დამატებით — ობლიგაციის საბაზრო ღირებულების 10%. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ობლიგაციები შეესაფერება საბაზრო ფასით და მათ დასაფარავად გამოყოფილი თანხა გადასახადით არ იბეგრება.</p>	<p>მომგებიანი ობლიგაციები</p> <p>ასე უწოდებენ იმს გამო, რომ მოგების მიღების შემთხვევაში მასზე პროცენტს იხდენ. მოგების უკონდიციო პირობებში პრეტენზიები არ მიიღება, მაგრამ პროცენტები არ იკარგება. გადადის მომდევნო წელზე. პროცენტების ანგარიშებს "არჩევნები" უწოდებენ, ხოლო პროცენტებს — "კუმულაციური". მომგებიან ობლიგაციებს, როგორც ყველაზე ნაკლებად საიმედოს, მაღალი პროცენტები აქვს.</p>	<p>ობლიგაციები, რომელთა ვალი იზრდება და მცირდება</p> <p>ობლიგაციები ძირითადად გამოიშვება 5 წლის ვალით, მაგრამ მფლობელის სურვილისამებრ მათი დაფარვა შესაძლებელია 10 წლის შემდეგაც. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მფლობელმა გადაწვეტილება 6-12 თვის განმავლობაში უნდა მიიღოს და ამის შესახებ შეატყობინოს ემიტენტს. ეს არის ობლიგაცია, რომლის ვალიც იზრდება. მისგან განსხვავებით, ობლიგაცია, რომლის ვალიც მცირდება გამოიშვება 10 წლის ვალით და მფლობელის სურვილით შეიძლება დაფაროს 5 წლის შემდეგაც.</p>
---	--	--	---

<p>სერიული ობლიგაციები</p> <p>ამ შემთხვევაში მთელი ვალი იყოფა სერიებად. ყოველი სერია 2-დან 4 წლამდე. თითოეულ სერიაზე თავისი პროცენტი წესდება. ამასთან, პროცენტი ყოველ 2-4 წელიწადში იცვლება, ასეთ პირობებში აუსილებელია განსაკუთრებული მოქნილობა საპროცენტო განსაკუთრების დონის დროს.</p>	<p>კონვერტირებადი ობლიგაციები</p> <p>ისეთი ობლიგაციაა, რომელიც გადაცვლა შეიძლება ჩვეულებრივ აქციებზე. მათი გამოწვევის პირობებში აღნიშნულია, რომ განსაზღვრული დროის შემდეგ აქციების ყიდვა. ამით კომპანია ერთდროულად ორ მიზანს აღწევს: სახსრები გასაზრდება და ამავე დროს ობლიგაციებზე ნაკლები შემოსავალი გაცივება. ამას კონვერტირებადი პროვილენცია ეწოდება.</p>	<p>პირდაპირი ობლიგაციები</p> <p>კუპონურია, ყოველგვარი დამოკილი ფონდის გარეშე. თუ ფასიანი ქაღალდი სახელობითია, შემოსავალი ჩვეის სახით იგზავნება; ხელი თუ უსახელოა, მაშინ - წარმომდგენზე გაიცემა.</p> <p>ობლიგაციები ნულოვანი კუპონით</p> <p>ამ სახის ობლიგაციებზე პროცენტი არ გადაიხდება. მათი დაფარვა ხდება ნომინალური ღირებულებით, მაგრამ იყიდება ნომინალთან შედარებით უფრო დაბალი ფასით.</p>	<p>მაკულატურული ობლიგაციები</p> <p>სახელწოდება მიიღეს თავიანთი დაბალი რეიტინგის გამო. აქტივები, რომლებიც გარეუცხოელებს კომპანიის სასესხო ვალდებულებებს, ხასიათდებათ ფასიანი ქაღალდის ფიქსირებულ და არაფიქსირებულ შემოსავლებს შორის მაღალი თანაფარდობით ან ახალი ფასიანი ქაღალდების გაყიდვით შესაძლებელია მატულობის კომპანიების შერწყმის, შთანთქმის და ფინანსების მიზნით ან საკუმულაციო სახის შექმნის მიზნით.</p>	<p>მუნიციპალური ობლიგაციები</p> <p>უტატების, ოლქების და უფრო წვილად ადმინისტრაციულ ერთეულთა ხელისუფლების მიერ გამოშვებული ობლიგაციები. მათი გამოშვების ხარჯზე შექმნილი ფონდები შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მთავრობის მთელი საქმიანობის ან გარემოწვეული პრობლემის დასაფინანსებლად. ამ ობლიგაციების ცალკეული სახეობები თავისუფლდება ფედერალური გადასახადებისგან.</p>
--	--	--	---	---

კომერციული ბანკის მიერ სავალო ვალდებულებათა მიმოცემაში გამოშვებისა და მათი დაფარვის ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები

გამოშვებული ობლიგაციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საწესდებო ფონდის 25%.

ობლიგაციების გამოშვება ხორციელდება მხოლოდ მაშ შემდეგ, როდესაც ბანკი სრულად დაფარავს ადრე გამოშვებული აქციების დევიდენდებს.

ობლიგაციური სესხების გამოშვების მომენტის მომადღებებისას ბანკი განსაზღვრავს მის ბირობის — სესხის ოპტიმალურ ვადასა და საპროცენტო განაკვეთს.

საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ან მიუღი ვადის განმავლობაში და შეცვლას არ ემეხებება, ან შესაძლებელია მისი ცვლილება, მაგ., გაზრდა. პროცენტის გარდა კრედიტორს საშუალება ეძლევა მიიღოს დამატებითი შემოსავალი ობლიგაციების გათამაშებაში მოგების სახით. გარდა ამისა, ისტორიაში ცნობილია კრედიტორების სტიმულირების სხვა მეთოდებიც, მაგ., ე.წ. დაფარვის პრემიების დაწესება, რაც გულისხმობს ობლიგაციის დაფარვის დროს ნომინალურ თანხაზე გარკვეულ დანამატის გადახდას.

კონფრსია — სესხის პირობების შეცვლა — ერთი ტიპის სესხის შეცვლა სხვა ტიპის სესხით ან, სხვაგვარად, ერთი ვალის გასწორება და სხვა ობლიგაციების გამოშვება. არსებობს კონფრსიის ორი ფორმა:
1. იძულებითი კონფრსია. ამ შემთხვევაში ობლიგაციის მფლობელისაგან დამოუკიდებლად იცვლება ძველი ობლიგაცია ახლით, რომლის პირობები შეცვლილია დებიტორის სასარგებლოდ (მაგ., შემორჩენულია საპროცენტო განაკვეთი) კონფრსიის ეს ფორმა მსოფლიო პრაქტიკაში განიხილება როგორც ემიტენტის (ობლიგაციის გამომშვების) ნაწილობრივი გაკოტრება და მას, ბოლოვრც წესი, მხოლოდ სახელმწიფო მიმართავს კრიზისულ სიტუაციაში.
2. ნებაყოფლობითი კონფრსია. ამ შემთხვევაში ობლიგაციის მფლობელი თვითონ ირჩევს სესხის პირობებს. ან იმწეს ახალ ობლიგაციას შედარებით დაბალი სარგებლით, ან იბრუნებს თავის თანხას, ე.ი. კონფრსიის ნებაყოფლობითი ფორმა გულისხმობს კრედიტორსა და მსესხებულს შორის ინტერესების შეთანხმებას.

ბანკის მიერ ობლიგაციების დაფარვის მეთოდები:
1. სესხის ერთდროული დაფარვა სრული თანხით;
2. სესხის თანდათანობითი დაფარვა. ამ შემთხვევაში სესხის საერთო თანხა ნაწილდება ცალკეულ წლებზე და კალი იფარება დაფარვათა ტირაჟების ჩატარების გზით.
3. სესხის დაფარვა ბირჟაზე ობლიგაციების შესყიდვის გზით. თუ ობლიგაციების საბაზრო კურსი ნომინალურ ღირებულებაზე მაღალია, მაშინ ბანკისათვის მოშვებინა და დაფარვათა ტირაჟი; ხოლო თუ კურსი ნომინალზე დაბალია, მაშინ უმჯობესია ბირჟაზე მათი შესყიდვა.

კრედიტორების ინტერესების ძირითადი მეთოდები:
1. სხვა ბანკის მიერ პროცენტების გადახდის გარანტირება;
2. ობლიგაციის მფლობელთა გაერთიანება სათაბირო ხმის უფლებით;
3. ობლიგაციების საპროცენტო დაფარვის უზრუნველყოფა (მაგ., რუსეთის იმპერიაში ობლიგაციები უზრუნველყოფილი იყო ე.წ. მიწის ბანკების საკირაო ფურცლებით და საკრედიტო დაწესებულებების საკუთარი კაპიტალებით).

სადეპოზიტო სერთიფიკატი

სადეპოზიტო სერთიფიკატი

— საკრედიტო დაწესებულების წერილობითი მოწმობა ფულადი საშუალებების დეპონირებაზე, რომელიც ადასტურებს მენაბრის უფლებას დეპოზიტისა და პროცენტის მიღებაზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სადეპოზიტო სერთიფიკატის სახეობები

ვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატი

ვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატი უფლებას აძლევს მის მფლობელს მიიღოს დეპოზიტი და სარგებელი დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სერთიფიკატის ვადა განისაზღვრება მისი გაყიდვის თარიღიდან.

სადეპოზიტო სერთიფიკატი შეიძლება რეალიზებულ იქნეს გადასაცემი წარწერის (ინდოსამენტის) საშუალებითაც. სერთიფიკატის ამ ფორმამ მიიღო მიმოქცევა ვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატის სახელწოდება. იგი განსაკუთრებით პოპულარულია მსოფლიო ბაზარზე. ევრობანკები უშეებენ 25 ათასი აშშ დოლარისა და მეტი ღირებულების სერთიფიკატებს 30 დღიდან 3-5 წლამდე ვადით და ავრცელებენ ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე. აშშ-ში ბანკები უშეებენ 100 ათასი აშშ დოლარისა და მეტი ღირებულების, ხოლო ინგლისის ბანკები — 50 ათასიდან 250 ათას გირვანქა სტერლინგამდე ღირებულების სერთიფიკატებს.

სადეპოზიტო სერთიფიკატი მოთხოვნამდე

სადეპოზიტო სერთიფიკატი უფლებას აძლევს მის მფლობელს მიიღოს დეპოზიტი და სარგებელი მოთხოვნისთანავე. როგორც წესი, ამ სახის სერთიფიკატის სარგებელი გაცილებით დაბალია ვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატის სარგებელთან შედარებით.

მოთხოვნამდე სერთიფიკატის ყოველ სრულ მაგ., 12 (6 ან 3) თვის ფლობის შემდეგ ბანკი რიცხავს შეთანხმებულ სარგებელს, განსაზღვრულს მისი ნომინალის მიხედვით. აღნიშნული თანხა შეიძლება დაფიქსირდეს ბლანკის მეორე მხარეს.

შენიშვნა:

1. იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც სურვილი აქვთ შეიძინონ ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატი, იხდიან მის სრულ თანხას ნომინალის ან საკურსო ღირებულების მიხედვით.
2. სადეპოზიტო სერთიფიკატი მის მფლობელს უფლებას აძლევს მიიღოს კუთვნილი კაპიტალი (ე.ი. ძირითადი თანხა პლუს სარგებელი) მხოლოდ მთლიანი თანხით.

ბანკის დაბანდება ფასიან ქალაქებში


<p>ბანკის მონაწილეთა სააქციო საზოგადოების კაპიტალიში. ეს მას საშუალება აძლევს: 1. მიიღოს დივიდენდები დაბანდება კაპიტალზე; 2. გახდეს მოცემული სააქციო საზოგადოების თანამშავედრე, თანამშავედრე პირებში საკმაოდ მაკონტროლო "შევილითლი საწარმოო შექმნა, სადაც ერთდროულად ბეციონერს ექვემდებარება ფონდის ნაგებარი პლუს ერთი აქცია ბანკს, რომელიც ასეთ "შევილითლი" საწარმოს ქმნის, შეუძლია თავისი ფუნქციონირების ნაწილი მას გადასცეს. ზოგიერთმა კომერციულმა ბანკმა თავისი ბალანსის "შეფუძვლების" მიზნით შექმნილ "შევილითლი" საწარმო სალიზინგო კომპანიას გადასცა მანქანა-მოწყობილობათა საზოგადოებრივი.</p> <p>გარდა ამისა, ბანკისათვის განსაკუთრებით მომგებიანია სააქციო საზოგადოების საზოგადოების მთავარი დამფუძნებლის როლი, კინაოდან ეს საზოგადოება უზრუნველყოფს მისი მხრივ გააუფლებებს გაცემული ქრედიტების დაბრუნებას, რაც თავისი დიტივის დაბრუნებას. თითქმის სადაზღვეო კომპანიასაც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ანგარიში ბანკის მფლობელებში, რაც ამ უკანასკნელს საკრედიტო რესურსების ინტენსიური მოზიდვის საშუალებას მისცემს.</p> <p>ბანკს სავაჭრო და საფინანსო მხარეების (სააქციო საზოგადოების ფორმის) აქციების შეფასება საშუალებას აძლევს მიიღოს ადგილი ბირჟაზე. ეს კი მას უფლებას აძლევს გაანახორციელოს ფართომასშტაბიანი საბანკო ოპერაციები როგორც თავისი საზოგადოების და თავისივე ბირჟით, ასევე კლიენტის დაბანდებაში ხარისხი.</p>	<p>ბანკის მიერ მთავარი პირის ვალდებულებათა შესყიდვა. მსოფლიო პრაქტიკაში შედარებით უსაფრთხო დაბანდება ითვლება მთავარი პირის საკუთარ ვალდებულებათა შესყიდვა. თუმცა კვენის პოლიტიკური არასტაბილურობისა და ეკონომიკური კრიზისების პერიოდში არც ეს მეთოდი შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ. საერთო სიტუაციებიდან თავის დაზღვევის მიზნით ბანკს ყოველთვის უნდა შეეძლოს საკონსერვაციული ანგარიშების მსხვილი თანხები, როგორც მომავალი გადასახდელების დაფარვის რეზერვი. გარდა ამისა გამოიყენება გვიდველიზობითუნარიანობის ისეთი ფორმა, როგორცაა ბანკის დაბანდება ადვილად რეალიზებად გადასახდელ ფასიან ქალაქებში. საჭირო შემთხვევაში მათი რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ხარჯზე ხორციელდება გადახდები საერთოდად მთავარი პირის მიხედვით.</p>	<p>ბანკის მიერ თამასუქის ადრეცხვის ოპერაცია შემდეგი მდგომარეობის შემთხვევაში უფროდელ ან ფიზიკურ პირს, რომელიც საკონკრეტო ვალდებულებას ნისიად გადახდის ვალის გადადება, უფლება აქვს გამოყენდეს მისივე მარტივი ან კომპლექსური ვალდებულებების თამასუქს, რომელიც თვითონ გამოყენდეს მიერ კრედიტორებთან ანგარიშსწორებისათვის (მაგ., მიწოდებლებთან, ბანკთან) თამასუქის გადახდის ვალის დადგენამდე. მაშინ იგი ცდილობს მოძებნოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იყიდოს მისგან სავალი ვალდებულებას — თამასუქს. მისი შემყიდველი შეიძლება გახდეს კომერციული ბანკი, თუ იგი დარწმუნებულია თამასუქის ლიკვიდაციაში. თამასუქის მფლობელი გადასცემს ბანკს სავალი ვალდებულებას სპეციალური გადასახდელი წარწერის (ინდოსამენტის) საშუალებით, რაც ნიშნავს გადასახდელის მიღების უფლებას გადაცემის საკრედიტო დაწესებულებისადმი. ბანკი, რომელიც სხვის ვალს ყიდულობს, ცდილობს ამ გარემოებიდან მოგების მიღებას. იგი ყიდულობს (ანუ აღრიცხავს) თამასუქს მის ვალდებულებებზე (ასე ეწოდება თამასუქის ჰომინალს) უფრო დაბალი ფასით. ბანკის მიერ მიღებული გასამრჯელო — აღრიცხვის თანხა გამოიანგარიშება სააღრიცხვო განაკვეთის საფუძველზე. აღნიშნული თანხა ჩარიცხება შეტანვლებში თამასუქის შესყიდვის დროს.</p>
<p>ბანკის მონაწილეთა სააქციო საზოგადოების კაპიტალიში. ეს მას საშუალება აძლევს: 1. მიიღოს დივიდენდები დაბანდება კაპიტალზე; 2. გახდეს მოცემული სააქციო საზოგადოების თანამშავედრე, თანამშავედრე პირებში საკმაოდ მაკონტროლო "შევილითლი საწარმოო შექმნა, სადაც ერთდროულად ბეციონერს ექვემდებარება ფონდის ნაგებარი პლუს ერთი აქცია ბანკს, რომელიც ასეთ "შევილითლი" საწარმოს ქმნის, შეუძლია თავისი ფუნქციონირების ნაწილი მას გადასცეს. ზოგიერთმა კომერციულმა ბანკმა თავისი ბალანსის "შეფუძვლების" მიზნით შექმნილ "შევილითლი" საწარმო სალიზინგო კომპანიას გადასცა მანქანა-მოწყობილობათა საზოგადოებრივი.</p> <p>გარდა ამისა, ბანკისათვის განსაკუთრებით მომგებიანია სააქციო საზოგადოების საზოგადოების მთავარი დამფუძნებლის როლი, კინაოდან ეს საზოგადოება უზრუნველყოფს მისი მხრივ გააუფლებებს გაცემული ქრედიტების დაბრუნებას, რაც თავისი დიტივის დაბრუნებას. თითქმის სადაზღვეო კომპანიასაც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ანგარიში ბანკის მფლობელებში, რაც ამ უკანასკნელს საკრედიტო რესურსების ინტენსიური მოზიდვის საშუალებას მისცემს.</p> <p>ბანკს სავაჭრო და საფინანსო მხარეების (სააქციო საზოგადოების ფორმის) აქციების შეფასება საშუალებას აძლევს მიიღოს ადგილი ბირჟაზე. ეს კი მას უფლებას აძლევს გაანახორციელოს ფართომასშტაბიანი საბანკო ოპერაციები როგორც თავისი საზოგადოების და თავისივე ბირჟით, ასევე კლიენტის დაბანდებაში ხარისხი.</p>	<p>ფასიან ქალაქებში ინვესტიციების პროცესში ბანკი იცავს დაბანდებათა ეწ. დივერსიფიკაციის წესებს, რაც სერიოზული დანაკარგების რისკის მინიმუმამდე შეცირების საშუალებას იძლევა. ამ მიზნით ბანკი ახორციელებს დაბანდებათა განაწილებას სხვადასხვა სახეობის მრეწველობებში ფასიან ქალაქებში. სხველითლი, დაბანდებათა ნაწილდება ფასიან ქალაქებში სახეობის, ეკონომიკის ცალკეული დარგების, რეგიონების, დეფარვის ვალდებულებების (სავალი ვალდებულებათა) მიხედვით.</p> <p>გარდა ამისა, ბანკი რეგულარულად ანალიზებს ფასიან ქალაქების საქვითარ "პოტიცენტრებს" ფასიან ქალაქებში დაბანდებათა უსაფრთხოების, შემოსავლიანობისა და ლიკვიდაციის ოქტიმალური შესაძლების თვალსაზრისით.</p>	<p>ბანკის მიერ თამასუქის ადრეცხვის ოპერაცია შემდეგი მდგომარეობის შემთხვევაში უფროდელ ან ფიზიკურ პირს, რომელიც საკონკრეტო ვალდებულებას ნისიად გადახდის ვალის გადადება, უფლება აქვს გამოყენდეს მისივე მარტივი ან კომპლექსური ვალდებულებების თამასუქს, რომელიც თვითონ გამოყენდეს მიერ კრედიტორებთან ანგარიშსწორებისათვის (მაგ., მიწოდებლებთან, ბანკთან) თამასუქის გადახდის ვალის დადგენამდე. მაშინ იგი ცდილობს მოძებნოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იყიდოს მისგან სავალი ვალდებულებას — თამასუქს. მისი შემყიდველი შეიძლება გახდეს კომერციული ბანკი, თუ იგი დარწმუნებულია თამასუქის ლიკვიდაციაში. თამასუქის მფლობელი გადასცემს ბანკს სავალი ვალდებულებას სპეციალური გადასახდელი წარწერის (ინდოსამენტის) საშუალებით, რაც ნიშნავს გადასახდელის მიღების უფლებას გადაცემის საკრედიტო დაწესებულებისადმი. ბანკი, რომელიც სხვის ვალს ყიდულობს, ცდილობს ამ გარემოებიდან მოგების მიღებას. იგი ყიდულობს (ანუ აღრიცხავს) თამასუქს მის ვალდებულებებზე (ასე ეწოდება თამასუქის ჰომინალს) უფრო დაბალი ფასით. ბანკის მიერ მიღებული გასამრჯელო — აღრიცხვის თანხა გამოიანგარიშება სააღრიცხვო განაკვეთის საფუძველზე. აღნიშნული თანხა ჩარიცხება შეტანვლებში თამასუქის შესყიდვის დროს.</p>
<p> $\frac{\text{თამასუქის ადრეცხვის თანხა}}{\text{საპროცენტო ნომერი}} = \text{სადაც}$ $\frac{\text{საპროცენტო ნომერი}}{\text{საპროცენტო კოეფიციენტი}} = 100\%$ </p>		
<p>საპროცენტო პერიოდი ტოლია თამასუქის აღრიცხვის დღიდან ვალის გადახდამდე დღისა საერთო რაოდენობისა.</p> <p>მუდმივი გამოფი = 360 დღე/სააღრიცხვო განაკვეთი</p> <p> $\frac{\text{თამასუქის ადრეცხვის თანხა}}{\text{თამასუქის ადრეცხვის თანხა}} \times \frac{\text{საპროცენტო განაკვეთი}}{\text{საპროცენტო განაკვეთი}} \times \text{სააღრიცხვო განაკვეთი} = 100\% \times 360 \text{ დღე}$ </p> <p> $\text{თამასუქის ფასი} = \frac{\text{თამასუქის ადრეცხვის თანხა}}{\text{თამასუქის ადრეცხვის თანხა}}$ </p>		

კომერციული ბანკის საშუაშაგლო ოპერაციები

ფასიანი ქალაღდების პირველადი გავრცელება კომერციული ბანკის მიერ

კომერციული ბანკი საკომისიო საწყისებზე მონაწილეობას იღებს ფასიანი ქალაღდების პირველად გავრცელებაში, რომელიც მისი კლიენტის (მაგ., სააქციო საზოგადოების) მიერ არის ორგანიზებული. ამ ოპერაციაში ბანკის მონაწილეობა ხორციელდება საემისიო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც დაფიქსირებულია მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

საემისიო ხელშეკრულების სქემა



საგირაო ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით

ფასიანი ქაღალდების დაგირავებით მოკლევადიანი სესხის
გაცემის სპეციფიკა

ფასიანი ქაღალდების გირაო
ფასდება ფასიანი ქაღალდების
საბაზრო კურსის და არა მათი
ნომინალის მიხედვით.

რისკის შემცირების მიზნით კრე-
დიტი გაიცემა ფასიანი ქაღალ-
დების ღირებულების 50-70%-ის
ფარგლებში.

კლიენტთან დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში
გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

1. დაგირავებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო კურსის
შემცირების შემთხვევაში (მაგ., 5 ან მეტი პროცენტით
საბაზო საბირჟო კურსზე, რომლის მიხედვითაც
განისაზღვრება გირაოს ღირებულება სესხის გაცემისას)
კლიენტი ვალდებულია ბანკში წარადგინოს დამატებითი
გირაო;


2. კლიენტის მიერ ბანკის მოთხოვნების შეუს-
რულებლობისა და აგრეთვე ვადაგადაცილებული დავა-
ლიანების წარმოშობის შემთხვევაში ბანკს, კლიენტთან
ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, უფლება
აქვს გაყიდოს ყველა დაგირავებული ფასიანი ქაღალდი
ან მისი გარკვეული ნაწილი და ამონაგები თანხით
დაფაროს არაუზრუნველყოფილი დავალიანება. თუ
ამონაგები ნაკლები აღმოჩნდება აღნიშნულ ვალზე, მაშინ
კლიენტი ვალდებულია პასუხი აგოს ბანკის წინაშე
მთელი თავისი ქონებით.

XVI თავი

სავალუტო ბაზარი და კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები

სავალუტო ბაზარი – ვანსაკუთრებული ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად.

სავალუტო ბაზარი უპირატესად ბანკთაშორის ბაზარს წარმოადგენს (თუმცა მასში ბირჟები, ბროკერები და სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიც მონაწილეობენ), ვინაიდან სწორედ ბანკთაშორისი სავალუტო ოპერაციების თავისებურებაა ის, რომ აქ სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულები ერთმანეთს მხოლოდ საკორესპონდენტო ანგარიშების საშუალებით უპირისპირდებიან. სავალუტო ოპერაციები კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით ხორციელდება.




ვალუტის კურსი – ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი, გამოხატული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში.

ვალუტის კოტირება

ვალუტის კოტირება (ფრანგ. coter) — ვალუტის კურსის, ფასის დადგენა.

უცხოური ვალუტის სრული კოტირება მოიცავს მყიდველისა და გამყიდველის კურსებს, რომლის შესაბამისადაც ბანკმა იყიდა ან გაყიდა უცხოურ ვალუტას ეროვნულ ვალუტაზე. მყიდველისა და გამყიდველის კურსებს შორის სხვაობა — მარჟა — წარმოადგენს ბანკის შემოსავლის წყაროს, რის საფუძველზეც იგი ფარავს გარიგების ხარჯებს და გარკვეულწილად წარმოადგენს სავალუტო რისკის დაზღვევას.



**გამყიდველისა და მყიდველის კურსების განსაზღვრის მაგალითები
ვალუტების პირდაპირი და ირიბი კოტირების დროს**

I მაგალითი. ნიუ-იორკი - ლონდონი (პირდაპირი კოტირება):

- 1 გირვანქა სტერლინგი = 1.6427 აშშ დოლარი — მყიდველის კურსი,
- 1 გირვანქა სტერლინგი = 1.6437 აშშ დოლარი — გამყიდველის კურსი.

ნიუ-იორკის ბანკი ცდილობს გაყიდოს გირვანქა სტერლინგები და მიიღოს რაც შეიძლება მეტი ეროვნული ვალუტა (\$1.6437), ხოლო მისი ყიდვის დროს — გადაიხადოს ნაკლები რაოდენობა (\$1.6427).

II მაგალითი. ნიუ-იორკი - მაინის ფრანკფურტი (ირიბი კოტირება):

- 1 აშშ დოლარი = 1.7973 ევრო — გამყიდველის კურსი,
- 1 აშშ დოლარი = 1.7983 ევრო — მყიდველის კურსი.

ნიუ-იორკის ბანკი ყიდის ევროს და ცდილობს ყოველ დოლარზე გადაიხადოს ნაკლები რაოდენობის ევრო (1.7973), ხოლო ყიდვის დროს — მიიღოს მეტი რაოდენობის ევრო (1.7983).

კოტირების პროცედურას, რომელიც მოიცავს თითოეული ვალუტის ბანკთაშორისი კურსის დადგენასა და რეგისტრაციას მასზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის შესაბამისად, „ფიქსინგი“ ეწოდება. ფიქსინგის საფუძველზე დადგენილი გამყიდველისა და მყიდველის კურსები ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტენებში. ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვალუტების კოტირება უპირატესად აშშ დოლარების მიმართ ხორციელდება, ვინაიდან იგი საერთაშორისო საგადასახდელო და სარეზერვო საშუალებას წარმოადგენს.

კროს კურსი — ორი ვალუტის თანაფარდობა, რომელიც გამომდინარეობს მესამე ვალუტის (ჩვეულებრივ, აშშ დოლარის) მიმართ მათი თანაფარდობიდან.

შენიშვნა:

აშშ-ში ქვეყნის საშინაო მიზნებისათვის იყენებენ პირდაპირ კოტირებას, ხოლო საერთაშორისო სფეროში — ირიბ კოტირებას თითქმის ყველა ვალუტის მიმართ, გარდა გირვანქა სტერლინგისა.

კროს კურსის გაანგარიშების მაგალითები:
 I მაგალითი. მოცემულია შემდეგი კოტირებები:

$$\begin{array}{r} \text{აშშ დოლარი} \\ \hline \text{ვერო} \end{array} = \frac{1.7973}{1.7983} \quad ,$$

$$\begin{array}{r} \text{აშშ დოლარი} \\ \hline \text{შვეიცარული} \\ \hline \text{ფრანკი} \end{array} = \frac{1.5617}{1.5627} \quad .$$

კლიენტს სურს შვეიცარიის ბანკისაგან იყიდოს ვერო, ამასთან დაკავშირებით შვეიცარიის ბანკმა წინასწარ უნდა იყიდოს ვერო მაგ., გერმანიის ბანკისაგან აშშ დოლარებით შემდეგი კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7973 ვერო. იმისათვის, რომ მიიღოს აშშ დოლარები, რომელსაც შვეიცარიის ბანკი გადაუხდის გერმანიის ბანკს, საჭიროა გაყიდოს შვეიცარული ფრანკები, რომელიც შეძენილი აქვს კლიენტისაგან აშშ დოლარებით კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.5627 შვეიცარული ფრანკი. ამრიგად,
 X შვეიცარული ფრანკი = 1 ვერო,
 1.7973 ვერო = 1 აშშ დოლარი,
 1 აშშ დოლარი = 1.5627 შვეიცარული ფრანკი.

$$X = \frac{1 \times 1.5627}{1.7973} = 0.8695$$

1 ვერო = 0.8695 შვეიცარული ფრანკი — გამყიდველის კურსი.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სურს შვეიცარიის ბანკს მიჰყიდოს ვერო, გვექნება:

$$\begin{array}{l} X \text{ შვეიცარული ფრანკი} = 1 \text{ ვერო,} \\ 1.7973 \text{ ვერო} = 1 \text{ აშშ დოლარი,} \\ 1 \text{ აშშ დოლარი} = 1.5617 \text{ შვეიცარული ფრანკი} \end{array}$$

$$X = \frac{1 \times 1.5617}{1.7983} = 0.8684$$

1 ვერო = 0.8684 შვეიცარული ფრანკი — მყიდველის კურსი.

II მაგალითი. კლიენტს ციურიხში სურს შეიძინოს გირვანქა სტერლინგები შვეიცარული ფრანკებით. სავალუტო კურსებია:

$$\begin{array}{r} \text{გირვანქა სტერლინგი} \\ \hline \text{აშშ დოლარი} \end{array} = \frac{1.6427}{1.6437} \quad ,$$

$$\begin{array}{r} \text{აშშ დოლარი} \\ \hline \text{შვეიცარული} \\ \hline \text{ფრანკი} \end{array} = \frac{1.5617}{1.5627} \quad .$$

შვეიცარიის ბანკი ციურიხში ყიდის შვეიცარულ ფრანკებს აშშ დოლარებზე კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.5627 შვეიცარული ფრანკი და ყიდულობს ლონდონში გირვანქა სტერლინგებს აშშ დოლარებით კურსით:

$$\begin{array}{l} 1 \text{ გირვანქა სტერლინგი} = 1.6437 \text{ აშშ დოლარი,} \\ X \text{ შვეიცარული ფრანკი} = 1 \text{ გირვანქა სტერლინგი,} \\ 1 \text{ გირვანქა სტერლინგი} = 1.6437 \text{ აშშ დოლარი,} \\ 1 \text{ აშშ დოლარი} = 1.5627 \text{ შვეიცარული ფრანკი.} \end{array}$$

$$X = 1.6437 \times 1.5627 = 2.5687$$

1 გირვანქა სტერლინგი = 2.5687 შვეიცარული ფრანკი — გამყიდველის კურსი.

თუ კლიენტს სურს შვეიცარიის ბანკს მიჰყიდოს გირვანქა სტერლინგები, მაშინ გვექნება:

$$\begin{aligned}
 X \text{ შვეიცარული ფრანკი} &= 1 \text{ გირვანქა სტერლინგი,} \\
 1 \text{ გირვანქა სტერლინგი} &= 1.6427 \text{ აშშ დოლარი,} \\
 1 \text{ აშშ დოლარი} &= 1.5617 \text{ შვეიცარული ფრანკი}
 \end{aligned}$$


$$X = 1.6427 \times 1.5617 = 2.5654$$

1 გირვანქა სტერლინგი = 2.5654 შვეიცარული ფრანკი — მყიდველის კურსი.

სავალუტო პოზიცია

სავალუტო პოზიცია

– უცხოურ ვალუტაზე ბანკის მოთხოვნებისა და ვალდებულებების თანაფარდობა გარკვეული პერიოდისათვის.



მაგალითი. ბანკმა გახსნა პოზიცია, გაყიდა რა 1000 აშშ დოლარი 1.7998 ევროზე. ამ გარიგების შედეგად ბანკს აქვს მოკლე პოზიცია აშშ დოლარებში და გრძელი — ევროში.

ღია სავალუტო პოზიცია დაკავშირებულია სავალუტო რისკის წარმოშობასთან; მას შეიძლება მოჰყვეს როგორც დამატებითი შემოსავლები, ასევე ბანკის მნიშვნელოვანი ზარალი. ბანკები მაქსიმალურად ცდილობენ სავალუტო რისკის ლიკვიდაციას.

სავალუტო რისკი — დანაკარგების საშიშროება, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტების კურსების ცვლილებასთან მათი ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა განხორციელების პროცესში.

შენიშვნა: კროს კურსის საფუძველზე ხორციელდება ვალუტების კოტირება სამრეწველო-სავაჭრო კლიენტურისათვის.

სავალუტო რისკის თავიდან აცილების მეთოდები

ტექნიკური მეთოდი

იგი გულისხმობს ბანკის მიერ ვალუტის ყიდვას ნაღდი გარიგების პირობით და იმავე დროს მის გაყიდვას გარკვეული ვადით.

ადმინისტრაციული მეთოდები

იგი გულისხმობს ღია სავალუტო პოზიციაზე ლიმიტების დაწესებას.
ღია სავალუტო პოზიციაზე ლიმიტების დაწესებისას დღის განმავლობაში გაითვალისწინება ვალუტების საშუალო დღიური ცვლილება ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, განისაზღვრება ღია პოზიციის დღიური ლიმიტის თანხა, აგრეთვე მოგების მოცულობა და შესაძლო ზარალის თავიდან აცილება. უნდა აღინიშნოს, რომ თუ სავალუტო პოზიცია დღის განმავლობაში არ დაიხურა და გადატანილ იქნა მომდევნო დღისთვის და ამავე დროს არსებობს ნებართვა დაიხუროს იგი გარკვეული დონით (როგორც წესი, დღის განმავლობაში დადგენილი ზარალის თანხის ფარგლებში), მაშინ ასეთი პოზიცია არ შეიძლება ჩაითვალოს ღიად, სავალუტო კურსების ცვლილების რისკის გაუთვალისწინებლობის გამო.

სავალუტო ოპერაციები

ნაღდი სავალუტო ოპერაციები

ვადიანი სავალუტო ოპერაციები

გარიგება „ოვერნაითი“ (ინგლ. overnight — ღამის განმავლობაში) — ნაღდი სავალუტო გარიგება, რომლის დროსაც შესყიდული ვალუტა მყიდველს უნდა გადაეცეს გარიგების დღეს ან მეორე დღეს.

გარიგება „სპოტი“ (ინგლ. spot - დაუყოვნებლივ) — ნაღდი სავალუტო გარიგება, რომელიც ვარაუდობს ვალუტის მიწოდებას გარიგებიდან ორი დღის განმავლობაში (გარიგების დადების დღის მხედველობაში მთვლებლად).

გარიგება „ფორვარდი“ (ინგლ. forward - წინმსწრები) — ვადიანი სავალუტო გარიგება, რომელიც გულისხმობს ვალუტების გაცვლას წინასწარ დადგენილ ვადაში (როგორც წესი, ერთი კვირიდან 5 წლამდე), გარიგების დადების მომენტში დაფიქსირებული კურსით. „ფორვარდის“ მიხედვით დისკონტის ან პრემიის განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს მოკლევადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა; ხოლო პრემიის ან დისკონტის ოდენობა შეესაბამება ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობას შესაბამის ვალუტებში „ფორვარდული“ გარიგების ვადით.

სავალუტო არბიტრაჟი — სავალუტო ოპერაცია, რომელიც მოიცავს ვალუტის ყიდვას (გაყიდვას) შემდგომში კონტრაგირების განხორციელებით სხვადასხვა სავალუტო ბაზრებზე ვალუტის კურსებს შორის სხვაობის სახით მოგების მიღების მიზნით (სივრცული არბიტრაჟი) ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში კურსების ცვალებადობის ხარჯზე მოგების მიღების მიზნით (დროითი არბიტრაჟი). მისი პრინციპია ვალუტის ყიდვა იაფად, გაყიდვა — ძვირად.

არჩევენ მარტივ სავალუტო არბიტრაჟს, რომელიც ორი ვალუტით ხორციელდება და რთულ სავალუტო არბიტრაჟს, რომელიც სამი და მეტი ვალუტით ხორციელდება ნაღდი და ვადიანი გარიგების პირობებით.

მიზნის მიხედვით არსებობს საპროცენტო და კონვერსიული არბიტრაჟები. საპროცენტო არბიტრაჟი — მიზნად ისახავს მიიღოს მოგება სხვადასხვა სავალუტო ბაზრებზე კურსებს შორის სხვაობით. ამასთან, გარიგების საწყისი და საბოლოო ვალუტა ერთმანეთს ემთხვევა. კონვერსიული არბიტრაჟი — ვალუტის ყიდვა რაც შეიძლება დაბალი კურსით, ე.ი. ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის შერჩევა ვალუტის შესაძენად.

გარიგება „ფიუჩერსი“ (ინგლ. future - მომავალი) — ვალუტის ყიდვა-გაყიდვა გარიგების მომენტში დაფიქსირებული კურსით გარიგებიდან გარკვეული დროის შემდეგ (2-3 წლამდე).

გარიგება „აუტრაითი“ (ინგლ. outright - სრული, სრულყოფილი) — ვალუტის მიწოდება დათქმულ ვადაში პრემიის ან დისკონტის გათვალისწინებით (კურსით „აუტრაითი“).

გადახდის ვადის ცვლილება (ინგლ. leads and lags - გასწრება და ჩამორჩენა) — იგი წარმოადგენს ანგარიშსწორებათა განხორციელების ვადების მანიპულირებას ვალუტის კურსის, სარგებლის განაკვეთების, დაბეგვრის მოსალოდნელი მკვეთრი ცვლილების, აგრეთვე სავალუტო შეზღუდვების დაწესების ან გაძლიერების, მევალის მყიდველობითუნარიანობის გაუარესების შემთხვევებში.

გარიგება „ოპციონი“ (ინგლ. option - არჩევა, არჩევის უფლება) — ვადიანი სავალუტო გარიგება, რომელიც გარიგების ერთ-ერთ მხარეს უფლებას აძლევს აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი პირობა — შეიძინოს ვალუტა ან უარი თქვას მის შეძენაზე (ამ შემთხვევაში იხდის პრემიას).

გარიგება „სვოპი“ (ინგლ. swop - გაცვლა) - ვადიანი სავალუტო ოპერაცია, რომელშიც შერწყმულია ვალუტების ყიდვა-გაყიდვა ნაღდი პირობით და იმავე დროს მათი უკუგადაცვლის პროცესი გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, ე.ი. „სვოპი“ = „სპოტი“ + „ფორვარდი“.

მყიდველის „ოპციონი“, ანუ წინასწარი პრემიით გარიგება — ოპციონის მფლობელს უფლებას აძლევს იყიდოს ვალუტა გარკვეულ დღეს წინასწარ დაფიქსირებული კურსით. მყიდველი უფლებას იტოვებს უარი თქვას ვალუტის ყიდვაზე, რისთვისაც გამყიდველს უხდის პრემიას. ეს არის call ტიპის „ოპციონი“.

„კრებორტი“ — უცხოური ვალუტის გაყიდვა „სპოტ“ პირობით და იმავე დროს მისი ყიდვა „ფორვარდ“ პირობით.

„დეპორტი“ — უცხოური ვალუტის ყიდვა „სპოტ“ პირობით და იმავე დროს მისი გაყიდვა „ფორვარდ“ პირობით.

გამყიდველის „ოპციონი“, ანუ უკუპრემიით გარიგება - ოპციონის წარმდგენს უფლება აქვს გაყიდოს ვალუტა დათქმულ დღეს წინასწარ დაფიქსირებული კურსით. გამყიდველი უფლებას იტოვებს უარი თქვას ვალუტის გაყიდვაზე, რისთვისაც მყიდველს უხდის პრემიას. ეს არის put ტიპის „ოპციონი“.

გარიგება „სვოპი“ სარგებლის განაკვეთებით იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ერთი მხარე ვალდებულია იღებს გადაუხადოს მეორე მხარეს სარგებელი „ლიბორ“¹ განაკვეთის მიხედვით, რის სანაცვლოდაც იგი იღებს ფიქსირებულ სარგებლის განაკვეთებს. მათ შორის სხვაობა წარმოადგენს მოგებას. ამ ოპერაციაში იღებს ის მხარე, რომელიც არ შეცდა სარგებლის საბაზრო განაკვეთების პროგნოზში.

გარიგება „სვოპი“ გრძელვადიანი სავალო ვალდებულებებით — გარიგება, რომლის დროსაც კრედიტორები ცვლიან არა მარტო საპროცენტო შემოსულობებს, არამედ კლიენტის ვალის მთლიან თანხას დადგენილ ვადაში.

„სტელაუი“ — გარიგების ერთ-ერთი მხარის უფლებათა კომბინაცია იყიდოს ან გაყიდოს ვალუტა გარკვეულ ვადაში წინასწარ დაფიქსირებული კურსით. ამ ოპერაციის მიხედვით პრემიის გადამხდელს უფლება აქვს მოითხოვოს გარიგების ჩატარება ნებისმიერ დროს „ოპციონის“ პერიოდში წინასწარ დადგენილი კურსის მიხედვით. ამრიგად, გარიგების მონაწილე იხდის პრემიას ვალუტის კონვერსიისათვის ყველაზე ხელსაყრელი კურსის შერჩევის უფლებისათვის.

გარიგება „სვოპი“ ოქროთი — გარიგება, რომელიც ოქროზე საკუთრების შენარჩუნების პირობებში, უზრუნველყოფს საჭირო უცხოური ვალუტის შესყიდვას გარკვეული ვადით. მაგ.: 1) ევროგაერთიანების წევრმა ქვეყნებმა ეკიუს ოქროთი ნაწილობრივი უზრუნველყოფის მიზნით თავისი ოფიციალური ოქროს რეზერვების 20% შეიტანეს ვალუტის სტაბილიზაციის ევროპის ფონდში სამთვიანი განახლებადი „სვოპ“ გარიგების ფორმით, რითაც იმავე დროს შეინარჩუნეს საკუთრების უფლება ოქროზე; 2) 1982 წ. გარიგება „სვოპი“ ოქროთი განახორციელა ბრაზილიამ სავალუტო რეზერვების გასამტკიცებლად.

შენიშვნა: ორი ვადიანი გარიგება — „სვოპი“ ვალუტით და „სვოპი“ სარგებლის განაკვეთებით შეიძლება გაერთიანდეს და განხორციელდეს როგორც ოპერაცია „სვოპი“ სარგებლის განაკვეთებითა და ვალუტით ერთდროულად.

1. ლიბორი — LIBOR (London Inter Bank Offered Rate) - ლონდონის ბაზარზე სარგებლის განაკვეთები ბანკთაშორის დეპოზიტებზე.

ვალუტის კურსი „აუტრაითი“

ვალუტის კურსებს ვადიანი გარიგებების მიხედვით პრემიის ან დისკონტის კოტირების მეთოდით, ეწოდება კურსი „აუტრაითი“ (ინგლ. *outright* - სრული). ე.ი. კურს „აუტრაითში“ გათვალისწინებულია პრემია ან დისკონტი.

„ფორვარდული“ გარიგებების მიხედვით დისკონტის ან პრემიის განმსაზღვრებელ მომენტს წარმოადგენს მოკლევადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა; ხოლო პრემიის ან დისკონტის ოდენობა ტოლია ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობისა შესაბამის ვალუტებში „ფორვარდული“ გარიგების ვადით. პრემია ან დისკონტი გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{\text{პრემია} / \text{დისკონტი}}{100 \times 360} = \frac{\left(\begin{array}{l} \text{დეპოზიტების} \\ \text{საპროცენტო} \\ \text{განაკვეთი} \\ \text{„ბ“ ვალუტაში} \end{array} \times \text{კურსი „სპოტი“} - \begin{array}{l} \text{დეპოზიტების} \\ \text{საპროცენტო} \\ \text{განაკვეთი} \\ \text{„ა“ ვალუტაში} \end{array} \times \text{კურსი „ფორვარდი“} \right) \times \text{ფორვარდული გარიგების ვადა}}{100 \times 360}$$

$$\text{„კურსი „ფორვარდი“ დაახლოებით მნიშვნელობა} = \frac{\left(\begin{array}{l} \text{დეპოზიტების} \\ \text{საპროცენტო} \\ \text{განაკვეთი} \\ \text{„ბ“ ვალუტაში} \end{array} - \begin{array}{l} \text{დეპოზიტების} \\ \text{საპროცენტო} \\ \text{განაკვეთი} \\ \text{„ა“ ვალუტაში} \end{array} \right) \times \text{კურსი „სპოტი“} \times \text{ფორვარდული გარიგების ვადა}}{100 \times 360}$$

შენიშვნა: პირველი ფორმულის საშუალებით გამოითვლება პრემია „+“ ნიშნის, ხოლო დისკონტი — „-“ ნიშნის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ზშირად წარმოიშვება ისეთი სიტუაციები, როდესაც „ფორვარდული“ გარიგება იდება მიწოდების ვადით, რომელიც განსხვავდება სტანდარტული ვადებისაგან (1, 2, 3, 6, 12 თვე). მაშინ კურსი „აუტრაითი“ გამოიანგარიშება შემდეგი სქემით: უახლოესი სტანდარტული პერიოდების კურსებს შორის სხვაობა იყოფა მათ შორის დღეთა რიცხვზე და მიღებული შედეგი მრავლდება მიწოდების თარიღსა და მის მომდევნო უახლოეს სტანდარტულ პერიოდს შორის დღეთა რაოდენობაზე; მიღებული რიცხვი აკლდება მომდევნო სტანდარტული პერიოდის კურსს.

მაგალითად, დისკონტი / პრემიის გამოთვლა 3 მარტს 25 აპრილისთვის.

დისკონტი / პრემია 1 თვისათვის — 0.0101

დისკონტი / პრემია 2 თვისათვის — 0.0203

მიწოდების თარიღი „სპოტის“ მიხედვით 3 მარტს = 7 მარტი

მიწოდების თარიღი 1 თვის (32 დღის) ვადით = 7 აპრილი

მოწოდების თარიღი 2 თვის ვადით = 9 მაისი

25 აპრილი — 9 მაისი = 14 დღე

0.0203

— 0.0101

0.0102 : 32 = 0.00032 - ერთ დღეში

14 × 0.00032 = 0.0045 - 14 დღეში

0.0203

— 0.0045

0.0158 = გამოთვლილი დისკონტი / პრემია 3 მარტიდან 25

აპრილამდე ვადის, ე.ი. 14 დღის განმავლობაში.

(გაგრძელება)

ზოგიერთ ვალუტაზე, მაგალითად, შეეცარულ ფრანკზე თვის ბოლო დღეს ბანკები ადგენენ უფრო მაღალ პროცენტს, ვიდრე თვის ჩვეულებრივ დღეებში, რაც ართულებს დისკონტი / პრემიის გამოთვლას ვალუტის არასტანდარტული ეადით მიწოდების გარიგებებზე. აუცილებელია გამოითვალოს დისკონტი / პრემია 24 მარტიდან (მიწოდების თარიღია 28 მარტი) 29 აპრილისათვის:

დისკონტი ერთი თვისათვის (31 დღე) — 0.0097
პრემია თვის ბოლო დღისათვის (1 დღე) — (+ 0.0015)
დისკონტი 30 ჩვეულებრივი დღისათვის — 0.0112

ერთი ჩვეულებრივი დღისათვის დისკონტი შეადგენს $-\frac{0.0112}{30} = 0.00037$

დისკონტი 28 მარტიდან 29 აპრილამდე პერიოდისათვის შეადგენს:

- 0.0097 (28 მარტი - 28 აპრილი)
+ (-0.00037) (28 აპრილი - 29 აპრილი)

- 0.01007

ვალუტის კურსების პროგნოზის მეთოდები

ფუნდამენტური მეთოდი

ფუნდამენტური მეთოდი ემყარება სავალუტო ბაზარზე კურსების ფორმირების შემდეგ ძირითად ფაქტორებს:

1. საპროცენტო განაკვეთები სადეპოზიტო-სასესხო ოპერაციებზე;
2. ინფლაციის ტემპები;
3. საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობა მიმდინარე ოპერაციების მიხედვით;
4. ფასების სახეობები, რომელსაც იყენებენ ინფლაციის გამოსათვლელად (საბითუმო ან საცალო, საექსპორტო ან საიმპორტო);
5. საპროცენტო განაკვეთების სახეობები (ნომინალური ან რეალური, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი);
6. საგადასახდლო ბალანსის სახეობები: სავაჭრო, საბაზისო, მიმდინარე ოპერაციების. აღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით დგება ეკონომიკური მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს ვალუტის კურსების პროგნოზს, ანუ ამ ფაქტორთა ზეგავლენის ხარისხის დადგენას ვალუტის კურსზე (ე.ი. კორელაციის კოეფიციენტზე).

ტექნიკური მეთოდი

ტექნიკური, ანუ „ჩარტების“ მეთოდი (ინგლ. სიტყვიდან *chart* — გრაფიკი) ემყარება ვალუტის კურსების დინამიკის გრაფიკულ ანალიზს. კურსების მოძრაობაში მსგავსი მომენტების გამოვლენის საფუძველზე ახდენენ ვალუტის კურსის პროგნოზს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზის დასკვნით ეტაპზე, გარდა კურსების დინამიკის გრაფიკული ანალიზისა, ზორციელდება არსებით ფაქტორთა (ფინანსურ, საერთო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ) საექსპერტო შეფასება, რის საფუძველზეც გამოაქვთ საბოლოო დასკვნები. „ჩარტების“ მეთოდი ყველაზე ეფექტურია ვალუტის კურსების დინამიკის მოკლევადიანი პროგნოზისათვის.

პროგნოზის სხვა მეთოდები და ზერხები

1. მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ფორვარდული“ კურსები, რომლებიც წარმოადგენენ სავალუტო ბაზარზე შესაძლო ცვლილებების შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტს.
2. ეკონომიკური მოდელები, დამყარებული მოცემულ მომენტში დომინირებულ კურსსწარმოქმნელ ფაქტორებზე, ყველაზე წარმატებით გამოიყენება საშუალოვადიანი პროგნოზისათვის.
3. მყიდველობითი უნარის პარიტეტის პრინციპი, როგორც ვალუტის კურსის საფუძველი, წარმოადგენს გრძელვადიანი პროგნოზის ძირითად მეთოდს.

შენიშვნა: ვალუტის კურსების პროგნოზი საკმაოდ გართულდა „მცურავი“ კურსების სისტემის გავრცელებასთან დაკავშირებით. მათი პროგნოზი მიახლოებითი სიზუსტით შესაძლებელია ხანმოკლე პერიოდისათვის (ერთი დღიდან რამდენიმე დღემდე ან კვირამდე). სხვა შემთხვევებში საკმაოდ წარმატებულად ითვლება კურსების ცვლილების მიმართულების — შემცირების ან გაზრდის პროგნოზი 6 თვის ვადით (180 დღე).

სავალუტო რისკის დაზღვევა, ანუ „ჰეჯირება“

(ინგლ. hedge - დაცვა) — ფინანსური ოპერაციები, რომელიც საშუალებას იძლევა მთლიანად ან ნაწილობრივ იქნეს თავიდან აცილებული ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი, ან მიღებულ იქნეს მოგება კურსებს შორის სხვაობის სახით.

სავალუტო რისკის დაზღვევის („ჰეჯირების“) მეთოდები

სტრუქტურული დაბალანსება

იგი წარმოადგენს აქტივებისა და პასივების ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალის დაფარვას მოგებით. მიღებულს ასეთივე ცვლილებით, მაგრამ ბალანსის სხვა პოზიციების მიხედვით. სხვაგვარად, მსგავსი ტაქტიკა მიზნად ისახავს ჰეჯირებას „დაზღვეული“ პოზიციების მაქსიმალური რაოდენობა. მაგრამ, ვინაიდან ყველა პოზიციის „დაზღვევა“ ყოველთვის არაა შესაძლებელი, ამიტომ ბანკები მუდამ მზად უნდა იყვნენ სტრუქტურული დაბალანსებისათვის. დაბალანსების ყველაზე მარტივ და გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს სავალუტო ნაკადების შესაბამისობაში მოყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი კონტრაქტის დადებისას ბანკმა თავისი არჩევანი უნდა შეაჩეროს იმ ვალუტაზე, რომელიც საშუალებას მისცემს სრულად ან ნაწილობრივ „დაზღვეოს“ არსებული ღია სავალუტო პოზიციები.

ფორვარდული გარიგებები

თანამდროვე პირობებში ფორვარდული გარიგებები ყველაზე ფართოდ გამოიყენება როგორც „ჰეჯირების“ მეთოდი. ასეთი გარიგებები გამოიყენება სავალუტო რისკის თავიდან ასაცილებლად უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დროს, რომელიც მიმართის ბანკს მთლიანად გარკვეულ ვადაში (იგი, როგორც წესი, უნდა აღემატებოდეს ორ დღეს). „ფორვარდული“ გარიგებების ყველაზე გავრცელებული ვადებია 1, 2, 3, 6 თვე, შეიძლება რამდენიმე წელიც. ასეთი გარიგების არსი (დაზღვევის შესაძლებლობიდან გამომდინარე) მდგომარეობს იმაში, რომ იმპორტიორს, რომელიც შიშობს გადასახდელის ვალუტის კურსის გაზრდას, უფლება აქვს წინასწარ მიმართოს ბანკს და იყიდოს მისგან ეს ვალუტა მიწოდების ვადით გადასახდელის თანხასთან მიახლოებული კურსით. და, პირიქით, თუ იგი ვარაუდობს ვალუტის კურსის აბრეცვლას, მაშინ იგი წაეა დაამატებით დანახარჯებზე, რომელიც არსებითად წარმოადგენს საზღაურს ასეთ დაზღვევაზე.


ფორვარდული ოპერაციების საშუალებით სავალუტო რისკის დაზღვევა შეიძლება ჭანახორციელოს ექსპორტიორმაც, ოღონდ იგი ასრულებს საპირისპირო გარიგებებს: გადასახდელის ვალუტის კურსის მოსალოდნელი დაცემის შემთხვევაში იგი ყიდის მის კუთვნილ თანხას ეროვნულ ან სხვა უცხოურ ვალუტაზე გარკვეული ვადით, რითაც იგი ნულამდე ამცირებს თავის რისკს, გადააკისრებს რა ბანკს მას.

გადახდის ვადის ცვლილება — „leads and lags“ (ინგლ. გასწრება და ჩამორჩენა)

იგი წარმოადგენს ანგარიშსწორებათა ვადების მანიპულირებას ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების, დაბეგვრის მოსალოდნელი მკვეთრი ცვლილების, აგრეთვე სავალუტო შეზღუდვების დაწესების ან გაძლიერების, მოვალის მყიდველობითუნარიანობის გაუარესების შემთხვევებში. ამ ტაქტიკის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: 1) საქონლისა და მომსახურების ფასის გადაზე ადრე დაფარვა (თუ მოსალოდნელია ვალუტის კურსის გაზრდა, ე.ი. აბრეცვლა) ან პირიქით, გადასახდელის გადახდის დაყოვნება (თუ მოსალოდნელია ვალუტის კურსის დაცემა, ე.ი. დეპრეცია); 2) მოგების რეპატრიაციის დაჩქარება ან შენელება, კრედიტორების ძირითადი თანხის დაფარვა და სარგებლისა და დივიდენდების გადახდა; 3) უცხოური ვალუტის მიმღების მიერ ამონაგების (ეროვნული ვალუტის) კონვერსიის ვადების რეგულირება და სხვა.

გარიგება „ფიუნერსი“

იგი წარმოადგენს ვალუტის ყიდვა-გაყიდვას გარიგების მომენტში დაფიქსირებული კურსით გარიგებიდან გარკვეული დროის შემდეგ (2-3 წლამდე). „ჰეჯირება“ ფიუნერსული გარიგების მეთოდით განსაკუთრებით პოპულარულია თანამდროვე საბანკო პრაქტიკაში.



„სვოპ“ ტიპის ოპერაციები

ასეთი ოპერაციები გულისხმობს უცხოური ვალუტის ყიდვას „სპოტ“ პირობით და იმავდროულად საპირისპირო ოპერაციის განხორციელებას „ფორვარდ“ პირობით. ამ გარიგების შედეგად ბანკები იძენენ ვალუტას, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის და ამავე დროს ახორციელებენ თავიანთი სავალუტო რეზერვების დივერსიას, ინარჩუნებენ რა „დახურულ“ სავალუტო პოზიციებს.

შესაძლებელია აგრეთვე სხვა კომბინაციებიც, სახელობრ, გარიგება „ორმაგი ფორვარდი“ (ანუ „ფორვარდ-ფორვარდი“). ასეთ შემთხვევაში კლიენტი, რომელმაც წინასწარ დაღო ბანკთან „ფორვარდ“ გარიგება, მაგრამ ვალუტის მიწოდების ვადის დაღვამამდე მიხვდა, რომ მის მიერ ნაგარაუდევ ვადაში ცვლილებები სავალუტო ბაზარზე არ მოხდება, დებს დამატებით გარიგებას ახალი პირობით, მაგრამ ამავე დროს აგრძელებს ადრე არსებული გარიგების ვადას (ე.ი. ახდენს მის პროლონგაციას).

გარიგება „ოპციონი“

„ოპციონი“ წარმოადგენს გარიგების სახეს, რომლის მიხედვითაც მყიდველს უფლება აქვს გარკვეული ვადის განმავლობაში ან იყიდოს უცხოური ვალუტის შეთანხმებული თანხა ფიქსირებული კურსით (call ტიპის „ოპციონი“), ან გაყიდოს იგი (put ტიპის „ოპციონი“). „ოპციონის“ მფლობელი იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა მისი უფლებები ვალუტის კურსების დინამიკის შესაბამისად. ყველა შემთხვევაში „ოპციონის“ მფლობელის რისკი წინასწარ შეზღუდულია „ოპციონის“ ფასით, ხოლო მოგება თეორიულად შეუზღუდავია და პრაქტიკულად საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს. „პეჯირება“ „ოპციონ“ გარიგების მეთოდით განსხვავდება „ფორვარდ“ ოპერაციებისაგან იმით, რომ ბანკი ინარჩუნებს არჩევის უფლებას, რაც ამაღლებს ოპერაციის ეფექტიანობას.

„ოპციონით“ ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ კომერციული ბანკების მიერ, თუმცა, როგორც წესი, ამას სავალუტო ბირჟის დილერები აკეთებენ.

პარალელური სესხები

პარალელური სესხები წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე საწარმოების ან ბანკების მიერ ურთიერთდაკრედიტების პროცესს ეროვნული ვალუტებით. ორივე სესხი გაიცემა ერთი და იგივე ვადით. თავისი არსით ასეთი სესხები განიხილება როგორც „სვოპ“ გარიგება, რომლის დროსაც ვალუტას ყიდულობენ „სპოტ“ პირობით და იმავდროულად ყიდიან მას „ფორვარდ“ პირობით. მაგრამ თვით „პეჯირების“ პერიოდი შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს, ვიდრე ეს ხორციელდება ფორვარდული გარიგებების დროს მოცემულ ქვეყანაში არსებული საკრედიტო კონონმდებლობის შესაბამისად.

**საგადასახდლო მოთხოვნების
დისკონტირება უცხოურ ვალუტაში**

იგი თამასუქის დისკონტირების სახესხვაობას წარმოადგენს. გარიგება ითვალისწინებს ბანკისათვის უცხოური ვალუტით დავალიანების მოთხოვნის უფლების გადაცემას (დათმობას) ბანკის მიერ შესაბამისი თანხის ეროვნული ან სხვა უცხოური ვალუტით დაუფონდელი გადახდის სანაცვლოდ. ასეთი ტიპის გარიგებას ეწოდება „ა-ფორფე“ (ფრანგ. *a forfait* - მთლიანად, მთლიანი თანხით) ანუ „ფორფეტირება“, რამდენადაც, ფაქტორინგისაგან განსხვავებით, ბანკი ამ შემთხვევაში იძენს თამასუქს მთლიანი თანხითა და სრული ვადით, იღებს რა ამით თავის თავზე ყველა კომერციულ რისკს ამ თამასუქების ძველ მფლობელებზე დაბრუნების — რეგრესის უფლების გარეშე.


თამასუქის ჩვეულებრივი ტრადიციული აღრიცხვისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ „ფორფეტირება“, ჩვეულებრივ, გამოიყენება ძვირადღირებული მოწყობილობის მიწოდების დროს გადასახდელის ხანგრძლივი განუადების პირობით (ნახევარი წლიდან 5-7 წლამდე) და საჭიროებს ბანკის გარანტიას, ანუ ავალს.

გარდა „ა-ფორფე“ გარიგებისა საგადასახდლო მოთხოვნების დისკონტირება ხორციელდება სხვა ხერხებითაც, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (მაგ., რეგრესის უფლებით ან სპეციალურად შემცირებული სავალუტო კურსით). ამ შემთხვევაში „პეჯირება“ მდგომარეობს იმაში, რომ უქსპორტიორს შეუძლია სავალო თანხა მიიღოს შეთანხმებული კურსით, მიუხედავად მისი შემცირებისა გადახდის მომენტისათვის. მისთვის ზარალი შეზღუდული იქნება ფასდაკლების თანხით, რასაც იგი უხდის ფორფერენტს (ბანკს).

„სავალუტო კალათა“

„სავალუტო კალათა“ — ერთი ვალუტის საშუალო შეწონილი კურსის დადგენის მეთოდი სხვა ვალუტების განსაზღვრულ ნაკრებთან შეფარდებით. ვალუტების რაოდენობა ნაკრებში, მათი შემადგენლობა და სავალუტო კომპონენტების (თითოეული ვალუტის ერთეულის რაოდენობა ნაკრებში) სიდიდე ღვინდება საშუალო შეწონილი კურსის მიხედვით. ასეთ „კალათაში“, თუ მისი მიზანია „პეჯირება“, შეირჩევა ისეთი ვალუტები, რომელთა კურსები ჩვეულებრივ „ცურავენ“ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით, რითაც აწონასწორებენ თავისი „ცურვის“ შედეგებს და მთელი „კალათის“ ერთობლივ ღირებულებას უფრო სტაბილურს ხდიან. ამის მაგალითია ტრადიციული ვალუტა-შეტოქეები: დოლარი, გირვანქა სტერლინგი, ერო და იენი.

„სავალუტო კალათა“, როგორც ვალუტის საშუალო შეწონილი კურსის დადგენის მეთოდი სხვა ვალუტების გარკვეულ ნაკრებთან მიმართებაში, ამცირებს გადასახდელი თანხის მკვეთრი ცვლილების ალბათობას. ამასთან, სავალუტო რისკის თვალსაზრისით ორივე კონტრაგენტი თანაბარ პირობებში იმყოფება. წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონტრაქტში ფიქსირდება „სავალუტო კალათის“ ღირებულება „ფასის ვალუტაში“ და გაითვალისწინება ფაქტიური გადასახდელის თანხის ცვლილება ამ თანაფარდობის ცვლილების პროპორციულად გადახდის დღისათვის.



შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდები: სტრუქტურული დაბალანსება, გადახდის ვადის ცვლილება, მოთხოვნათა დისკონტირება უცხოურ ვალუტაში და აგრეთვე გარიგებები: „ფორვარდი“, „სვოპი“, „ოპციონი“ და „ფიუჩერსი“ გამოიყენება მოკლევადიანი „ჰეჯირებისას“; ხოლო მეთოდები: დაკრედიტება და ინვესტიციები უცხოური ვალუტით, სავალუტო დავალიანების რესტრუქტურულიზაცია, პარალელური სესხები, ლიზინგი, ფილიალების მიერ გადასახდელების „ზრდადი“ ვალუტით გადახდა და თვითდაზღვევა — გრძელვადიანი „ჰეჯირებისას“. მეთოდები — სტრუქტურული დაბალანსება და „სავალუტო კალათა“ წარმატებით გამოიყენება ნებისმიერ შემთხვევაში. პარალელური სესხებისა და ფილიალების მიერ გადასახდელების „ზრდადი“ ვალუტით გადახდის მეთოდების გამოყენება შეუძლიათ ისეთ ბანკებსა და კომპანიებს, რომელთაც უცხოეთის ქვეყნებში აქვთ ფილიალები.

სავალუტო „ჰეჯირების“ განხორციელების ძირითადი ეტაპები

მოცემულ სიტუაციაში სავალუტო რისკის შესაძლო ტიპების წარმოშობის განსაზღვრა.

შესაძლო ზარალის თანხის შეფასება (ვალუტის კურსების დინამიკის პროგნოზის საფუძველზე) „ჰეჯირებაზე“ დანახარჯების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნით.

სავალუტო რისკიდან გადახრის შესაძლებლობის განსაზღვრა „leads and legs“ უმარტივესი ზერხით ან იგივე ვალუტით რომელიმე საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე შემხვედრი კონტრაქტის (კონტრკონტრაქტის) დადების გზით.

„ჰეჯირების“ რთული ფორმის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლო რისკის 100%-ით ან მისი გარკვეული ნაწილის დაზღვევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა.

„ჰეჯირების“ რომელიმე კონკრეტული ფორმის შერჩევა და ვადის განსაზღვრა ან სავალუტო ბაზარზე გარკვეული მოვლენების წინასწარ განჭვრეტა, რომელთა დადგომის მომენტიდან „ჰეჯირების“ ოპერაცია უნდა განხორციელდეს.

XVII თავი

კომერციული ბანკის სატრასტო, ფაქტორინგული და სხვა ოპერაციები

სასაქონლო-საკომისიო ოპერაციები

ამ ოპერაციების განხორციელებისას ბანკი ყიდულობს და ყიდის საქონელს, ქონებას, სამეცნიერო-ტექნიკურ პროდუქციას საკომისიო საფუძველზე. კომერციული ბანკები (კომისიონერები) კლიენტებისაგან (კომიტენტებისაგან) იღებენ საკომისიო გასამრჯელოს. საკომისიო დავალება ბანკ-კომისიონერს უფლებას აძლევს თავისი სახელით და კლიენტის ინტერესებითა და ხარჯით დადოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი.

სასაქონლო-საკომისიო ოპერაციების ძირითადი ფორმები:

1. მარტივი საკომისიო გარიგებანი საქონლის ცალკეული სახეობის შეძენა-რეალიზაციაზე;
2. მსხვილი საკომისიო ხელშეკრულებანი, რომელთა საფუძველზეც ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას განახორციელოს საწარმოს (საწარმოთა ჯგუფის) პროდუქციის მთლიანი რეალიზაცია ან მისი გარანტირებული მომარაგება. საკომისიო გასამრჯელო კლიენტის დავალების საერთო თანხის 1-2%-ს შეადგენს. საკომისიო ხელშეკრულების თანახმად კლიენტი ფარავს საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ბანკის დამატებით ხარჯებს: ტრანსპორტირების, დაზღვევის, კავშირგაბმულობის მომსახურების, სასაწყობო, სარეკლამო და ა.შ.

სასაქონლო-საკომისიო ოპერაციების თანმხლები ოპერაციები:

1. საკრედიტო: ა) საწარმოს დავალებით ბანკის მიერ ფასეულობათა შესყიდვა, შემდგომში კრედიტის ხარჯზე საწარმოს მიერ მისი გამოსყიდვის პირობით; ბ) ბანკის მიერ საწარმოს დავალებით პროდუქციის რეალიზაცია საწარმოსათვის სესხის გაცემით, რომელიც ანაზღაურებს მის ანგარიშებზე სახსრების განზიდვას; გ) საქონლის რეალიზაცია საწარმოს დავალებით მყიდველისათვის კრედიტის გაცემით, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის შესაძენად და ა.შ.
2. ფაქტორინგული ოპერაციები. ასეთ შემთხვევაში ბანკი, რომელიც პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს საკომისიო საწყისზე, მიმწოდებელს უნაზღაურებს მის ღირებულებას საქონლის გადატვირთვისთანავე. მყიდველს ამ დროს შეიძლება მიეცეს საბანკო კრედიტი. აღნიშნულ შემთხვევაში საკომისიო გასამრჯელო შედარებით მაღალია, გაითვალისწინება გადაუხდელობის ან ოპერაციაში ბანკის საკუთარი სახსრების გამოყენების აუცილებლობის რისკი.

ძვირფას ლითონებთან დაკავშირებული ოპერაციები

აღნიშნულ ოპერაციებს მიეკუთვნება: ა) ძვირფასი ლითონების შესყიდვა; ბ) მათი გაყიდვა; გ) ფასეულობათა ინკასოზე მიღება; დ) მათი დაცვა-შენახვა და ტრანსპორტირება; ე) ძვირფას ლითონებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება; ვ) ფასეულობებზე შეკვეთების წინასწარი ფორმირება და ა.შ.

ნუმისმატური ოპერაციები

აღნიშნული ოპერაციები ძვირფას ლითონებთან დაკავშირებული ოპერაციების ანალოგიურია.

კომერციული ბანკის სასაწყობო ოპერაციები

კლიენტთა დავალებით კომერციული ბანკის სეიფებში ძვირფასეულობის, ძვირფასი ნივთების, ფასიანი ქაღალდების, მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის, მატერიალური აქტივებისა და სხვ. შენახვა.


ფასეულობათა დაცვისა და ტრანსპორტირების ოპერაციები

ამ ოპერაციებს მიეკუთვნება: 1. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობათა მიტანა ბანკიდან საწარმოებში; 2. ნაღდი ფულის ინკასაციის დროს ფასეულობათა დაცვა და სატრანსპორტო მომსახურება; 3. საწარმოს მოღარეთა თანხლება და დაცვა ნაღდი ფულის გადატანის დროს; 4. განსაკუთრებით ძვირფასი ტვირთების გადაზიდვა და სხვა ოპერაციები.

მესამე პირის მაგიერად თავდებების, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებათა გაცემა, რომელთა შესრულებაც გათვალისწინებულია ფულად ფორმაში

თავდებობის (საგარანტიო) ხელშეკრულების საფუძველზე თავდები (გარანტი) იღებს პასუხისმგებლობას სხვა პირის (მოვალის) კრედიტორის წინაშე ამ მესამე პირის მიერ ვალდებულებათა სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე. საგარანტიო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ბანკი პასუხისმგებელია ძირითადად იურიდიულ პირთა ვალდებულებების, ხოლო თავდებობის შემთხვევაში — ფიზიკურ პირთა ვალდებულებების შესრულებაზე. ბანკ-თავდებზე (გარანტზე), რომელიც ასრულებს ვალდებულებებს, გადაღის კრედიტორის ყველა უფლება.

კომერციული ბანკის სატრასტო, ფაქტორინგული და სხვა ოპერაციები.
სქემის გაგრძელება



ბანკებისა და სხვა იურიდიულ პირთა ერთობლივი საქმიანობა (მათ შორის სადამფუძნებლო ოპერაციები)

I. მსხვილ ორგანიზაციულ სტრუქტურებში ბანკის მონაწილეობის ძირითადი ვარიანტები:

1. საკრედიტო-საანგარიშსწორებო ცენტრი;
2. პოლიდინგური სტრუქტურის ცენტრი, რომელიც ფლობს მასში შემავალი საწარმოების საკონტროლო პაკეტებს (თავის მხრივ, ბანკი კონტროლდება გავრთიანების აპარატის მიერ);
3. ბანკი თავის თავზე იღებს გავრთიანების მმართველობითი აპარატის რიგი ფუნქციების შესრულებას;
4. ბანკი წარმოადგენს საწარმოთა ასოციაციის (გავრთიანების უმსხვილესი კონტრაქტების) ცენტრს.

II. კომერციული ბანკების ხელშეკრულება ერთობლივ საქმიანობაზე — ითვალისწინებს კონკრეტული პროექტების (კინოფილმების წარმოება და ეკრანებზე გაშვება, ხელნაწერთა უფლების შეძენა და მათი ხელშეკრულებით გამოცემა, საინოვაციო ოპერაციების განხორციელება და ა.შ.) რეალიზაციას და მონაწილეთა შორის მოგების განაწილებას. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში ბანკი თავის თავზე იღებს დამფინანსებლის ფუნქციას, აგრეთვე ახორციელებს საორგანიზაციო-საშუაშეკრულებო და საკონსულტაციო მომსახურებას. ამ სფეროში ბანკის საქმიანობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საინფორმაციო ფონდების შექმნა, რომელიც ახორციელებს ყველაზე საინტერესო წინადადებების აკუმულაციასა და მის დაფინანსებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, საჭიროებს ექსპერტთა საბჭოების შექმნას, პროექტთა საკონკურსო შერჩევის პროცედურის განხორციელებას და ა.შ.

ოპერაციათა ჯგუფი, რომელიც მიეკუთვნება „სხვა“ ოპერაციების კატეგორიას

საინფორმაციო-საცნობარო მომსახურება

იგი მოიცავს: 1. საანგარიშსწორებო და სხვა დოკუმენტების ასლების გაცემას; 2. თანხების მოძიების საშუალების ხელშეწყობას, ბანკის არქივებიდან ცნობების გაცემას; 3. კლიენტურისათვის არაკონფიდენციალური ინფორმაციის გაცემას; 4. საინფორმაციო-საშუაშეკრულებო მომსახურებას სხვადასხვა გარიგებათა მონაწილეების, კადრების შერჩევის შესახებ, აგრეთვე მოწყობილობათა მონაცემების ბანკის შექმნას სალიზინგო ოპერაციების განსახორციელებლად და ა.შ.

საინფორმაციო-ანალიტიკური მომსახურება

1. სამეურნეო საქმიანობისა და მისი ცალკეული რგოლის ანალიზი; 2. პროექტებისა და გადაწყვეტილებების სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ექსპერტიზა; 3. შიდა რეგიონების ჩატარების ხელშეწყობა; 4. საანგარიშო მონაცემების საკონტროლო გაანგარიშება და მათი უტყუარობის შემოწმება; 5. კონტრაქტების ეკონომიკური ანალიზი, ფასების დადგენისა და სხვა პირობების შესრულების შემოწმება; 6. პატენტების ეკონომიკური ანალიზი.

საკონსულტაციო-სამართლებრივი მომსახურება

1. სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; 2. საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობათა ორგანიზაციის საკითხებზე; 3. საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საკითხებზე.

შენიშვნა: ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურებაზე შეიძლება მოიცავდეს კლიენტის საქმიანობის მთელ კომპლექსს ან მსხვილი გარიგების სრულ ციკლს (მაგ., საერთაშორისო ეკონომიკურ გარიგებას).

კლიენტთა მომსახურება

დაკავშირებულია ნაღდი ფულის ტექნიკური დამუშავების ცალკეულ ოპერაციებთან (ნაღდი ფულის ხელშეკრულებით, ხელფასის გასაცემად ფულის წინასწარ მომზადება, გადასახურდაეხები მონეტების მომზადება, ნაღდფულადი ოპერაციების მომსახურე ტექნიკური მოწყობილობის იჯარით გაცემა, დაზიანებული ფულის ნიშნების გამოცემა და ა.შ.).

ბანკის საქველმოქმედო საქმიანობა და კულტურული, სამეცნიერო, სპორტული და ა.შ. პროგრამების სპონსორობა

ცნობილია აგრეთვე ბანკის მიერ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა; გარდა ამისა, სარეკლამო საქმიანობა, რაც მას საკმაო მოგებას აძლევს, განსაკუთრებით ინფლაციის პირობებში.

კლიენტების საკასო მომსახურება

კლიენტთა საკასო მომსახურება მოიცავს განსხვავებული ეკონომიკური შინაარსის ოპერაციებს: 1. კლიენტის ანგარიშიდან თანხების ჩამოწერას და მისთვის შესაბამისი თანხის ნაღდი ფულის გაცემას; 2. კლიენტისაგან მიღებული ნაღდი ფულადი ნიშნების ანგარიშზე ჩარიცხვას და შენახვას. ამრიგად, კლიენტის ანგარიშების წარმოება, ანუ მისი საკასო მომსახურება გულისხმობს ბანკის მონაწილეობას როგორც უნაღდო, ასევე ნაღდფულად ანგარიშსწორებებში.

ვინაიდან მიმოქცევაში ნაღდი ფულის ემისიისა და მიმოქცევიდან მისი ამოღების განსაკუთრებული მონოპოლიური უფლება აქვს მხოლოდ ქვეყნის ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკს, ამიტომ კომერციული ბანკების საკასო ოპერაციები ხორციელდება მის მიერ დადგენილი დებულებების შესაბამისად. ცენტრალური ბანკი ახორციელებს კომერციულ ბანკებში საკასო მომსახურების ორგანიზაციას. იგი წარმოებს ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრების ან საკასო ფილიალების საშუალებით სახელშეკრულებო საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ოპერაციებს კომერციული ბანკები ახორციელებენ უსაფასუროდ. ხელშეკრულება საკასო მომსახურებაზე ითვალისწინებს კომერციული ბანკის მიერ ფულადი ნიშნების დამუშავებისა და შეფთვის ერთიან წესებს, აგრეთვე ფულის მიღების, გაცემის წესებსა და გადაზიდვის ფორმებს. კომერციული ბანკი ფულის გადაზიდვას ახორციელებს როგორც საკუთარი ძალებით, ასევე ცენტრალური ბანკის ინკასატორების საშუალებით. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობაა მხარეთა პასუხისმგებლობა ფულის სიჭარბესა და ნაკლებობაზე. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია აგრეთვე კომერციული ბანკის საოპერაციო სალაროში ფულადი ნიშნების ზღვრული თანხა. იგი განისაზღვრება ნაღდფულადი ბრუნვის მოცულობის შესაბამისად და ბანკის სამუშაო პირობების გათვალისწინებით. როგორც წესი, იგი დგინდება საკასო რესურსებზე თვითონ მოთხოვნილებით. ფულადი ნიშნები, რომელიც ჭარბობს დადგენილ ზღვრულ ოდენობას, უნდა ჩაბარდეს საანგარიშსწორებო ცენტრის საბრუნავ სალაროს. გარდა ამისა, ზედმეტი ფულადი ნიშნები შეიძლება გადაეცეს კომერციულ ბანკს, რომელიც საჭიროებს საოპერაციო სალაროს შევსებას. დასაშვებია სალაროს ზღვრული ნაშთების გადაჭარბება ხელფასის გაცემის წინ და სხვა საგასავლო ოპერაციების შესრულებისას საჭირო თანხებში. კომერციულ ბანკს საანგარიშსწორებო ცენტრში ეხსნება საკორესპონდენტო ანგარიში. ფულის მიღების დროს ბანკის მიერ გაფორმებული საგადასახდელი დავალების საფუძველზე (ინკასატორების მიერ ფულის მიტანის დროს) ან ფულადი ჩეკის მიხედვით (ბანკის წარმომადგენლის მიერ ფულის მიტანის დროს) მათი თანხები ჩამოიწერება საკორესპონდენტო ანგარიშიდან, ხოლო ფულის ჭარბი ნიშნების ჩაბარებისას — ჩაირიცხება ამ ანგარიშზე. საანგარიშსწორებო ცენტრის მიერ ბანკების საკასო მომსახურების ორგანიზაცია ემყარება წინასწარი დაკვეთების პრინციპს — კომერციული ბანკი მომდევნო კვარტალის დაწყებამდე 45 დღით ადრე ცენტრალური ბანკის შესაბამის სამმართველოში წარადგენს ნაღდი ფულის მოსალოდნელი შემოსულობებისა და გაცემის, აგრეთვე საოპერაციო სალაროს შესავსებად ნაღდი ფულის დამატებით გაცემისა და ჭარბი რაოდენობის საანგარიშსწორებო ცენტრში გადაიტაცების პროგნოზს მომავალი კვარტალისათვის. ეს მონაცემები გამოიყენება საანგარიშსწორებო ცენტრის საქმიანობის დაგეგმვისათვის, აგრეთვე ნაღდი ფულის ემისიის საერთო მოთხოვნის განსაზღვრისა და ინკასატორთა სამუშაო გრაფიკის შესადგენად. პროგნოზი ემყარება ფულის მიმოქცევის მარკეტინგულ გამოკვლევას. საოპერაციო სალაროს შესავსებად განაცხადი წარადგენად უნდა იქნეს, როგორც წესი, 5 დღით ადრე ასეთი მოთხოვნის წარმომბამდე.

ნაღდფულადი ბრუნვის მოცულობისა და აგრეთვე ინკასაციის ხერხების მიხედვით ბანკში შეიძლება შეიქმნას როგორც ერთიანი სალარო, რომელიც განახორციელებს ფულის მიღების, დათვლისა და გაცემის მთელ კომპლექსს, ასევე შემოსავლისა და გასავლის სპეციალიზებული სალაროები. შემოსავლის სალარო ახორციელებს ფულის მიღებას კლიენტის წარმომადგენლისაგან და მთი ხელახალ დათვლას. იმადროულად ბანკის ბუღალტერია ატარებს ოპერაციას ფულის მიღების გაფორმებაზე, რის საფუძველზეც ჩაბარებული ნაღდი ფულის თანხა ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშზე. ასეთი სალაროები მუშაობენ მთელი საოპერაციო დღის განმავლობაში. სალაროს, რომელიც ახორციელებს ფულის მიღებას საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ, ეწოდება საღამოს სალარო. იგი აფართოებს საკასო მომსახურების შესაძლებლობას, ამასთან საჭიროებს დამატებით ხარჯებსაც; ფულის განსაკუთრებულ საცაებს (ძირითადი საცაები იკვებება საოპერაციო დღის ბოლოს), მოწყობილობას, მუშაკთა დამატებით შტატს (მოლარეს, ხოლო საკონტროლო-საკასო აპარატის არ არსებობის შემთხვევაში — ბუღალტერ-კონტროლიორს). ფულის გადათვლას ახორციელებს გადათვლის სალაროს მთვლელ მოლარეთა ბრიგადა. მისი თითოეული კონტროლიორი ითვლის ფულის თითო ჩანთას, რომლის გახსნას ესწრება კონტროლიორი. იგი ითვობს როგორც ჩანთას, ასევე მის შიდა ჯიბეში არსებულ კლიენტის მიერ გაფორმებულ უწყისს. კლიენტის ანგარიშზე ჩაირიცხება ჩანთაში ფაქტობრივად არსებული ფულადი თანხა.

ფულადი ნიშნების დაცულობის უზრუნველყოფის პირობას წარმოადგენს სისტემატური (არა ნაკლებ კვარტალში ერთხელ) რევიზიები, რომლის დროსაც ხდება არსებული ნაღდი ფულის ნიშნების სრული გადათვლა. კომერციული ბანკი, რომელსაც არა აქვს სალარო კლიენტთა საკასო მომსახურებისათვის, დებს ხელშეკრულებას საანგარიშსწორებო ცენტრთან ან ისეთ ბანკთან, რომელსაც აქვს სალარო. ნაღდი ფული კლიენტს მიეცემა ბანკის უსალარო დაწესებულების მიერ აქცეპტებული ჩეკის საფუძველზე. ჩეკის გაფორმება და ბანკის კურიერის მიერ მისი მიტანა ხდება ფულის გაცემის წინა დღეს.

კლიენტების საკასო მომსახურება (გაგრძელება)

ელექტრონული საბანკო მომსახურების თანამედროვე სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სალარო-ავტომატების გამოყენება, რომლებიც დამონტაჟებულია როგორც ბანკის შენობაში, ასევე საცხოვრებელ რაიონებში, საუკურო ცენტრებში, საწარმოებში. ისინი 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფენ ოპერაციების განხორციელებას: ნაღდი ფულის მიღებას (გაფორმებულს როგორც ანაბრის მიღება), ნაღდი ფულის გაცემას, ანგარიშიდან თანხის ჩამოწერას, ერთი ანგარიშიდან მეორეზე ფულის გადარიცხვას. სალარო-ავტომატი წარმოადგენს რთულ ელექტრონულ-შექანიკურ მანქანას, რომლის ძირითადი ელემენტებია: ინფორმაციის შეტანის, დამუშავებისა და გამოტანის სისტემა, პლასტმასის ბარათი, ანგარიშის მფლობელის იდენტიფიკაციის სისტემა, ნაღდი ფულის მიმღები და გამცემი მოწყობილობები. ასეთი ავტომატები მუშაობენ როგორც ავტონომურად (*რეჟიმი off line* — მონაცემების შეზღვეობი დამუშავებითა და ოპერაციების ანგარიშებზე ასახვით), ასევე რეალური დროის რეჟიმში (*რეჟიმი on line*). ამ დროს ავტომატი დაკავშირებულია ბანკის ცენტრალურ კომპიუტერთან და უზრუნველყოფს ანგარიშების მიხედვით ნაღდი ფულის გაცემას ან მიღებას.

კომერციული ბანკის ფაქტორინგული (საშუამავლო) ოპერაციები

ფაქტორინგი (*ინგლ. factor - აგენტი, შუამავალი, კომისიონერი*) — წარმოადგენს სავაჭრო-საკომისიო ოპერაციების სახესხვაობას, შერწყმულს კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან.

ფაქტორინგული ოპერაცია გულისხმობს ბანკის მიერ საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწვევადან ანგარიშ-ფაქტურათა (სავადასდო მოთხოვნათა) შექმნას, მათზე რისკის აღებასა და ინკასაციას.


თავდაპირველად ფაქტორინგი წარმოიშვა როგორც სპეციალიზებულ სავაჭრო შუამავალთა ოპერაცია, ხოლო მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა სავაჭრო ბანკებში. იგი ცნობილი იყო XVI-XVIII საუკუნეებში, მაგრამ მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში ფაქტორინგულმა ოპერაციებმა შეცვალეს კომერციული კრედიტი და ფართო გავრცელება პპოვეს პროდუქციის რეალიზაციის მომსახურებაში, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ინფლაციური პროცესების გაძლიერებითა და მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკის არასტაბილურობით.

არსებობს ორი სახის ფაქტორინგი: 1. კონვენციური (ღია) — მიმწოდებელი თავის ანგარიშზე მიუთითებს, რომ მოთხოვნა გაყიდულია ფაქტორ-ფირმაზე; და 2. კონფიდენციალური (დახურული) — მიმწოდებლის არც ერთი კონტრაგენტისათვის ცნობილი არ არის ფაქტორ-კომპანიების მიერ მისი მოთხოვნების დაკრედიტება. ამიტომ კონფიდენციალური ფაქტორინგის ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე კონვენციურის და ამასთან, მნიშვნელოვნად ძვირია სხვა საბანკო კრედიტებზე. ფაქტორინგულმა ოპერაციებმა ფართო გავრცელება პპოვეს პროდუქციის ექსპორტის დროს. ასეთ შემთხვევაში კლიენტი სარგებლობს თავისი ანგარიშების მიხედვით ყველა გადასახდელის მიღების 100%-იანი გარანტიით.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფაქტორინგულ ოპერაციებს ახორციელებენ სპეციალური ფაქტორული კომპანიები, რომლებიც, როგორც წესი, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ბანკებთან ან წარმოადგენენ მათ „შვილობილ“ ფილიალებს.

კლასიკური ფაქტორინგი იმ სახით, როგორც იგი ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში, ემყარება კომერციულ კრედიტს გადახდის ვადის გადაღებით (30-დან 90 დღემდე) მიწოდებულ პროდუქტაზე ან გამოყიდვულა და მყიდველს შორის საკრედიტო-საანგარიშობის ურთიერთობის ისეთი ფორმის გამოყენებით, როგორცაა ღია ანგარიში. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი უტვირთავს პროდუქციას მყიდველს და ამავე დროს უგზავნის მას სასაქონლო-განკარგულებით დოკუმენტებს, ხოლო ვალის თანხა შეაქვს გამოყიდველის სახელზე გახსნილი ანგარიშის დებეტში. მყიდველი ფარავს თავის დავალთანებას ღია ანგარიშის მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (თვეში, კვარტალში ან წელიწადში ერთხელ). ღია ანგარიშის მიხედვით გადაუხდელიობის რისკს თავის თავზე იღებს ფაქტორ-კომპანია. გადასახდელის დაუყოვნებლივ გადახდაზე (5-10 დღის განმავლობაში) დაწესებულია ფასდაკლება, ანუ „სკონტო“, რომელიც დასავლეთის ბევრ ქვეყანაში დაახლოებით 3% შეადგენს. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ფაქტორინგის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია მცირე, საშუალო და ახლად შექმნილი პერქსპექტიული საწარმოებისათვის, რომელთაც დებიტორებისაგან გადასახდელის მიღების დაგვიანების გამო წარმოეშებათ ფინანსური სიმწელებები.

ფაქტორინგულ მომსახურებაზე ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები



ფაქტორინგული მომსახურების ზღვრული თანხები

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში იყენებენ ფაქტორინგული მომსახურების ზღვრული თანხების დადგენის სამ მეთოდს: 1. თითოეული გადამხდელისათვის დგინდება პერიოდულად განახლებადი დაკრედიტების ლიმიტი. ამ შემთხვევაში ფაქტორ-განყოფილება პასუხისმგებლობას კისრულობს მხოლოდ დაწესებული ლიმიტის ფარგლებში. თუ გადამხდელის დავალიანების თანხა გადააჭარბებს დადგენილ ლიმიტს, მაშინ ფაქტორული ხელშეკრულების შესაბამისად, გადამხდელის გადასხდისუნარიად გამოცხადებისას ყველა შემოსული გადასახდელი, გათვალისწინებული მიმწოდებლის ვალის დასაფარავად, პირველ რიგში ჩაერიცხება ფაქტორ-განყოფილებას მის მიერ მიმწოდებლისათვის გადაარიცხული თანხის სრულ კომპენსაციამდე; 2. მიმწოდებლისათვის დგინდება ერთი მყიდველისათვის გადარიცხვის ზღვრული თანხა ერთი თვის განმავლობაში (გადატვირთვების ყოველთვიური ლიმიტი). ასეთი ღონისძიება მიმწოდებელს აზღვევს საეჭვო დებიტორული დავალიანების წარმოშობის რისკისაგან, მიუხედავად კლიენტის ვალის საბოლოო თანხისა. ლიმიტი შეიძლება მოქმედებაში შევიდეს ყოველკვირულად; 3. თითოეული გარიგების დაზღვევა. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საწარმოო საქმიანობის სპეციფიკა ითვალისწინებს რიგ ცალკეულ გარიგებებს მსხვილ თანხებში და არა მიწოდებათა სერიას ერთი და იგივე კლიენტის მიერ. ასეთ პირობებში ზღვრული თანხა იქნება საქონლის მიწოდებაზე შეკვეთის მთლიანი ღირებულება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

შენიშვნა: მიმწოდებელმა ფაქტორ-განყოფილებას უნდა აცნობოს მის მიერ ზღვრული ლიმიტის დადგენის შერჩეული მეთოდი.

რეგრესის (მიმწოდებლისათვის მოთხოვნის უკან დაბრუნების) უფლება

რეგრესის უფლებით ფაქტორული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მიმწოდებელი სარისკო სიტუაციაში ვარდება, ვინაიდან შეიძლება ფაქტორ-განყოფილებამ დაუბრუნოს მას ნებისმიერი გადაუხდელი მოთხოვნა მყიდველის მიერ გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში (მოუხდელად მიზეზებისა). ხელშეკრულება რეგრესის უფლების გარეშე მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათად დაიღება — მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სადაეო მომენტების წარმოშობის შესაძლებლობა მინიმალურია. ასეთი ხელშეკრულების დადებისას ფაქტორ-განყოფილება თავის თავზე იღებს გადაუხდელობის რისკს. რისკის თანხა განისაზღვრება დაუთმობელ მოთხოვნათა მთლიანი თანხით იმ პირობით, რომ გადაუხდელობის მიზეზს წარმოადგენს მიმწოდებლის ანგარიშზე თანხების უკონ-ლობა. თუ მოთხოვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის აქცეპტებული, ფაქტორ-განყოფილებას აქვს რეგრესის უფლება, რაც დამატებით აღინიშნება ხელშეკრულებაში. ასეთ შემთხვევაში თანხების ანაზღაურება მიმწოდებლის მიერ ხორციელდება საგადახლო დავლებით. აქცეპტზე შემდგომი უარის შემთხვევაში უარის თანხა მიმწოდებლის მიერ მის ანაზღაურებამდე აღირიცხება ანგარიშზე „სხვა დებიტორები და კრედიტორები“, რასაც თან ახლავს ანალიტიკურ აღრიცხვაში მიმწოდებლის პირადი ანგარიშების გახსნა.

ფაქტორინგული ხელშეკრულება. სქემის გაგრძელება

ფაქტორული განყოფილებისათვის პრეტენზიებისა და საჩივრების წარდგენის ვადა

ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეთა პასუხისმგებლობა

მყიდველისათვის გადახდის ზღვრული ვადა

ფაქტორული გარიგების დამთავრების წესები

არაკეთილსინდისიერი გადამხდელისაგან გადასახდელის ამოსაღებად გათვალისწინებული სანქციები

მიმწოდებლისა და კომერციული ბანკის ფაქტორინგული განყოფილების უფლებამოსილება

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების გაუქმების პირობები

ფაქტორული ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს:

1. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
2. მიმწოდებლის სურვილით;
3. ფაქტორინგული განყოფილების სურვილით. ამასთან, ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მხარეები ერთმანეთს აცნობებენ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;
4. მიმწოდებლის ფაქტორივ ან შესაძლო გადახდისუნარიობის შემთხვევაში.

პირველი ორი მიზეზით ხელშეკრულების გაუქმების დროს მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს სახსრების ალტერნატიული წყარო, რათა გამოისყიდოს განყოფილებისათვის დათმობილი მოთხოვნები. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია მის მიერ წინათ გაცემული საკალო მოთხოვნათა გამოსყიდვა, მაშინ განყოფილება აძლევს მას კრედიტს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე. ამ პერიოდში ფაქტორ-განყოფილება თანმიმდევრულად ამცირებს ავანსის პროცენტებს მოთხოვნათა წინასწარ გაცემაზე ისე, რომ ხელშეკრულების ვადის შეწყვეტისათვის თანხა (რომელიც უნდა მიეღო გადამხდელისაგან) დაიყვანოს მინიმუმამდე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებლის გადახდისუნარიობის შემთხვევაში, ფაქტორ-განყოფილებას წინასწარი გადახდის თანხის კომპენსაცია შეუძლია საგადასახდლო მოთხოვნათა ინკასაციის გზით.

ფაქტორინგული ხელშეკრულების სახეობები

ხელშეკრულება სრულ ფაქტორინგულ მომსახურებაზე	ხელშეკრულება მოთხოვნათა წინასწარ გადახდაზე
<p>ასეთი სახის ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, დაიდება მიმწოდებელსა და ფაქტორინგულ განყოფილებას შორის ხარგობლივი და მუდმივი კონტაქტებისას. იგი ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ თავისი გადახდებულების ყველა საეკონომიკური მოთხოვნის დათმობას, საეჭვო ვალების წარმოშობისაგან 100%-იან დაცვას (რეგრესის უფლების გარეშე ფაქტორინგული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში), დებიტორული აღრიცხვის წარმოებასა და კრედიტის მართვას, ფულადი სახსრების გარანტირებული შემოსავლის უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი მიიღწევა მხოლოდ რეგრესის უფლების გარეშე ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.</p>	<p>მიმწოდებლის სურვილისამებრ შეიძლება დაიდოს ფაქტორინგული ხელშეკრულება მოთხოვნათა წინასწარი გადახდის პირობით. ამ შემთხვევაში ფაქტორინგული განყოფილება მიმწოდებელს დაუყოვნებლივ უხდის მოთხოვნის მთლიან თანხას ან მის ნაწილს (ჩვეულებრივ, არა უმეტეს მთლიანი თანხის 80%-ისა). დანარჩენი 20%, საკომისიო გასამრჯელოს² გამოკლებით, გადაერიცხება მიმწოდებელს დებიტორისაგან გადასახდელის მიღების შემდეგ ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. დებიტორისაგან მიღებული გადასახდელი, რომლებიც მოიცავენ საურავს ვადაგადაცილებაზე, ირიცხება ფაქტორინგული განყოფილების ანგარიშზე.</p>

1. მოთხოვნათა სრული თანხით ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ამ დროს საკომისიო გასამრჯელოს მიმწოდებელი ფაქტორ-განყოფილებას ურიცხავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2. ფაქტორინგული განყოფილების საკომისიო გასამრჯელო მოიცავს ორ ელემენტს:

1) საზღაურს გაცემულ კრედიტზე. მისი ოდენობა განისაზღვრება ფაქტორ-განყოფილებისაგან გადასახდელის მიღებასა და გადახდელისაგან მიმწოდებლის ანგარიშებზე ყოველდღიური სადებიტო სალდოს საფუძველზე გადასახდელის გადარიცხვის თარიღს შორის პერიოდისათვის. სარგებელი ფაქტორულ კრედიტებზე, ჩვეულებრივ, 2-3 პუნქტით მეტია მოკლევადიან სესხებზე დადგენილი სარგებლისა. ეს აიხსნება ფაქტორ-განყოფილებების მიერ დამატებითი ხარჯებისა და რისკის კომპენსაციის აუცილებლობით;

2) საზღაურს მომსახურებაზე. იგი განისაზღვრება როგორც საპროცენტო განაკვეთი ანგარიშ-ფაქტურის საერთო თანხიდან. მისი ოდენობა დამოკიდებულია მიმწოდებლის საწარმოო საქმიანობის მოცულობასა და სტრუქტურაზე, მისი მყიდველების კრედიტუნარიანობაზე, აგრეთვე ფაქტორ-განყოფილების მიერ შესასრულებელი მომსახურების შრომატევადობასა და რისკის დონეზე.

საზღაური ფაქტორინგულ მომსახურებაზე მერყეობს დათმობილი ანგარიშების საერთო თანხის 0.5-დან 3%-მდე, რეგრესის უფლების შემთხვევაში ხდება ფასდაკლება 0.2-0.5 პუნქტით.

კომერციული ბანკების ფაქტორინგული მომსახურების ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები

ფაქტორინგული მომსახურება მოიცავს არა მარტო მიმწოდებლის დაკრედიტებას, არამედ კონტროლს მის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი გადასხდლების კრედიტუნარიანობაზე.

ბანკის ფაქტორინგული განყოფილებისათვის საჭირო რესურსების ფორმირების წყაროა საკუთარი და ნასესხები სახსრები. მათ შორის თანაფარდობას ადგენს ბანკის გამგეობა.

კლიენტთა ფაქტორინგული მომსახურება ხორციელდება სახელშეკრულებო საწყისებზე. ხელშეკრულების დადებამდე ბანკის ფაქტორ-განყოფილება აანალიზებს მიმწოდებლის კრედიტუნარიანობას, შეისწავლის მისი მოვალეების საფინანსო მდგომარეობას.

ფაქტორინგული მომსახურების რისკის შეცირების მიზნით მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. მის მიერ წარმოებული პროდუქცია და გაწეული მომსახურება უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ხარისხითა და ღირდით მოთხოვნით ბაზარზე; 2. კჭონდეს წარმოების მაღალი და მყარი ტემპები; 3. იყენებდეს წარმოებული პროდუქციის გაყიდვის მტკიცედ განსაზღვრულ პირობებს.

რეკომენდებული არ არის ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება: 1. საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნებით; 2. კერძო პირების სავალო ვალდებულებათა მიხედვით; 3. იმ საწარმოთა ვალდებულებებით, რომლებიც ბანკის კრედიტით არ სარგებლობენ ან წარმოადგენენ გადახდისუნაროს, აგრეთვე საწარმოს ფილიალებისა და განყოფილებების ვალდებულებებით; 4. საკომპენსაციო და ბარტერული გარიგებების დროს; 5. სამუშაოთა ეტაპობრივად ან ავანსის სახით ანაზღაურების დროს; 6. გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით, როდესაც მყიდველს შეუძლია დააბრუნოს პროდუქცია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

ფაქტორ-განყოფილებისათვის აუცილებელია შეისწავლოს ინფორმაცია მიმწოდებლის სავალო ვალდებულებათა ხარისხის შესახებ. ამ მიზნით აანალიზებენ: აქცეპტზე უარის თქმას (მიზეზებს, სიხშირეს, თანხას რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობაში); მოთხოვნათა წილს, რომელთა დათმობაც არ შეუძლიათ ფაქტორ-განყოფილებისათვის; სეზონურ ცვლილებებს რეალიზაციის მოცულობაში; დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც გამოიწერება მოთხოვნები. ისინი უნდა გამოიწეროს მხოლოდ პროდუქციის გადატვირთვის ან მომსახურების გაწევის შემდეგ და არა წინასწარ.

XVIII თავი

კომერციული ბანკის ეკონომიკური რისკის შეფასების მეთოდები

ეკონომიკური რისკი — შესაძლო ზარალიან შემთხვევათა ღირებულებითი გამოხატულება.

საბანკო რისკის კლასიფიკაცია

საბანკო რისკი კომერციული ბანკის ტიპის მიხედვით	საბანკო რისკი განგარანშების შეიღის მიხედვით:															
<p>თანამდროვე პირობებში არსებობს 3 ტიპის კომერციული ბანკი: 1. სტეცილიზებული, მისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკი; 2. დარგობრივი, იგი მკიდრიად არის დაკავშირებული ამხ თუ იმ დარგის საწარმოებთან, ამიტომ მისი რისკის სპექტრი, გარდა საბანკო ოპერაციების რისკისა, დამოკიდებულია ძირითადად ბანკის კლასიფიკაცია კონომიკურ (ანუ არასაბანკო) რისკზე. 3. უნივერსალური, იგი, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს ყველა სახის საბანკო რისკს, ყოიდან მისი საქმიანობის სფერო საქაოდ ფართო საქეტრის მოცავს. რისკის ყველაზე მაღალი ზარისხილი ბასიათღება დარგობრივი ბანკი, როცორც საშუალო, არამობილური, კლიენტის დარგზე მკვიდრიდ დამოკიდებული საკრედიტო დაწესებულება. ნაკლები რისკით ხასიათდება უნივერსალური ბანკი, ყინაიდან მას საშუალება აქვს ერთი სახეობის საქმიანობის დანაკარგები დაფაროს სხვა ოპერაციებთან მიღებული შემოსავლებით.</p>	<p>1. კომპლექსური (საერთო) რისკი. იგი მოიცავს ბანკის რისკის მოცულობის შეფასებასა და კრონზუს, აგრეთვე ლიკვიდობის კონომიკური ნორმატივების დაცვას. 2. კერძო რისკი. იგი განისაზღვრება რისკის კოეფიციენტების სკალის ან ცალკეული საბანკო ოპერაციების რისკის საშუალო შეწინილი მაგნიტუდების საფუძველზე. მაგ, განვითარებული ქვეყნებში გამოიყენება ვალდებულებათა შემდეგი სახის დაჯგუფება რისკის სკალის მიხედვით:</p> <table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>ვალდებულებათა დაჯგუფება</th> <th>რისკის სკალა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით</td> <td>0</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>მოკლევადიანი ბანკთაშორისი დეპოზიტები</td> <td>1</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>საშუალებათა ნაშები საკორესპონდენტო ანგარიშებზე</td> <td>1</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>სხვა ოპერაციები</td> <td>2</td> </tr> </tbody> </table>	№	ვალდებულებათა დაჯგუფება	რისკის სკალა	1	ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით	0	2	მოკლევადიანი ბანკთაშორისი დეპოზიტები	1	3	საშუალებათა ნაშები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	1	4	სხვა ოპერაციები	2
№	ვალდებულებათა დაჯგუფება	რისკის სკალა														
1	ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით	0														
2	მოკლევადიანი ბანკთაშორისი დეპოზიტები	1														
3	საშუალებათა ნაშები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	1														
4	სხვა ოპერაციები	2														
<p>საბანკო რისკი გავლენის სფეროს მიხედვით</p> <p>რისკი გავლენის სფეროს მიხედვით არსებობს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საშობარო რისკი: <ul style="list-style-type: none"> ა) ძირითადი საქმიანობის რისკი: საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო, საანგარიშსწორებო, სავინდო ოპერაციებზე, აგრეთვე სუპლიონირულ და სალიზინგო ოპერაციებზე; ბ) დამხმარე საქმიანობის რისკი: დეპოზიტების ფორმირებაზე, ბანკისთვის ახალი არატრადიციული ოპერაციების შესრულებაზე, საბანკო ოპერაციების ბოროტად გამოყენებაზე, ბანკის ბალანსგარეშე ოპერაციებზე, ბაზარზე ბანკის პოზიციების, რეპუტაციის დაცვარვის რისკი, კლიენტთა შეზღვევლობის გუარანტისა და საბანკო ტრეიტინგის დაცვის რისკი და სხვ. 2. საგარეო რისკი, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ბანკის საქმიანობასთან ან კონკრეტულ კლიენტთან. მასზე შეჯავლებას ახდენს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, გეოფიზიკური და ა.შ. ფაქტორები. 	<p>საბანკო რისკი აღრიცხვის ზასიათის მიხედვით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საბალანსო ოპერაციების რისკი; 2. ბალანსგარეშე ოპერაციების რისკი. <p>ხშირად საბალანსო ოპერაციების რისკი ვრცელდება არასაბალანსო ოპერაციებზეც, მაგ., საწარმოს გაკოორდების შემთხვევაში. აქ მნიშვნელოვანია სწორად იქნეს განსაზღვრული შესაძლო დანაკარგები ერთი და იგივე ოპერაციოდან, რომელიც ერთდროულად აისახება როგორც საბალანსო, ასევე ბალანსგარეშე ანგარიშებზე.</p>															
<p>საბანკო რისკი რისკი დროის მიხედვით</p> <p>ბანკის ძირითადი ოპერაციებისთვის დამახასიათებელია წარსული და მომდინარე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — მომავალი რისკი.</p> <p>მომდინარე რისკი ახასიათებს შემდეგ ოპერაციებს: გარანტიებს, გადასაცემ თამასუქებს, აქცეპტს, დოკუმენტურ საკრედიტო ოპერაციებს, აქტივების გაყიდვის რეგრესის უფლებით და სხვ. მაგრამ თვით ამ გარანტიების, აქცეპტების თამასუქების, საკრედიტო დოკუმენტების გარკვეული დროის შემდეგ განაღდება აღნიშნულ ოპერაციებს მომავალი რისკის წინაშე აყენებს, გარანტიების გადახდის კადის დადგომისას, თუ ბანკმა ვერ გაითვალისწინა დანაკარგები (ზარალი) შესაძლებლობა, იგი წარსული რისკის წინაშე აღიზნდება, ე.ი. იმ რისკის წინაშე, რომელიც ბანკმა განიცადა უშუალოდ გარანტიის გაცემის დროს. რისკის განაწილებას დროში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის შესაძლო დანაკარგთა პროგნოზისთვის. ამ ფაქტორის გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელია ბანკის საქმიანობაში წარსული და მომავალი რისკის თავიდან აცილება.</p>	<p>საბანკო რისკი რისკი დროის მიხედვით</p> <p>ბანკის ძირითადი ოპერაციებისთვის დამახასიათებელია წარსული და მომდინარე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — მომავალი რისკი.</p> <p>მომდინარე რისკი ახასიათებს შემდეგ ოპერაციებს: გარანტიებს, გადასაცემ თამასუქებს, აქცეპტს, დოკუმენტურ საკრედიტო ოპერაციებს, აქტივების გაყიდვის რეგრესის უფლებით და სხვ. მაგრამ თვით ამ გარანტიების, აქცეპტების თამასუქების, საკრედიტო დოკუმენტების გარკვეული დროის შემდეგ განაღდება აღნიშნულ ოპერაციებს მომავალი რისკის წინაშე აყენებს, გარანტიების გადახდის კადის დადგომისას, თუ ბანკმა ვერ გაითვალისწინა დანაკარგები (ზარალი) შესაძლებლობა, იგი წარსული რისკის წინაშე აღიზნდება, ე.ი. იმ რისკის წინაშე, რომელიც ბანკმა განიცადა უშუალოდ გარანტიის გაცემის დროს. რისკის განაწილებას დროში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის შესაძლო დანაკარგთა პროგნოზისთვის. ამ ფაქტორის გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელია ბანკის საქმიანობაში წარსული და მომავალი რისკის თავიდან აცილება.</p>															

საბანკო რისკის კლასიფიკაცია. სკემის გავრცელება

საბანკო რისკი ხარისხის მიხედვით

რისკის ხარისხის მიხედვით არსებობს სრული, საშუალო და დაბალი რისკი. საბანკო რისკის ხარისხი ხასიათდება იმ შემთხვევაში დადგომის ალბათობით, რომლებიც იწვევენ ბანკის დანაკარგებს მოცემული ოპერაციის მიხედვით. იგი გამოიხატება პროცენტებით ან კოეფიციენტებით.

კომერციული ბანკების ვალდებულებანი დაჯგუფებულია 6 ჯგუფად, გამოდინარე დაბანდება რისკის ხარისხიდან და ღირებულებათა ნაწილის შესაძლო დაზარალებად. ამასთან, აქტივების ცალკეულ კატეგორიებსა და ჯგუფებს მიეკუთვნება შესაბამისი კოეფიციენტი ან პროცენტი (იხ. სქემა):

№	ოპერაციათა ჯგუფები	რისკის ხარისხი %
I	• სალარო და მასთან გათანაბრებული საშუალებანი	0.5
	• საშუალებანი საკრედიტორულ ანგარიშებზე	0.0
	• საშუალებანი ცენტრალური (კოორდული) ბანკის სარეზერვო ანგარიშზე	0.0
II	• მთავრობის ფასიანი ქაღალდები	10
	• მთავრობის მიერ გარანტირებული სესხები	15
	• ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციის ფასიანი ქაღალდები	20
	• სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება	25
	• შერჩეული, ნაგებობები და სხვა ძირითადი ფონდები	25
	• არეღებები სხვა ბანკებს	25
III	• მოკლევადიანი სესხები (ბანკის მიერ ერთ წლამდე ვადით გაკეცილი კრედიტები მინუს მთავრობის მიერ გარანტირებული სესხები)	30
	• ფაქტორინგული ოპერაციები	50
	• გრძელვადიანი სესხები (ბანკის მიერ ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით გაკეცილი კრედიტები მინუს მთავრობის მიერ გარანტირებული სესხები)	50
IV	• სალიზინგო ოპერაციები	60
	• ბანკის მიერ შექმნილი სააქციო საზოგადოებებისა და საწარმოების ფასიანი ქაღალდები	70
V	• მონაწილეობის სხვა უფლებანი შექმნილი ბანკის მიერ	80
	• ვადაგადაცილებული სასესხო დეპოზიტები	100

პირველი ჯგუფის აქტივებს რისკი არ ახასიათებთ; II ჯგუფში შედიან მინიმალური რისკის აქტივები; III-IV ჯგუფებში — აქტივები გადაიღებული რისკით. მოუხდავად ასეთი დაჯგუფებისა, ერთი და იგივე რისკს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ხარისხი — მისი გარანტიის, დაზღვევის და რეკლამირების სხვა მეთოდების შესაბამისად. მაგ., ბანკის გრძელვადიანი სესხი, რომელიც გათვალისწინებულია ახალი საწარმოს ასაშენებლად, ხასიათდება 100% რისკით; მისი დაზღვევის შემთხვევაში რისკი შეიძლება 10-50 პროცენტამდე (კრედიტის მოცულობის 50-90%-ის დაზღვევის პირობებში); ხოლო მთავრობის გარანტიის მქონე შემთხვევაში რისკი ნულამდე ეკვება.

საბანკო რისკი წარმოშობის სფეროს მიხედვით:

1. ქვეყნის რისკი;
2. ცალკეული ბანკის ფინანსური სიმელოების რისკი (ბანკის კაპიტალის უმართლობის, ლიკვიდობის, აუცილებელი რეზერვების უმართლობის რისკი);
3. ბანკის ცალკეულ ოპერაციათა რისკი (მაგ., საკრედიტო რისკი მიიძღვება თითოეული ოპერაციის წარმატებით შესრულების, ვალის დაუფარაობის, ინფლაციის, საბანკო გარანტიის, ურედილო, კრედიტის არარეაბილიტაციის და ა.შ. რისკი).

საკრედიტო რისკი და ბანკის კლიენტთა უზღავდებლობა

იგი განსაზღვრავს ბანკის რისკის განაგარიშების მეტოქესა და ხარისხს. წერილი მსესხებელი უფრო დიდია და მოკლებული საბანკო ეკონომიკის შემთხვევაზე, ვიდრე მსხვილი. ამავე დროს მსხვილი კრედიტების გაცემა ერთი მსესხებლის ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის, დარგის, რეგიონის ან ქვეყნისათვის ხშირად ბანკების გაკონტროლების ნიშნად ხდება. ამიტომ მნიშვნელოვანია კლიენტის გაცემა შეზღუდულია და ბანკის საწესდებო კაპიტალის 10-15% შეადგენს. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბანკისათვის უპრობლემო კლიენტის შერჩევა. ჩვეულებრივ, ასეთი პარტიიორებს მიეკუთვნება საწარმოები მყარი ფინანსური ბაზით, ლიკვიდობისა და გადახდის-უნარიანობის მაღალი მაჩვენებლებით.

საბანკო რისკი მართვის შესაძლებლობის მიხედვით:

1. და რისკი. იგი რეკლამირებას არ ემყარება;
 2. დახურული რისკი. მისი მართვა, რეკლამირება შესაძლებელია.
- სტანდარტიზაცია: ზოგიერთ საბანკო ოპერაციაზე წესდება სტანდარტიზაცია. მოქმედებს რისკის თვითად ავილების მიზნით. მაგ., უცხოური საკაპიტალური ანგარიშის წარმოების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნას წარმოადგენს საყვალულო პროცენტის დახურვა ყოველი საშუალო დღის ბოლოსათვის, ე.ი. იმ გაუფასურებული ვალდებულების ხელახალი აღრიცხვა სხვა ვალდებულებით, რომლის კურსი იზრდება.

საბანკო რისკის მართვის, ანუ რეგულირების ძირითადი
მეთოდები

რისკის შეწონვის პრინციპის გამოყენება.

საშინაო რისკის (დარგობრივი, რეგიონალური, სადაზღვევო და ა.შ.) განსაზღვრა.

ბანკის კლიენტის ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, რეიტინგის, კრედიტუნარიანობის და ა.შ. სისტემატური ანალიზის განხორციელება.

რისკის დაყოფის (დანაწევრების) პრინციპის გამოყენება.

კრედიტების რეფინანსირება.

დივერსიფიკაციის პრინციპის (კრედიტების დანაწილება მცირე სესხებად და მათი კლიენტთა დიდ რაოდენობაზე გაცემა ბანკის ოპერაციების საერთო მოცულობის შეუცვლელად) გამოყენება.

მსხვილი კრედიტების გაცემა მხოლოდ კონსორციულ საფუძველზე (რისკის განაწილება ბანკთაშორისი შეთანხმების საფუძველზე).

მცოცავი საპროცენტო განაკვეთების გამოყენება.

საღებოზიტო სერთიფიკატების გამოყენება.

ბანკის სააღრიცხვო ოპერაციების გაფართოება.

კრედიტებისა და ღებოზიტების დაზღვევა.

საგირაო უფლების შემოღება.

რეალური პერსონალური და „მოჩვენებითი“ გარანტიების გამოყენება და სხვ.

საკრედიტო რისკის განგარიშების მეთოდები

ლიკვიდობისა და მსესხებლის კრედიტუნარიანობის კოეფიციენტები

მათი გათვალისწინება და დაცვა-შენარჩუნება წარმოადგენს რისკის თავიდან აცილების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს.

საკრედიტო ოპერაციების განსორცეულების ძირითადი ნორმატივები (ცერმანისი მეთოდის).

ნებისმიერი საკრედიტო ინსტიტუტის კრედიტები და აქციები არ უნდა აღემატებოდეს საწვავები ფონდის მოცულობის თერამეტჯერად თანხას (საწვავები კაპიტალი = შეტანილი კაპიტალი + ღია რეზერვები). ღია სავალუტო და ძვირფას ლიონებისთან დაკავშირებული ოპერაციები ყოველდღიურად ბანკის დაბეჭდვას არ უნდა აღემატებოდეს საწვავები კაპიტალის 30%-ს.

გრემელივიანი კრედიტებისა და კაპიტალდაბანდებების რეფინანსირება უნდა ხორციელდებოდეს ზანკრძლივი ვადით. რეფინანსირებისათვის გამოიყენება შემდეგი სახსრები: საკუთარი კაპიტალი, ვალდებულებანი 4 წელზე მეტი ხანგრძლივობით; მთხოვნამდე ანაბრებისა და გრძელვადიანი ანაბრების (რომლებიც ბანკის მიერ არის დაბანდებული) 10 პროცენტამდე; საშენაბულო ანაბრების 60 პროცენტამდე.

ბანკის ბალანსის ცალკეულ მუხლებს შორის გარკვეული თანაფარდობის დაცვა და კონცერნის შემადგენლობაში უმეტესი ბანკების კონსოლიდაციის აუსცილებლობა. კონცერნის კომისიის რეკომენდაციებით კრედიტის მოცულობა (რისკის გათვალისწინებით) უზრუნველყოფილი, ანუ გარანტირებული უნდა იყოს საკუთარი კაპიტალის მინიმუმ 8%-ით. ამასთან, ძირითადი კაპიტალი შედგება შეტანილი კაპიტალისა და ღია რეზერვებისაგან, ხოლო სარეზერვო კაპიტალი მოიცავს: ფარულ სულაბალ კოტორებად; საბალანსო ღირებულების კორექტირებას, აგრეთვე რეზერვებს, რომელიც იბეჭდება დანამატებს ფასიანი ქაღალდების სულაბალ კოტორებად; საბალანსო ღირებულების კორექტირებას, აგრეთვე ცალკეული ქვეყნების რისკის მიხედვით საბალანსო ღირებულების კორექტირებას. არსებული კანონის მიხედვით, კრედიტის თანხა შეადგენს საკრედიტო ინსტიტუტის საწვავები კაპიტალის არანაკლებ 15 პროცენტის; ცალკეული მსხვილი კრედიტის თანხა უნდა აღემატებოდეს საწვავები კაპიტალის 50 პროცენტს; აჯალი განაღდება მხოლოდ 50 პროცენტის ოდენობით; ხუთი ყველაზე მსხვილი კრედიტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საწვავები კაპიტალის რეაქტივად მოცულობას. მილიონიანი კრედიტების შესახებ ცნობება ცენტრალურ ბანკსა და მსესხებლის ყველა კრედიტორს.

ბანკის საერთო რისკი

$$H = \frac{P_1 + P_2 + P_3 + \dots + P_n}{K} \times E$$

სადაც H — ბანკის საერთო რისკის დასა-
ოპერაციის მიხედვით (ან აქტივების
გათვალისწინებით); E — ბანკის საერთო
რისკი; K — ბანკის კაპიტალი.

ეს მაჩვენებელი ასახავს ბანკის საერთო რისკის მაქსიმალურ შესაძლებლობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომლის შემდეგაც მისსალოდნელია ბანკის კრაზი. მისი მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს 10.

ერთი მსესხებლის საკრედიტო რისკი

ამ მაჩვენებელს ბანკები სხვადასხვანაირად განაზღვრავენ. ერთნი თვლიან, რომ საკმარისია თითოეული კლენტის კრედიტუნარიანობის კლასის განაზღვრა, რასაც საფუძვლად უდევს შემდეგი მაჩვენებლები: ბალანსის ლიკვიდობის, ბალანსის დაფარვის, კრედიტუნარიანობის, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტები, საკუთარი და მოზიდული სახსრების ოდენობა, საწარმოთა შემოსავლობის დონე, საფინანსო მდგომარეობის სიმყარე. ამ მაჩვენებელთა საფუძველზე გამოიყოფა მსესხებელთა 3-5 კლასი. 4-5 კლასის მსესხებელი ითვლება კრედიტუნარიად და ბანკი მასთან არ უნდა დაამკრომლოდეს ბანკისათვის ხელსაყრელი პირველი კლასის მსესხებელთან ურთიერთობა, ხოლო 2-3 კლასის მსესხებელთან მას აქვს შეკერი დამოკიდებულება, სახელდობრ: კრედიტს გასცემს მხოლოდ გირავს, გარანტიის საფუძველზე; სისტემატურად ამოწმებს სესხების უზრუნველყოფას; დაკრედიტების პირობების დარღვევის შემთხვევაში იყენებს შეკერ სანქციებს და სესხის ოპერატიულად ამოღების შესაძლებლობას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თითოეული კლენტის საკრედიტო რისკის უწყასების ორიენტირის წარმოადგენს ანალიტიკური სისტემა, ანუ ბანკი მიერ საწარმოთა საკრედიტო კოტორება. იგი ხორციელდება საწარმოს გარეუნი მოცულობის, საკრედიტო და საკაპიტალური უწყასებების, აგრეთვე შემოწმების ხარისხის (სიმჯი) — ავტორიტეტის) საფუძველზე. რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე ადგენენ თვისებრივ უწყასებას, რომელიც საშუალებას იძლევა საწარმო მრეკოთმონის ერთ-ერთს შეხვეტი 6 ჯგუფად: სახელმწიფო; უცხოური; "იარგი"; საწარმო, რომელსაც სიმძლეებს განიციდის; საწარმო, რომლის სიმძლეეები ნაწილობრივ ბანკის მმართველობის სფეროშია; არაკოტორებული საწარმოები. აღნიშნული მაჩვენებლების საფუძველზე ბანკი აგებს საკრედიტო ურთიერთობას კლენტთან, განაზღვრავს რისკის დონეს და ახორციელებს მის მართვას (ზრდის ცენტრალური ბანკის მიერ რეფინანსირებული კრედიტების წილს, იყენებს მცირე საპროცენტო განაკვეთებს, გარანტიებს, დაზღვევას, სესხების დანაწილებას მეთოდს და ა.შ.).

ცენტრალური ბანკის მიერ დგინდება ერთი მსესხებლის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ნორმატივი. იგი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის აქტივების საერთო თანხის 10 პროცენტს.

საკრედიტო რისკის გაანგარიშების შემოღება. სკემის

რისკ-ფაქტორები და მათი გამოვლენის ძირითადი მმართველებანი

I. რისკ-ფაქტორთა თვორიული გამოკვლევა. იგი რისკ-ფაქტორთა გამოვლენისა და კლასიფიკაციის საშუალებას იძლევა.

I. რისკ-ფაქტორთა კლასიფიკაცია

პოლიტიკური რისკ-ფაქტორები: იმი, უცხო ძალის მიერ ტერიტორიის ოკუპაცია; აჯანყება; არეულობა, გამოწვეული ტერიტორიულ წიაღზე, იდუ-ლოგური უთანხმოება; ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტი; რეგონალიზმი; პოლიტიკური პოლარიზაცია; პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა რისკი და ა.შ.

სოციალური რისკ-ფაქტორები: სამოქალაქო ომი; არეულობა სოციალურ წიაღზე; შემოსავლების არათანაბარი განაწილება; რელიგიური უთანხმოე-ბანი; ანტიკონიზმი სხვადასხვა სოციალურ კატეგორიის შორის.

ეკონომიკური რისკ-ფაქტორები: ეროვნული შემოსავლის ზანგბადივი შემც-რება; გაფიცვები; პროდუქციის ფასების სწრაფი ზრდა; სექტორული შემოსე-ვების შემცირება; პროდუქციისა და ენერჯის იმპორტის უქცარი ზრდა და ა.შ.

2. რისკის რეგულირება, ძირითადი ფაქტორების გამოყოფა: სარისკო პერიოდი; ფაქტორები და მიზეზები, რომელთაც მუშაობით რისკის გამოწვევა და მათი შესაძლებლობის ზარისხი; რისკის რეგულირების მეთოდები, რომლებიც უზრუნ-ველყოფენ მათ შემცირებას; რისკის ზუსტი შეფასება.

III. კონსულტაციები. კომერციული ბანკის მუშაკებს რისკის შესახებ კონსულტაციები შეუძლიათ მიიღონ საგარეო საკმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, ქვეყნის ცენტრალური ბანკის, აგრეთვე მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო საგადასახადო ფონდის, სადაზღვევო კომპანიების ექსპერტებისაგან.

III. ექსპერტიზული გამოკვლევები. იგი გულისხმობს თვით ბანკში ექსპერტების სერიის ჩატარებას. ექსპერტების მიზნებია: ბანკისათვის ყველაზე ტიპური კლიენტურის შერჩევა; ინფორმაციის ხელმძისწოდობა; ცნობათა დუბლირების აღკვეთა; ინფორმაციის დამოუკიდებელი და ცვალებადი, საწარმისგან, ბანკისგან, ექსპერტისაგან მიღებულ ინფორმაციად, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, საქმიან აქტიურობასა და ზარის-ხის (კვალიფიკაციის) შესახებ ინფორმაციისგან, აგრეთვე სარეგულაციო პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, ვალუტის არსებობის, საწარმის განვითარების კარგონის შესახებ ინფორმაციისგან და ა.შ. შემდეგი ეტაპია საჭირო ინფორმაციის შერჩევა, მისი განახლებისა და შენახვის საუკეთესო ხელმძისწოდობის პირიდან (ან ორგანიზაციისგან) ინფორმაციის საშუალებათა კომპიუტერი ან მიკროფილმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ერთობლივი საწარმოების ან უცხოელ პარტნიორებთან რეკონსტრუქციის განხორციელების დროს. ამ შემთხვევაში აუცილებელია იმ ქვეყნის რისკის შეფასება, სადაც იმყოფებიან გარეგნის მონაწილეები, აგრეთვე თითოეული მონაწილე ქვეყნის რისკის წილის, საზღვაო გადაზიდვებისა და ა.შ. ფაქტორთა რისკის შეფასება.

მსხვილი კრედიტი

მსხვილი კრედიტი — სესხი, რომლის თანხა ალემბატება ბანკის კაპიტალის 20 პროცენტს.
ბანკის ცალკეული შესესხების რისკის კოეფიციენტი:

$$K_s = K_p \times \frac{R_1 + R_2 + \dots + R_n}{K_{BL}} \times E$$

სადაც: K_p — მაკორექტირებელი კოეფიციენტი, რომელიც ასახავს კლიენტის კრედიტუნარიანობას (მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მსხვილი კლასის მსესხებლისათვის — 1; მეორე კლასის მსესხებლისათვის — ორიდან სამდე; მესამე კლასისათვის — ოთხიდან ხუთამდე), მსესხებლის საბაზრო დამოუკიდებლობის ზარისხს, მისი საწარმოო პოტენციალის დონეს, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფას, აქციონერთა შესაძლებლობას, ხელმძღვანელის საქმიან აქტიურობასა და ორგანიზაციურ თვისებებს, საქუთარი სახსრების, ავრთვევ სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების საქმარისობას, გასული პერიოდისათვის ვალდადაცილებულ დავალიანებათა დონეს და ა.შ.;
 R_1, \dots, R_n — მოცუბული საკრედიტო ოპერაციის რისკის ოდენობა;
 K_{BL} — მსესხებელზე საკრედიტო დაბანდებათა მოცულობა;

E — მაკორექტირებელი კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ბანკის მოცუბულ კლიენტზე გარეშე ფაქტორების ზეგავლენას. იგი განისზღვრება შემდეგნაირად:

$E = \frac{F_1 \dots F_n}{EF}$ სადაც EF — ყველა შესაძლო გარეშე ფაქტორის F_1, \dots, F_n ვაში, მათ შორის F_1, \dots, F_n — გარეშე ფაქტორები, ცვალებადობა, კლიენტთა რეგონის რისკი, ვალუტის კურსის კლიენტთა მიერ გადახდის ვადის დარღვევები, გასაღებზე, საქონელზე, პროდუქციაზე ფასების ცვლილება, კლიენტის საქონლის კონკრეტუნარიანობის შეცვლა და ა.შ. ფაქტორები. საბაზრო ეკონომიკაზე გარეგნობაში განსაკუთრებით მზან-მუნინიანია მსესხებლის საკრედიტო რისკის განსაზღვრა მრავალრიანობის მიხედვით საფუძვლებზე, რომელიც ალგორითმს მოიცავს. იგი მრავალრიცხოვან სუბექტურ და ობიექტურ რისკ-ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე რისკის მნიშვნელობაზე დავიანის საშუალებას იძლევა.

ქვეყნის, ეკონომიკური რეგიონის საკრედიტო რისკი

ქვეყნის საკრედიტო რისკი


— უცხოური დაკრედიტების დროს დანაკარგების შესაძლებლობა, გამოწვეული სხვა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით.

ქვეყნის საკრედიტო რისკის კლასიფიკაცია

კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს შემდეგი კრიტერიუმები:

- | | |
|--|---|
| რისკის ობიექტი | — კაპიტალი, ვალდებულებები |
| კაპიტალის ტიპი, რომელიც რისკს განიცდის | — კრედიტი, პირდაპირი ინვესტიციები |
| გეოგრაფიული მდებარეობა | — ამა თუ იმ ქვეყნის რისკი |
| მოვლენათა ხასიათი | — პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, გეოფიზიკური |
| მსესხებლის ტიპი | — სუვერენული რისკი, მთავრობის რისკი, ფირმის რისკი, კერძო პირის რისკი |
| მსესხებლის ქმედებანი | — გადახდაზე უარის თქმა, ვალდებულებათა შეუსრულებლობა, ხელშეკრულების გადასინჯვა, გემის გადასინჯვა და ა.შ. |
| რისკის ხარისხი | — მაღალი, დაბალი, საშუალო |

- შენიშვნა:
- ყველაზე მნიშვნელოვანია მსესხებლის ქმედების აღრიცხვა. გადახდაზე უარის თქმის ან ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალე ატყობინებს კრედიტორს, რომ მას არ შეუძლია ან არ სურს გადახდა (ვალდებულებათა შეუსრულებლობა), ან არ იხდის იმიტომ, რომ არ სცნობს ვალს (გადახდაზე უარის თქმა). ეს უკანასკნელი იშვიათად ხდება.
 - ხელშეკრულების გადასინჯვა ნიშნავს, რომ კრედიტორმა უნდა მიიღოს დადგენილზე უფრო ნაკლები თანხა, ვინაიდან სარგებლის განაკვეთი შემცირდა ან ვალის ნაწილი არ დაიფარა.
 - გემის გადასინჯვა ან მორატორიუმი გულისხმობს კრედიტის ვალდების გაგრძელებას, როგორც ვალის ყოველწლიური შემცირებისა და წელთა უფრო დიდ რაოდენობაზე მისი გადანაწილების ხარჯზე, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო თავდაპირველად (გემის გადასინჯვა), ასევე ვალის დაფარვის შეღავათიანი ვადის დაწესებით (მორატორიუმი). მონაწილეობის წილი (ან წყვეტა) რჩება იგივე, როგორც თავდაპირველად იქნა დაფიქსირებული.



ქვეყნის, რეგიონის საკრედიტო რისკის განსაზღვრის მეთოდოლოგია

ბანკის საერთო რისკის ხარისხის განსაზღვრისათვის შიდა რისკი კორექტირდება ქვეყნის რისკზე:

$$E:H = \frac{(P_1 \dots + \dots P_n)}{K} \times E$$

რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებს, რეგიონებს შორის უნდა განხორციელდეს რისკ-ფაქტორთა ზეგავლენის გათვალისწინებით. „დოინე ბანკის“ სარეიტინგო შეფასების

მიხედვით ქვეყნის, რეგიონის საკრედიტო რისკის განსაზღვრას საფუძველად უღვევს შემდეგი კრიტერიული დონეები:
 0 - დაბალი; 5 - საშუალო; 10 - მაღალი.


$$E = \frac{EF}{F_1 \dots + \dots F_n}$$

სადაც: EF — ყველა რისკ-ფაქტორის გავლენის შესაძლო მაქსიმალური თანხა;
 F₁...F_n — თითოეული რისკ-ფაქტორის ზემოქმედების (გავლენის) ხარისხი.


შენიშვნა: ერთი და იგივე ქვეყნის საკრედიტო რისკი განისაზღვრება კრედიტის სახეობის, დაფარვის ვადის და მიზნის მიხედვით. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ქვეყნების კლასიფიკაცია მხოლოდ როგორც დადებითი და უარყოფითი რისკის მქონე ქვეყნებად. ზოგიერთ ქვეყანას აქვს საკმაო შესაძლებლობა მხოლოდ მთავრობასთან საქმიანი ურთიერთობისათვის, ანუ არსებობს განსხვავება შიდასაბანკო საქმიანობასა და საერთაშორისო საბანკო საქმიანობას შორის. შიდასაბანკო საქმიანობის გაფართოება სწორციელდება ერთდროულად თანხების აკუმულაციისა და დაკრედიტების ხარჯზე, მაშინ როდესაც საერთაშორისო საბანკო საქმეში — ძირითადად დაკრედიტების ხარჯზე. ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ერთობლივი საწარმოებისა და სხვა საერთაშორისო ოპერაციების რისკის შეფასების დროს.

დაზღვევა — საკრედიტო რისკის მართვის მეთოდი

განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო ფონდების სტრუქტურა:



სადაზღვევო ფონდები — საკრედიტო რისკის მართვის წყარო




შენიშვნა: სადაზღვევო ორგანიზაციებს კანონით ეკრძალებათ საკრედიტო ოპერაციების განხორციელება.

კომერციული ბანკების ოპერაციების დაზღვევა

დაზღვევის საშუალებით იფარება რისკის ორი კატეგორია:

1. ეკონომიკური, ანუ კომერციული რისკი;
2. პოლიტიკური რისკი.

პირველი დამოკიდებულია კონკრეტული მსესხებლის საქმიანობის წარმატებაზე, ხოლო მეორე — სახელმწიფოს ქმედებაზე.




საკრედიტო რისკის შემცირება ან აღმოფხვრა ზორციელდება კრედიტების დაზღვევით.

საერთაშორისო პრაქტიკაში კრედიტების დაზღვევა, როგორც დაზღვევის სპეციფიკური სახეობა, წარმოიშვა XIX საუკუნეში და გამოწვეული იყო ეკონომიკური კრიზისებითა და არასტაბილურობით. დაზღვევის ამ სახეობამ ფართო გავრცელება და განვითარება პპოვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

სამამულო პრაქტიკაში კრედიტების დაზღვევა წარმოებს 1990 წლიდან. დაზღვევა ზორციელდება ნებაყოფლობით საფუძველზე ორი ფორმით:

1. კრედიტების დაუფარაობაზე მსესხებლის პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა;
2. კრედიტის დაუფარაობის რისკის ნებაყოფლობითი დაზღვევა.

პირველ შემთხვევაში დამზღვევს წარმოადგენს მსესხებელი, დაზღვევის ობიექტს — მისი პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე კრედიტის დროულ და სრულ დაბრუნებაზე (მათ შორის სარგებლის სრულ დაბრუნებაზეც). მეორე შემთხვევაში დამზღვევია ბანკი, დაზღვევის ობიექტი — ცალკეული ან ყველა მსესხებლის პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე კრედიტისა და სარგებლის დროულ და სრულ დაბრუნებაზე.



საბუთების ჩამონათვალს ადგენს მზღვეველი. საბუთების წარდგენის ძირითადი მიზანი — სადაზღვევო რისკის ხარისხის განსაზღვრა. კლიენტის შესწავლის შემდეგ მზღვეველი ადგენს სადაზღვევო პრემიას (შენატანს) პროცენტებში სადაზღვევო თანხის მიმართ და ღიფერენცირებულს კრედიტის გაცემის ვადების მიხედვით. გარდა ამისა, გათვალისწინება თითოეული დარგის საწარმოს სადაზღვევო რისკის ხარისხი, ანუ სადაზღვევო რისკის კოეფიციენტი. ამ მონაცემების გათვალისწინებით იზრდება ან მცირდება პრემია.

პრემიის გადახდის შემდეგ სადაზღვევო ხელშეკრულება ძალაში შედის. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში პრემიის არასრული თანხის გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულება ანუღირებულად ითვლება და მიღებული გადასახდელები დამზღვევს უკან უბრუნდება.

დაზღვევის ყველაზე არსებითი მომენტებია: მზღვეველის მიერ აღებული პასუხისმგებლობის ოდენობა; სადაზღვევო შემთხვევის განსაზღვრა; ზარალის ანაზღაურება.

მზღვეველის პასუხისმგებლობის კონკრეტული ზღვარი და სადაზღვევო საზღაურის გადახდის ვადა ღვინდება ინდივიდუალურად. როგორც წესი, მზღვეველის პასუხისმგებლობა წამოიჭრება მაშინ, როდესაც დამზღვევი ბანკ-კრედიტორს არ უბრუნებს კრედიტს დათქმული ვადის დადგომიდან 20, ხოლო ზოგიერთ სადაზღვევო კომპანიაში — 30 დღის განმავლობაში.

დაზღვევის პირობებში მკაცრად არის განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც დამზღვევი ვალდებულია აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ. ჩვეულებრივ, მოქმედებს ზუთდღიანი ვადა. სადაზღვევო საზღაურის ოდენობა განისაზღვრება მზღვეველის პასუხისმგებლობის მოცულობის შესაბამისად, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თარიღისათვის დაუფარავი დავალიანების თანხიდან გამომდინარე.

სადაზღვევო ორგანიზაციას უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო საზღაურის გადახდაზე შემდეგ შემთხვევებში:

1. დამზღვევის მიერ სადაზღვევო რისკის განსაზღვრისათვის საჭირო არასარწმუნო (საეჭვო, არასწორი) საბუთების მიწოდების შემთხვევაში;
2. დამზღვევის მიერ დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.


დასაუღეთის ზოგიერთ ქვეყანაში დაზღვევა, როგორც საბანკო რისკის დაზღვევის ერთ-ერთი მეთოდი, სხვაგვარად არის აგებული. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს, როგორც წესი, დამზღვევის

ქონება, სიცოცხლე, შრომის უნარი, ჯანმრთელობა, გარკვეულ ასაკამდე მიღწევა და ა.შ.

ხშირ შემთხვევაში ქონების, სიცოცხლის, უბედური შემთხვევებისაგან და ა.შ. დაზღვევა წარმოადგენს აუცილებელ პირობას კერძო პირების, მცირე ფირმების დასაკრედიტებლად, რომელთა საქმიანობის წარმატება და მომავალი ფუნქციონირება დამოკიდებულია ერთ პიროვნებაზე. კომერციული ბანკები დებენ გრძელვადიან ხელშეკრულებებს სადაზღვევო ორგანიზაციებთან კლიენტთა დაზღვევის შესახებ. ამ ხელშეკრულებაში გაითვალისწინება გარიგებათა მოცულობა, ბანკის მიერ წამოყენებული პირობები, საკომისიოები და სხვ. მზღვეველის პასუხისმგებლობა ემთხვევა ბანკის მიერ გაცემული კრედიტის მოცულობას.

დაზღვევა ხორციელდება დამზღვევის ხარჯზე მოცემულ ბანკში მისი ანგარიშიდან სადაზღვევო პრემიების ჩამოწერის გზით. ამასთან, კომერციული ბანკი ასეთი დაზღვევიდან ღებულობს დამატებით მოგებას საკომისიოს სახით და შემოსავალს ფულად ბაზარზე საკრედიტო რესურსების გაყიდვიდან, რომელთა დაგროვებაც დაკავშირებულია სადაზღვევო კომპანიაში სადაზღვევო გადასახდელების გადარიცხვასა და ბანკის კლიენტის ანგარიშიდან შესაბამისი თანხების ჩამოწერას შორის დროის ინტერვალზე.

აღნიშნული ოპერაციები სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



აღნიშნულ ქვეყნებში საშუალო და მხვილი საწარმოების დაკრედიტება დაკავშირებული არ არის დაზღვევასთან. კრედიტის გაცემის საკითხი წყდება კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების საფუძველზე და წარმოადგენს თვით ბანკის რისკს, რომელიც არ გადაეკისრება მზღვეველს.

პასიური ოპერაციების რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს საკრედიტო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო საკრედიტო რესურსების გამოძებნისა და მოზიდვის შესაძლო სიძნელეებთან, აგრეთვე სარგებლის განაკვეთების რისკთან (კრედიტის დასაფარავად დაბალსარგებლიანი რესურსების გამოძებნის შეუძლებლობასთან).

დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში პასიური ოპერაციების რისკის დაზღვევის მიზნით ძირითადად გამოიყენება დეპოზიტების დაზღვევა. ასეთი მეთოდი განსაკუთრებით პოპულარულია აშშ-ში, გერმანიაში, ლიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში.

ხშირად ბანკების ზარალის ასანაზღაურებლად იქმნება ბანკების შენატანების ფონდი. მათი გაკოტრების შემთხვევაში ფონდის საშუალებანი ნაწილდება შენატანების შორის გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში. ზოგიერთ შემთხვევაში ფონდი შეიძლება არ შეიქმნას. შენატანებთა გარკვეული კატეგორია საზღაურს იღებს სხვა ბანკებიდან.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ყველაზე ფართოდ გავრცელებულია აშშ-ში. აქ ჯერ კიდევ 1934 წლიდან დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კომპანია ქმნის ფონდებს, რომელიც ფორმირდება კომპანიის წევრთა შენატანებით, ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლებითა და აგრეთვე აშშ-ის ხაზინის სესხებით (განსაკუთრებულ შემთხვევებში). ამ ფონდებიდან ხორციელდება ბანკების გაკოტრების შედეგად დაზარალებული შენატანების დანაკარგების კომპენსაცია. გარდა ამისა, ამ ფონდის ხარჯზე შეიძლება გაეწიოს ბანკროტობის პირას მყოფ ბანკს დახმარება სხვა ბანკთან შერწყმისათვის და ა.შ.

სხვა განვითარებულ ქვეყნებში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა გაცილებით გვიან გავრცელდა — XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. დაზღვევის ხერხები და გადახდის წყაროები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგ., გერმანიაში დეპოზიტების დაზღვევის ფონდი ფორმირდება ბანკების მიერ. ამ ფონდში ბანკებს ყოველწლიურად შეაქვთ კლიენტურის დეპოზიტების 0.003%. საფრანგეთში ბანკებს შორის არსებობს კლიენტთა მცირე და საშუალო ანაბრების დაცვის სოლიდარული პასუხისმგებლობა — ანაბრის გარკვეულ თანხამდე ზარალი ნაწილდება ბანკებს შორის მოზიდული ანაბრების თანხის პროპორციულად.

კერძო პირთა დეპოზიტების დაზღვევის ძირითადი მიზანია კლიენტის ნდობის — ბანკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანის მოპოვება. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში ბანკის რეპუტაციას ეძლევა მაღალი შეფასება, თუ იგი ახორციელებს კლიენტთა დეპოზიტების დაზღვევას.

XIX თავი


კომერციული ბანკის ბალანსის ანალიზი და საბანკო აუდიტის საფუძვლები

კომერციული ბანკის ბალანსი - ბუღალტრული ბალანსი, რომელშიც აისახება ბანკის საკუთარი და მოზიდული რესურსების მდგომარეობა და მათი განთავსება საკრედიტო და სხვა აქტიურ ოპერაციებში.

ბალანსის მონაცემების საფუძველზე ხორციელდება კონტროლი: ფულადი საშუალებების ფორმირებასა და განთავსებაზე; საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საკასო და ბანკის სხვა ოპერაციებზე, მათ შორის საფონდო ოპერაციებზე.

კომერციული ბანკების ბალანსები იგება უნიფიცირებული ფორმით. ოპერაციების დეტალიზაციის ხარისხი შეზღუდულია კომერციული საიდუმლოებით, რაც დამახასიათებელია კონკურენციის პირობებში მომუშავე კომერციული ბანკების პრაქტიკისათვის. ჩვეულებრივ, ბალანსში არ გამოიყოფა საეჭვო და ზარალიანი ოპერაციები, სადაზღვევო რეზერვები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ოპერაციათა დასაფარავად. ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბალანსის უტყუარობა და თვალსაჩინოება, რათა არ დაეკეს ბანკის კონკურენტუნარიანობა და მისდამი ნდობა.

ბანკის ბალანსი წარმოადგენს კომერციული ინფორმაციის საშუალებას, რომელიც უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: ოპერატიულობას, კონკრეტულობას, სოლიდურობას.



კომერციული ბანკის ბალანსის ანგარიშები.
სქემის გაგრძელება

ბ ა ლ ა ნ ს გ ა რ ე შ ე ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი

ამ ანგარიშებზე აისახება ის ფასეულობანი და დოკუმენტები, რომლებიც ბანკში შესულია შესანახად, ინკასოზე ან საკომისიოდ. ამავე ანგარიშებზე აისახება: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ნიშნები; მკაცრი აღრიცხვის ბლანკები; აქციების ბლანკები; აქციები მინდობილობითა და შესანახად; სხვა დოკუმენტები და ფასეულობანი.

კომერციული ბანკის ბალანსის მუხლების დაჯგუფება

ბალანსის მუხლები ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით

საკასო აქტივები (ნაღდი ფული, რეზერვები ცენტრალურ ბანკში, საშუალებანი საკორესპონდენტო ანგარიშებზე); სახსრები სხვა კომერციული ბანკების ანგარიშებზე; ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული განყოფილების მუხლები წარმოადგენენ „პირველად რეზერვებს“ ლიკვიდობის ხარისხიდან გამომდინარე.

დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში, კომერციული თამაშუქები, სამთავრობო ორგანიზაციების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდები და ა.შ. ამ აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ოპერატიულად გადავიდეს ნაღდ ფულში დანაკარგების მცირე რისკით და ამასთან დაკავშირებით წარმოადგენენ „მეორად რეზერვებს“.

კრედიტები, გაცემული საწარმოების, ორგანიზაციების, აგრეთვე ინდივიდუალური მსესხებლებისათვის (მოიჯარეთათვის, გლეხური მეურნეობებისათვის და ა.შ.), სხვა კომერციული ბანკებისათვის. ბალანსის ეს აქტივები მიეკუთვნება მცირელიკვიდურ დაბანდებს, ენაიდან ბანკები საკმაოდ დიდ რისკს სწევენ მათ დროულ დაფარვასა და პირველი კლასის ლიკვიდურ სახსრებად გადაქცევასთან დაკავშირებით.

კაპიტალდაბანდებანი: საშუალებათა ინვესტირება მოძრავ და უძრავ ქონებაში; ფილიალების, ერთობლივი საწარმოების შექმნა და ა.შ. — არალიკვიდური საშუალებები.


ბალანსის მუხლები საბანკო ოპერაციების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

ოპერაციები კლიენტურასთან, მათ შორის სესხების გაცემისა და რესურსების მოზიდვის ყველა სახეობის ოპერაცია.

ბანკთაშორისი ოპერაციები. აქტივსა და პასივში ისინი მოიცავენ ყველა ოპერაციას ბანკებთან, მათ შორის გრძელვადიანსაც. აქტივში ჭარბობს ლიკვიდური მუხლები.

სხვა საბანკო ოპერაციები, მათ შორის დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში. ამ ჯგუფში შედის აგრეთვე კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციები. პასივში — სახსრების მოზიდვა ობლიგაციური სესხების ფორმით.


კაპიტალდაბანდებანი უძრავ და მოძრავ ქონებაში, ერთობლივი საწარმოების კაპიტალში — აქტივში, პასივში — საკუთარი კაპიტალური რეზერვები, აგრეთვე მოზიდული გრძელვადიანი რესურსები.



საკუთარ საშუალებათა ბრუტო ცნება უფრო ფართოა, ვიდრე საკუთარ საშუალებათა ნეტო ცნება, ვინაიდან მასში ჩართულია განზიდული (კაპიტალიზებული) სახსრები. იმობილიზაციის პროცესები ამცირებენ საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობასა და ლიკვიდობას, ამიტომ აუცილებელია ასეთი იმობილიზაციის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და აღმოფხვრა.

კომერციული ბანკის ბალანსის განმარტებულ ნიშანს წარმოადგენს საკუთარ საშუალებათა შედარებით მცირე ხვედრითი წილი და პასივში მოკლევადიანი რესურსების დომინირება. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია საკუთარ და მოზიდულ რესურსებს შორის გარკვეული თანაფარდობის დაცვა, კომერციული ბანკები საკუთარ სახსრებს ინარჩუნებენ, როგორც წესი, მინიმალურ დასაშვებ დონეზე. ამასთან, აქტიური ოპერაციების დაფარვის ძირითად წყაროს წარმოადგენს მოკლევადიანი რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების აქტივში კაპიტალდაბანდებთა ხვედრითი წილი დიდი არ არის.

კომერციული ბანკის ბალანსის ანალიზის სახეობები



კომერციული ბანკის ბალანსის ანალიზის მეთოდები

ლაგაკუფების მეთოდი

ეკონომიკური ღაგაკუფების მეთოდი გამოიყენება ბალანსის აქტივების მდგომარეობის შესაფასებლად. გამოიღინარე დაბანდებათა რისკის ხარისხიდან და მათი გარკვეული ნაწილის შესაძლო დანაკარგებიდან. ასე მაგალითად, აქტივების 65%სი ჯგუფიდან რისკის კოეფიციენტი მერყობს 0,5%-დან პირველი ჯგუფის მაღალლიკვიდური სახსრების (საღარი, ფულადი საშუალებანი) საკორესპონდენტო ანგარიშზე და საბანკო სისტემის საკრედიტო რესურსების რეკულირების ფონდში) მიზედვიით და 100% ძეკეზე ჯგუფის (ვადგადაცილებული სასესხო დავალიანების) მიხედვიით.

შედარების მეთოდი

ღინამიკური მწკრივების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ნორმატიულიდან ფაქტობრივი ლიკვიდობის გადახრის ძირითადი მიზეზები, აგრეთვე ბანკის საოპერაციო რეზერვების შემცირებისა და შემოსავლიანობის გაზრდის რეზერვები.

საბანკო საქმიანობაში ინტერესს იწვევს არა მარტო შიდასაბანკო შედარებითი ანალიზი, არამედ შემოსავლიანობის, რისკის, სიმელობობისა და ლიკვიდობის მაჩვენებლების შედარება სხვა ბანკების ანალოგურ მაჩვენებლებთან. ასეთ მეთოდს — ბანკთაშორის შედარებით ანალიზს იყენებენ, როგორც წეში, ბანკო-კორესპონდენტები, პოტენციური კლიენტები, აგრეთვე ბანკის მენეჯერები და მესაიები საბანკო მენეჯერების შედარების შესაფასებლად.

კოეფიციენტების მეთოდი

აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ბალანსის მუხლებს, განყოფილებებს ან მუხლების ჯგუფებს შორის რაოდენობრივი ურთიერიკვირის გამოსაყენებლად. ამგე დროს, ანალიზის სისრულისთვის შეიძლება მუხვე-ლობაში იქნეს მიღებული ანალიზური აღრიცხვის მონაცემები. მაგალითად, კოეფიციენტების მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეზინანსირების ოპერაციათა რაოდენობრივი შეფასების დროს:

რეზინანსირების კოეფიციენტი = $\frac{\text{ბანკთაშორისი კრედიტები (სხვა ბანკებიდან მიღებული კრედიტები)}}{\text{საკრედიტო დაბანდებათა სურთო მრეკულიობა ან მოზიდული სახსრების ოდენობა, ან საკუთარი სახსრების ოდენობა, ან ბალანსის საერთო შედეგი აქტივის ან პასივის მიხედვიით}}$

**ბანკის ბალანსის ანალიზი კოეფიციენტების მეთოდით
(აშშ-ის კომერციული ბანკების მეთოდით)**

კოეფიციენტებისა და მაჩვენებლების დასახელება და მათი მოკლე შინაარსი	კოეფიციენტებისა და მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა
1	2
<p>1. ლიკვიდობის კოეფიციენტები განსაზღვრავენ, თუ რამდენად არის შესაძლებელი დეპოზიტების დაფარვა საკასო აქტივებით მენაბრეთა მიერ თავიანთი საშუალებების ამოღების შემთხვევაში</p> <p align="center">ბანკის აქტიური ოპერაციების მახასიათებელი კოეფიციენტები და მაჩვენებლები</p> <p>2. აქტივების გამოყენების უეფექტიანობის კოეფიციენტი აღნიშნავს აქტივების რა ნაწილს მოაქვს შემოსავალი (%).</p> <p>3. დეპოზიტების გამოყენების კოეფიციენტი აღნიშნავს დეპოზიტების საერთო თანხის რა ნაწილია მოთავსებული კრედიტში. თუ კოეფიციენტი 75%-ს ჰქარბობს, ეს ბანკის აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკაზე მეტყველებს; ხოლო კოეფიციენტი 65%-ზე ნაკლები მნიშვნელობით საპირისპირო ფაქტზე მიუთითებს.</p> <p>4. მოზიდული რესურსების გამოყენების კოეფიციენტი აღნიშნავს მოზიდული რესურსების რა ნაწილია (%) წარმართული კრედიტში.</p> <p>5. მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს თითოეული ფასიანი ქაღალდის წილს საინვესტიციო პორტფელში. მთავრობის ფასიანი ქაღალდების მაღალი წილი მეტყველებს საკმარის ლიკვიდობასა და შემოსავლების სტაბილურობაზე.</p> <p>6. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ იგივე ფასიანი ქაღალდების განაწილებას დაფარვის ვადის მიხედვით. მათი საშუალებით განისაზღვრება როგორც მიმდინარე პრობლემები, ასევე ისეთებიც, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამა თუ იმ სახეობის ფასიანი ქაღალდების წილის შეცვლით ინვესტიციების საერთო მოცულობაში.</p> <p>7. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ კრედიტების გაცემას მსესხებელთა კატეგორიების მიხედვით. მათი საშუალებით ფასდება ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მდგომარეობა მისი რისკის, ლიკვიდობის, რენტაბელობის გათვალისწინებით, რამდენადაც მსესხებლის თითოეულ კატეგორიას გააჩნია კრედიტუნარიანობის გარკვეული დონე.</p> <p>8. მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა კატეგორიის მსესხებელთა მიერ კრედიტის დაფარვის ვადებს. მე-10 მაჩვენებლებთან შედარებით ხორციელდება არსებულ წყაროებთან გაცემული კრედიტების შესაბამისობის საერთო სურათის შეფასება.</p>	<p>1. საკასო აქტივების საშუალო ნაშთი (მრიცხველი)</p> <hr/> <p>მოთხოვნამდე დეპოზიტების საშუალო ნაშთი (მნიშვნელი)</p> <p>2. საკასო აქტივების საშუალო ნაშთი</p> <hr/> <p>ყველა სადეპოზიტო ანგარიშის საშუალო ნაშთი</p> <hr/> <p>მომგებანი აქტიური ანგარიშების საშუალო ნაშთი</p> <hr/> <p>ყველა აქტიური ანგარიშის საშუალო ნაშთი</p> <hr/> <p align="center">საშუალო სასესხო დაეკლიანება</p> <hr/> <p>მოზიდული რესურსების საშუალო ოდენობა</p> <p>გაიანგარიშება თითოეული ფასიანი ქაღალდის ხვედრითი წილი (%) ინვესტიციების საერთო მოცულობაში.</p> <p>ფასიანი ქაღალდები ნაწილდება სახეობების და დაფარვის ვადების მიხედვით.</p> <p>ამა თუ იმ კატეგორიის მსესხებლის (მრეწველობა და ვაჭრობა; საბოლოო მომხმარებელი; სოფლის მეურნეობა) მიერ მიღებული კრედიტის ხვედრითი წილის გაანგარიშება კრედიტის საერთო მოცულობაში.</p> <p>კრედიტები ნაწილდება მსესხებელთა კატეგორიების (მრეწველობა და ვაჭრობა; საბოლოო მომხმარებელი; სოფლის მეურნეობა) და დაფარვის ვადების მიხედვით.</p>



სქემის გაგრძელება

1	2
<p><i>კოეფიციენტები და მარკეტინგები, რომლებიც ახასიათებენ ბანკის სადეპოზიტო მაზასა და საკუთარ კაპიტალს</i></p> <p>9. დეპოზიტების დაეკუფება სახეობების მიხედვით</p> <p>10. დეპოზიტების (საშემნახველო და ვადიანის) დაეკუფება ვადების მიხედვით. ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს დეპოზიტების რა თანხა ექნება ბანკის ერთი წლის, 5 წლის შემდეგ. გაანგარიშების მონაცემები გამოიყენება მე-8 მარკეტინგულთან ერთად.</p> <p>11. ე.წ. „ბერკეტის“ კოეფიციენტები, რომლებიც ასახავენ მოზიდული და საკუთარი რესურსების თანაფარდობას გარკვეული თარიღისათვის.</p> <p>12. საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტები გამოითვლება საანალიზო პერიოდის ბოლოსათვის. კოეფიციენტი (საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა აქტივებთან) ბანკების უმრავლესობისათვის 7%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაგრამ რეგიონული ბანკებისათვის იგი შეიძლება 5-6% შეადგენდეს.</p> <p><i>შემოსავლიანობასა და ხარჯებზე კონტროლის მარკეტინგები</i></p> <p>13. ბანკის შემოსავლებზე მოქმედ ფაქტორებს უფარდებენ აქტივებს. გაანგარიშება გვიჩვენებს, რამდენად მომგებიანად ხორციელდება აქტიური ოპერაციები.</p> <p>მიღებულ შედეგებს უდარებენ ანალოგიური ბანკების შესაბამის მონაცემებს.</p> <p>14. მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს უფარდებენ შემოსავლიან აქტივებს.</p> <p>მარჯის გამოთვლა</p> <p>შედარებით დაბალი მარჟა ნიშნავს, რომ ბანკი, მოიზიდავს რა ძვირად ღირებულ დეპოზიტებს, მონაწილეობს დაბალშემოსავლიან და არც ისე ღირს რისკის ოპერაციებში. და პირიქით, თუ მარჟა მაღალია, ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალია იაფი დეპოზიტების დონე ან აქტივები მოზიდულია მაღალმომგებიან სარისკო ოპერაციებში.</p>	<p>განისაზღვრება თითოეული სახეობის დეპოზიტის (დეპოზიტები მოთხოვნამდე; ვადიანი დეპოზიტები; საშემნახველო დეპოზიტები) ხვედრითი წილი დეპოზიტების საერთო ჯამში.</p> <p>ვადიანი და საშემნახველო დეპოზიტები იყოფა ჯგუფებად: ერთ წლამდე ვადით; ერთიდან 5 წლამდე ვადით; 5 წელზე მეტი ხანგრძლივობით. განისაზღვრება საერთო თანხა თითოეული ჯგუფის მიხედვით.</p> <p><u>დეპოზიტების საშუალო ნაშთი</u> საკუთარი კაპიტალის საშუალო დონე</p> <p><u>მოზიდული საშუალებების საშუალო ნაშთი</u> საკუთარი კაპიტალის საშუალო დონე</p> <p><u>სარისკო კაპიტალების ჯამი</u> საკუთარი კაპიტალი საკუთარი კაპიტალი აქტივები</p> <p><u>მიღებული სარგებელი</u> 1. <u>აქტივების საშუალო ნაშთი</u> <u>გადახდილი სარგებელი</u> 2. <u>აქტივების საშუალო ნაშთი</u> <u>მიღებული სარგებელი - გადახდილი სარგებელი</u> 3. <u>აქტივების საშუალო ნაშთი</u> <u>კრედიტების ჩამოწვრით მიღებული დანაკარგები</u> 4. <u>აქტივების საშუალო ნაშთი და ა. შ.</u> <u>ბანკის მოგება</u> 5. <u>ბანკის აქტივების საშუალო ნაშთი</u> <u>მიღებული სარგებელი</u> ა) <u>შემოსავლიანი აქტივების საშუალო ნაშთი</u> <u>გადახდილი სარგებელი</u> ბ) <u>შემოსავლიანი აქტივების საშუალო ნაშთი</u> <u>მიღებული სარგებელი - გადახდილი სარგებელი</u> გ) <u>შემოსავლიანი აქტივების საშუალო ნაშთი</u></p>

სქემის გაგრძელება

1	2
<p>15. რენტაბელობა ასახვეს ბანკის საკუთარი კაპიტალის უკუგებას. მისი დონე 13-16%-ის ფარგლებში ნორმალურად ითვლება.</p> <p>16. ზარალი კრედიტების ჩამოწერის შედეგად კოეფიციენტები აღნიშნავენ კრედიტების მიხედვით დანაკარგების დასაშვებ ნორმას, აგრეთვე საკრედიტო პორტფელის ხარისხს.</p> <p>17. დივიდენდები კოეფიციენტი განსაზღვრავს, ბანკის მოგების რა ნაწილი წარმართება დივიდენდების გასაცემად. აღნიშნული კოეფიციენტის 30-40%-იანი დონე ამერიკის კომერციული ბანკებისათვის ტიპურად ითვლება.</p>	<p><u>ბანკის მოგება</u> საკუთარი კაპიტალის საშუალო დონე</p> <p>კრედიტების ჩამოწერის შედეგად მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად გათვალისწინებული საშუალებები</p> <p>სასესხო დავალიანება (წლის ბოლოსათვის) <u>ფაქტობრივად ჩამოწერილი კრედიტების ოდენობა</u> საშუალო სასესხო დავალიანება</p> <p><u>გადახდილი დივიდენდები</u> ბანკის მოგება</p>

ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი მიმართულებანი



სადეპოზიტო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მათემატიკური გამოთვლები

ანაბრების შენახვის საშუალო ვადა ღლებში = $\frac{\text{ანაბრების საშუალო ნაშთი}}{\text{ბრუნვა ანაბრების გაცემის მიხედვით}} \times \text{პერიოდში დღეთა რაოდენობა}$

ანაბრებზე შემოსულ საშუალებათა დაღვევის ღონე = $\frac{\text{ანაბრების ნაშთი წლის ბოლოსათვის} - \text{ანაბრების ნაშთი წლის დასაწყისისათვის}}{\text{შემოსულობანი ანაბრებზე}} \times 100\%$

საწარმოს გეგმური ამონაგების ნაწილი, რომელიც შეიძლება განთავსდეს ვაღიან სადეპოზიტო ანგარიშზე საგვემო პერიოდში = $\frac{\text{ანგარიშსწორების ანგარიშზე მოსალოდნელი შემოსულობანი საგვემო პერიოდში}}{\text{ანგარიშსწორების ანგარიშზე საშუალებათა საშუალო ნაშთი წინა წლის შესაბამის პერიოდში (3, 6, 9, 12 თვე)}} \times 100\%$

ანგარიშსწორების ანგარიშზე ფაქტობრივი შემოსულობანი (წინა წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივი რეალიზაცია)

სადეპოზიტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს სარგებელი. რაც უფრო საიმედოა პასივი, ე.ი. მეტია დეპოზიტის თანხა და ხანგრძლივია ვადა, მით მეტ სარგებელს იხდის ბანკი. გარდა ამისა, სარგებელი დეპოზიტზე უნდა ითვალისწინებდეს ინფლაციის ღონეს.

ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი კოეფიციენტების მეთოდით

- ლკ₁ — ლიკვიდობის კოეფიციენტი შეზღუდული ლიკვიდობის რესურსებისათვის (საშუალებანი მოთხოვნამდე ანგარიშებზე; საშუალებანი 6 თვემდე ვაღის ანაბრებზე).
- ლკ₂ — ლიკვიდობის კოეფიციენტი საშუალო ლიკვიდობის რესურსებისათვის (საშუალებანი 6 თვიდან ერთ წლამდე ვაღის ანგარიშებზე).
- ლკ₃ — ლიკვიდობის კოეფიციენტი მაღალი ლიკვიდობის რესურსებისათვის (საშუალებანი ერთი წლიდან ოთხ წლამდე ვაღის ანგარიშებზე).

ლიკვიდობის სამივე კოეფიციენტი შეიძლება გამოითვლოს ერთი ფორმულით:

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი } \frac{\text{ლკ (ლკ}_1, \text{ლკ}_2, \text{ლკ}_3)}{\text{სასესხო დავალიანებანი, გაცემული შესაბამისად რ თვის, 1 წლის, ერთიდან ოთხ წლამდე ვაღით}} \times 100\%$$

მოზიდული დეპოზიტები შესაბამისად 6 თვემდე, 1 წლამდე, ერთიდან ოთხ წლამდე ვაღით

აღნიშნული კოეფიციენტები უნდა იყოს, როგორც წესი, 100%-ზე ნაკლები.

ლიკვიდობის შენარჩუნების დამატებით ფაქტორს წარმოადგენს ერთი მსესხებლისათვის გასაცემი კრედიტის შეზღუდვა და კრედიტის გაცემა კლიენტთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობისათვის დაკრედიტების საერთო მოცულობის შენარჩუნების პირობებში, რაც, თავის მხრივ, მინიმუმამდე ამცირებს ბანკის დანაკარგებს კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

უცხოეთის ბანკები, ჩვეულებრივ, სახელმწიფოს მონაწილეობით ახორციელებენ ლიკვიდური ფულადი დაბანდებაების, უპირველეს ყოვლისა, დეპოზიტების ტრანსფორმაციას საშუალო და გრძელვადიან კრედიტებად. ზოგიერთი ბანკი ამცირებს მოკლევადიან სესხებს და იმავდროულად აფართოებს საშუალო და გრძელვადიან დაკრედიტების მოცულობას (მაგალითად, საბინაო მშენებლობაში), რითაც მოკლევადიანი რესურსების გრძელვადიანად ტრანსფორმაციის მაღალ კოეფიციენტს აღწევს.

ტრანსფორმაციის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ტრანსფორმაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოკლევადიანი რესურსები} - \text{მოკლევადიანი სესხები}}{\text{მოკლევადიანი რესურსები}} \times 100\%$$

შენიშვნა: რესურსების ტრანსფორმაცია ვადების მიხედვით შეიძლება გახდეს ბანკის ლიკვიდობის გაუარესების ერთ-ერთი მიზეზი, ამიტომ აუცილებელია რესურსების ტრანსფორმაციის რეგულირება მოკლევადიანი რესურსების გარკვეული ნაწილის (10-20%-ის) დაზღვევისა და რეზერვების შექმნის გზით.

კომერციული ბანკის მოგების ანალიზი

კომერციული ბანკების საქმიანობის შედეგების საინფორმაციო საფუძველს წარმოადგენს ბალანსის ანგარიშები: „შემოსავლები და ხარჯები“, „საოპერაციო და სხვა შემოსავლები“ და „საოპერაციო და სხვა ხარჯები“.

საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობა შეიძლება გაანალიზდეს მაჩვენებლით, რომელიც ტოლია საოპერაციო შემოსავლების შეფარდებისა გაცემული კრედიტის თანხასთან. ანალოგიურად ზორციელება ბალანსის საკრედიტო ოპერაციების საგასავლო ანგარიშების ანალიზი: განისაზღვრება ხარჯების თითოეული ჯგუფის როლი და ადგილი მათ საერთო ჯამში, აგრეთვე კლიენტთა მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების საშუალო თანხა.

ბანკის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) ძირითადი მაჩვენებელია მოგების შეფარდება სააქციო კაპიტალთან (საწესდებო ფონდთან).

შემოსავლიანობის მაჩვენებელი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

$$\frac{\text{მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება}}{\text{ყველა აქტივი}} \times \frac{\text{ყველა აქტივი}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

რაც იმას ნიშნავს, რომ საბანკო საქმიანობის რენტაბელობა პირდაპირპროპორციულია აქტივების „შრომისუნარიანობისა“, მათი უქვებისა და შემოსავლიანობისა და აგრეთვე კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტისა. სხვა სიტყვებით, ბანკისათვის მომგებიანია რისკის ზღვარზე ფუნქციონირება, ე.ი. საკუთარი კაპიტალით აქტივების მინიმალური უზრუნველყოფის პირობებში საქმიანობა. თავის მხრივ:

$$\frac{\text{მოგება}}{\text{ყველა აქტივი}} = \frac{\text{მოგება (მარუა)}}{\text{ბანკის საერთო შემოსავალი}} \times \frac{\text{ბანკის საერთო შემოსავალი}}{\text{ყველა აქტივი}}$$

ე.ი. აქტივების შემოსავლიანობაზე გავლენას ახდენს მარუა. იგი გვიჩვენებს, ბანკის საერთო შემოსავლის რა ნაწილი რჩება მის განკარგულებაში. ეს შედეგი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: საბანკო ოპერაციებზე გადახდილ და მიღებულ სარგებელზე, ბიუჯეტში გადასარიცხ მოგების გადასახადზე, მიმდინარე ხარჯებზე და სხვ.

ბანკის შემოსავალზე სარგებლის განაკვეთებისა და გაცემული კრედიტის ოდენობის ცვლილების გავლენის ანალიზი (აშშ-ის კომერციული ბანკების მეთოდის მიხედვით)

ბანკის შემოსავალზე სარგებლის განაკვეთების გავლენა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$(R_2 - R_1) V_2 = P_R$$

სადაც: P — ბანკის შემოსავალი;
 R — სარგებლის განაკვეთის დონე;
 V — გაცემული კრედიტის ოდენობა;
 1 და 2 — შესაბამისად გასული და მიმდინარე პერიოდები.

ბანკის შემოსავალზე კრედიტის ოდენობის ცვლილების გავლენა:

$$(V_2 - V_1) R_2 = P_R$$

ბანკის შემოსავალზე სარგებლის განაკვეთებისა და გაცემული კრედიტის ოდენობის (ანუ ორივე ფაქტორის ერთდროულად) ცვლილების გავლენა:

$$(R_2 - R_1)(V_2 - V_1) = P_{RV}$$

შენიშვნა: ანალოგიურად შეიძლება განისაზღვროს ფაქტორთა გავლენა დეპოზიტებზე გადახდილი სარგებლის ოდენობის ცვლილებაზე.

ბანკის შემოსავლიანობის გაზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმ აქტივთა შემცირება, რომელთაც მოგება არ მოაქვთ. ასეთ აქტივებს მიეკუთვნება: სალარო; საკორესპონდენტო და სარეზერვო ანგარიშები; ძირითადი საშუალებანი და საკუთარი იმობილიზებული საშუალებები. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ აქტივების დიდი რაოდენობა, რომელთაც მოგება არ მოაქვთ, ამცირებს რენტაბელობას, მაგრამ სამაგიეროდ ზრდის ლიკვიდობას. ბანკის პასივების შემადგენლობაში საკუთარი რესურსების მაღალი ზვედრითი წილი ამცირებს რესურსების საერთო ღირებულებას და, მაშასადამე, ზრდის მის მომგებიანობას ბანკის საქმიანობის მართვის ხარისხის მიუხედავად. ამიტომ ასეთ ბანკებს შეიძლება ჰქონდეთ დიდი მოგება დაბალი საშემოსავლო მარჟის პირობებში.

შემოსავლიანი ანგარიშების ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მინიმალური საშემოსავლო მარჟა, ე.ი. აქტიური და პასიური ოპერაციების სარგებლის განაკვეთებს შორის სხვაობა, რომელიც ბანკს საშუალებას მისცემს დაფაროს აუცილებელი ხარჯები, მაგრამ მოგებით ვერ უზრუნველყოფს.

$$\frac{\text{ბანკის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები} - \text{სხვა შემოსავლები}}{\text{ბალანსის აქტივის ჯამი} - \text{აქტივი, რომელსაც შემოსავალი არ მოაქვს}} \times 100\% = \text{მინიმალური მარჟის კოეფიციენტი}$$

რაც უფრო ნაკლებია აღნიშნული მაჩვენებელი, მით უფრო მეტია მოგების გაზრდის შესაძლებლობანი და მაღალია ბანკის კონკურენტუნარიანობა.

მოგების ყოველწლიური მატების შეფასების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ იგი არ უნდა იყოს ინფლაციის ტემპზე დაბალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. ინფლაციის წინმსწრები ტემპის პირობებში, ადგილი ექნება რეალური შემოსავლების დაცემას და სააქციო კაპიტალის გაუფასურებას.

საბანკო აუდიტის საფუძვლები

საბანკო აუდიტი

– ბანკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობის შემოწმება.

საბანკო აუდიტის ამოცანა

– გაკეთდეს დასკვნა ბანკის საფინანსო მდგომარეობის, მისი შემოსავლიანობის, ლიკვიდობისა და საბანკო ოპერაციების რისკის ხარისხის შესახებ. ასეთი დასკვნა ბანკის წლიურ ანგარიშთან, ოფიციალურ ბალანსთან, მოგებისა და ზარალის ანგარიშთან ერთად პერიოდულად ქვეყნდება.

აუდიტორული შემოწმებები, როგორც წესი, ხორციელდება კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც იდება ბანკის ხელმძღვანელობასა და აუდიტორულ ფირმას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორული ფირმები ასრულებენ არა მარტო საკონტროლო, არამედ საკონსულტაციო ფუნქციებსაც. აუდიტორული შემოწმებები შეიძლება ჩატარდეს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის დავალებითაც. არსებობს აგრეთვე საერთაშორისო აუდიტიც.

ჩვეულებრივი რევიზიისაგან განსხვავებით, აუდიტორული შემოწმება ხასიათდება კომპლექსურობით, დამოუკიდებლობით, აგრეთვე ბანკისათვის რეკომენდაციების შემუშავებით.

საბანკო აუდიტის მეთოდები

საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია

საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია გულისხმობს დოკუმენტების შეიწვევასა და შემოწმებას. უპირველეს ყოვლიანა, მოწმდება საბანკო ოპერაციების ჩატარების კონფორმობა და მართებულობა, დოკუმენტების უტყუარობა აკრედიტ მათში ასახული გაანგარიშების სისწორე და საბუღალტრო კონტრების დასაბუთებულობა.

საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიის დროს გამოიყენება დოკუმენტაციის სრული და შერჩევითი შემოწმება, სრული გამოიყენება ვეწლახე რთული და პასუხსაგები საბანკო ოპერაციების (მაგალითად, საკასო, საგადასახადო, სადებიზიტო, საპროცენტო, საკომისიო, სავაიანტრო ოპერაციები) ამსახველი დოკუმენტების შემოწმების სრული შემოწმება ძირითადად მიზანშეწონილია ისეთი ოპერაციებისა, რომლებიც კლიენტთა დავალებების შესრულებასთან არ არიან დაკავშირებული და ამდენად მათი კონტროლი არ ხდება. ყველა სხვა შემთხვევაში აკუტირებული დოკუმენტაციის შერჩევითი შემოწმება დოკუმენტების შერჩევა ხდება შუღარებით ზანგონილივი სერიოზისაფიის, რომლის განმავლობაშიც დარღვევები შეიძლება განმეორებულიყო. რეკომენდებული არ არის შემოწმების დადებითი რომელიმე პერიოდის ცალკეული დღეების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიის დროს მოწმდება აგრეთვე დოკუმენტაციის გაფორმების მდგომარეობა, ე.ი. ბლანკის ფორმის გამოყენების, ფულის გადახდელისა და მძღების ანგარიშების ნომრების, ოპერაციის თარიღის მითითების შემოწმება. განსაკუთრებული ყურადღებით მოწმდება საგანგებო საკასო დოკუმენტები. შერჩევითი შემოწმების დროს მიზანშეწონილია ბანკში არსებული დოკუმენტების შედარება კლიენტთან არსებულ დოკუმენტებთან. ასეთი შედარების დროს შეიძლება გამოვლინდეს ყალიბი დოკუმენტები - საგადახდო დოკუმენტები ფიქტური ეზგმალარები და მათი ასლები. დოკუმენტების შემოწმებისას გამოიყენება ლოფიკური ანალიზი, თეთი დოკუმენტების შინაგანი წინააღმდეგობების გამოვლენა, განსაზღვრის ნამდვილობის დადგენა ბანკის რეალური საკრედიტო რესურსებიდან გამომდინარე. ამ მიზნით გამოიყენება სხვა მეთოდებიც. საზელოდობა, დოკუმენტების ურთიერთგამშინი, შემხვედრი შემოწმებები.

საბანკო ოპერაციების ფაქტობრივი შემოწმება

საბანკო ოპერაციების ფაქტობრივი შემოწმება ტარდება ოპერაციების რეალობის, ანუ მისი ნამდვილად შესრულების დასადგენად. იგი ხორციელდება ბანკის საბუღალტრო ადრის ცხვის ანგარიშებისა და მისი კლიენტებისა და შესაძლების საფუძვანსო ორგანიზმში არსებული დოკუმენტების სფუტველზე. ფულისა და მატერიალური ფასეულობების მიღება-ცემბა მოწმდება გამოთვლის ან ფიზიკური და რეალური ჰირების ცნობების მიხედვით. გადახდილი საშუალების ფაქტობრივი შესრულება, აგრეთვე ძირითადი საშუალებისა და მიწყობილობების შემენა მოწმდება იდიტის დათვლიერების, ადგილზე შემოწმების საფუძველზე.

ანალიზური და სინთეზური ადრისცვის შემოწმება

ანალიზური და სინთეზური ადრისცვის შემოწმების პროცესში კლინდება ანგარიშების განხილის სისწორე და მათი ნამდვიის შესაბამისობა კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ადრისცვისთან. მოწმდება ანგარიშების ნამდვილობაც ფიქტური ანგარიშის გამოვლენის მიზნით თითოეული პირადი ანგარიშის მონაცემებს აულიტორი უდარებს ანგარიშების განხილის რეგისტრაციის წიგნის მონაცემებს, აგრეთვე ხელმოწერათა და ბეჭდების ნიმუშებს. ლეტალურად მოწმდება სასესო ოპერაციების ანალიზური ადრისცვა. ფიქტური სასესო ანგარიშების გამოვლენის მიზნით უდარებს და გადაცდაცილობული სასესო ანგარიშების ნამდვილად უდარებენ საწარმოს ბალანსის მონაცემებს, ბალანსგარეშე საბანკო ანგარიშის გადაიან ვალდებულებებს, აგრეთვე კლიენტის დამადასტურებელ მონაცემებს.

საბუღალტრო ადრისცვის შემოწმება

აულიტორული შემოწმების პროცესში ზორციელდება საბუღალტრო ადრისცვისა და ჩანაწერების შემოწმება, მათი შედარება დოკუმენტებთან, აგრეთვე კლინდება მათი საფუძვლიანობა საბუღალტრო ადრისცვაში.

ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების ადრისცვის ჩანაწერების, დოკუმენტებისა და ფაქტობრივი მონაცემების შედარება

შემხვედრი შემოწმებების ჩატარება

კომპლექსური შემოწმება

საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი, კომპლექსური შემოწმება, რომელიც მიზნად ისახავს ბანკის არა მარტო საფინანსო, არამედ სამეურნეო საქმიანობის შესწავლას.

თემატური გამოკვლევა

საბანკო საქმიანობის რომელიმე კონკრეტული სფეროს შემოწმება. მაგალითად, ბანკის საოპერაციო შემოსევლებისა და ხარჯების ფულადი მასის ინკასაციის, მოგების განაწილებისა და ა.შ. შემოწმება.

CREDIT AND MODERN BANKING

MECHANISM

(In Georgian)

By

LEILA GUDUSHAURI

Tbilisi

2007

გამომცემლობის რედაქტორი ი. ვახტანგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდალაშვილი
კორექტორი მ. ვარამაშვილი

ხელმოწერილია დასაბუჯლად 02.02.02
პირობითი ნაბუჯლი თაბახი 24,23
სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,97

შეკვეთა № 252

ტირაჟი 550

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ., № 14